

ოჯახში ძალადობის სფეროში
არსებული კანონმდებლობისა და
სასამართლო პრაქტიკის გენდერულ
ანალიზი

2012 წელი
ქალთა საინფორმაციო ცენტრი



კვლევა განხორციელდა ქალთა საინფორმაციო ცენტრის მიერ პროექტის – „სამოქალაქო საზოგადოების კონსოლიდირებული რეაქცია ქალთა უფლებების დარღვევებზე, აღნიშნულ სფეროში არსებული საერთაშორისო სტანდარტების მონიტორინგის მეშვეობით“- ფარგლებში, ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის მხარდაჭერით (NDI).

პროექტის კოორდინატორი: ელენე რუსმცხაია

კვლევის ავტორი: ინგა ბერიძე

Contents

წინასიტყვაობა	4
შესავალი	5
ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის სამართაშორისო სტანდარტები.....	7
სამართაშორისო მიღბომა, დაფუძნებული ადამიანის უფლებებზე	10
ძალადობა ქალებთან მიმართებაში, როგორც დისკრიმინაცია, რომელსაც გააჩნია გენდერული საფუძველი.....	10
დეკლარაციის განმარტება	10
კონვენციის განმარტება	11
ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის დასკვნითი კომენტარები: საქართველო (ამონარიდი).....	15
პოზიტიური ასპექტები.....	16
ძირითადი პრობლემური საკითხები და რეკომენდაციები.....	16
ადამიანის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი შენიშვნები (ამონარიდი).....	25
სახელმწიფო ვალდებულებები.....	26
ოჯახში ძალადობა და ქალთა უფლებები - საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა.....	31
დასკვნა სასამართლო პრაქტიკის ბაზანალიზების შემდეგ	62
რეკომენდაციები	65
სასამართლო საქმეები.....	Error! Bookmark not defined.
დანართი.....	114
აბრევიატურა.....	122
ბიბლიოგრაფია.....	123

წინასიტყვაობა

აღნიშნული გამოცემა წარმოადგენს ოჯახში ძალადობის სფეროში კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის გენდერულ ანალიზს. კვლევის მიზანია პრაქტიკული კუთხით მოახდინოს ოჯახში ძალადობის საკითხის მარეგულირებელი კანონებისა და ნორმების: „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის, ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მე-VII³ თავის (ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებასთან დაკავშირებით) და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის განხილვა, რომელიც სამართალწარმოებისას სასამართლო პრაქტიკაში გამოიყენება. საერთაშორისო სამართლის ნორმების იმპლემენტაციის საკითხის განხილვა და სასამართლო პრაქტიკაში მათი გამოყენების ანალიზი, მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებისას, რამდენად გამოიყენება ეროვნულ კანონმდებლობის ნორმებთან ერთად ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია.

კვლევა ეფუძნება შედარებით სამართლებრივ ანალიზს, საერთაშორისო დოკუმენტების ეროვნულ კანონმდებლობაში იმპლემენტაციის ფორმებსა და მექანიზმებს და სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოების მიერ მოწოდებულ სტატისტიკის ანალიზს. მონაცემები აღებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის სასამართლოს გადაწყვეტილებების 30 საქმიდან.

ხსენებული სასამართლო პრაქტიკის ანალიზზე დაყრდნობით, შემდგომში შესაძლებელი იქნება, ქალებთან მიმართებაში ძალადობის აღმოფხვრის კუთხით პოზიტიური საერთაშორისო გამოცდილების და გაეროს რეკომენდაციების გათვალისწინება, რაც ხელს შეუწყობს ქალთა უფლებების – ადამინის უფლებების ევროპული სტანდარტების დამკვიდრებას, რის საფუძველზეც შეთავაზებული იქნება საკანონმდებლო რეკომენდაციები.

მადლობა მინდა გადაუხადო საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ დემოკრატიულ ინსტიტუტს (ენ-დი-აი NDI), რომელმაც მხარი დაუჭირა ქალთა საინფორმაციო ცენტრს აღნიშნული კვლევის განხორციელებაში.

ქალთა საინფორმაციო ცენტრი წლების მანძილზე ცდილობს ქალთა წინაშე მდგარი პრობლემების გამოკვლევას, მისი აქტუალურობის წარმოჩენას და მათ ადვოკატირებას. ქალთა საკითხებზე მათი ეგიდით გამოცემული არაერთი საინტერესო პუბლიკაციის ნახვა შესაძლებელია ვებ-გვერდზე - www.wicge.org

მსურს ვიქონიო იმედი, რომ აღნიშნული კვლევა და რეკომენდაციები საბოლოო ჯამში განამტკიცებს ქალთა უფლებების დაცვის სისტემას ქვეყანაში.

ინგა ბერიძე

შესავალი

მიუხედავად პოზიტიური და ხმამაღალი განცხადებებისა გენდერულ თანასწორობაზე, მრავალი ქალი კვლავინდებურად უფლებაშეზღუდულია.

გენდერული ძალადობა ხორციელდება ყველა საზოგადოებაში. ის საშიშია ქალებისთვის, რადგანაც ქალი ხდება დაქვემდებარებული სოციალურად, ფსიქოლოგიურად და ეკონომიკურად. ქალები არასაკმარისად არიან წარმოდგენილი პოლიტიკურ, თუ აღმასრულებელ სტრუქტურებში. თვალსაჩინოებისთვის, მსოფლიო ქვეყნების 190 სახელმწიფო მმართველიდან მხოლოდ 9 ქალია; მთელ მსოფლიოში პარლამენტის წევრი ქალები 13% შეადგენს, კორპორატიულ სამყაროში ქალებს მაღალი თანამდებობრივ რგოლებში უკავიათ მხოლოდ 15-16%, 2002 წლიდან ამ მხრივ მაჩვენებელი არ გაზრდილა, პირიქით, შემცირებაც კი დაიწყო¹. ქალები განიცდიან დისკრიმინაციას შრომის ბაზარზეც. მილიონობით ქალისთვის ყველაზე სარისკო ადგილი შესაძლებელია სახლი აღმოჩნდეს. სამწუხაროა, რომ ქალი ყველაზე დაუცველი ოჯახშია და მის მიმართ ჩადენილ დანაშაულთა უმეტესი ნაწილი სწორედ ოჯახის წევრების მხრიდან ხდება. საზოგადოების ერთ ნაწილს ამ პრობლემის აღიარება უჭირს, ხოლო მეორე ნაწილი ამას აღიქვამს, როგორც პირად, ოჯახურ და არა, როგორც მწვავე სოციალურ პრობლემას. საზოგადოებას ხშირად არ სურს თვალი გაუსწოროს ამ პრობლემის რეალურ მასშტაბებს და ურჩევნია ჩათვალოს, რომ ოჯახის წევრებზე მხოლოდ ალკოჰოლზე, ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებულების მქონე ან ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანები ძალადობენ, ისიც გამონაკლის შემთხვევაში.

ეროვნულმა კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში ყოველი მეოთხეტიმეტე ქალი მეუღლის, პარტნიორის მიერ განიცდის ფიზიკურ ძალადობას, 14% ეკონომიკურ ძალადობას, ხოლო 35,9% აღიარებს, რომ მეუღლის/პარტნიორის მხრიდან განუცდია კონტროლის მიზნით განხორციელებული ქმედება. გამოკითხულთა 78,3%-ს მიაჩნია, რომ ოჯახური პრობლემები მხოლოდ ოჯახში უნდა განიხილებოდეს და მათი გარეთ გამოტანა დაუშვებელია, ხოლო ქალთა 34,1% ქმრის მიერ ცოლის ცემას გარკვეულ შემთხვევებში ამართლებს და ოჯახში ძალადობას სამართალდარღვევად არ მიიჩნევს².

ძალადობის მსხვერპლნი ყველაზე ხშირად ქალები, ბავშვები და ხანდაზმულები არიან. ძალადობა წარმოადგენს საზოგადოებრივად საშიშ ქმედებას, უარყოფით გავლენას ახდენს ოჯახის ნებისმიერი წევრის ნორმალურ განვითარებაზე, ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობაზე და

¹ www.ted.com შერილ სეინდბერგი, კომპანია ფეისბუკის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი (წვდომა 2011 წლის 4 მაისი).

² 2009 წლის გაეროს მოსახლეობის ფონდისა და ნორვეგიის მთავრობის მიერ ერთობლივად დაფინანსებული პროექტის “დავდიოთ გენდერული ძალადობა ამიერკავკასიაში” ფარგლებში განხორციელებული ეროვნული კვლევა საქართველოში.

ერთი წევრის მოთხოვნის დაკმაყოფილების ხარჯზე ზღუდავს მეორე წევრის უფლებებს. მოძალადეს არ უნდა გაუჩნდეს დაუსჯელობის და უდანაშაულობის განცდა, რათა ამ განცდამ არ გააძლიეროს იგი ოჯახში.

სამწუხაროდ, ძალადობა არ ცნობს კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ საზღვრებს და შეიძლება ნებისმიერ საზოგადოებაში შეგვხვდეს. სახელმწიფო ვაღდებულება იზრუნოს გენდერული პოლიტიკის განხორციელებაზე ცხოვრების ყველა სფეროში, იქნება ეს პოლიტიკა თუ ეკონომიკა, თანაბარი შესაძლებლობა შექმნას ქალისა და მამაკაცისთვის. ეს კი, თავის მხრივ, ოჯახში მათი სტატუსის გათანაბრებასაც შეუწყობს ხელს და შეამცირებს ოჯახში ძალადობის გამოვლინებას.

სახელმწიფო მოვალეა შეინარჩუნოს ოჯახი ძალადობის გარეშე, რათა საშუალება მიეცეს მის ნებისმიერ წევრს იცხოვროს და აღიზარდოს ნორმალურ გარემოში ძალადობის გარეშე და არ გახდეს მოძალადე. სახელმწიფოში არსებულმა ყველა სუბიექტმა - შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში მოქმედი სტრუქტურული და ტერიტორიული სამსახურები-საპატრულო/საუბნო პოლიციამ, სასამართლომ, ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვეპლთა დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდმა, განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო სისტემის დაწესებულებების წარმომადგენლებმა, ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმხორციელებელმა საუწყებათაშორისო საბჭომ, სახალხო დამცველის ინსტიტუტმა, სამედიცინო დაწესებულებებმა, უფლებამოსილმა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა ერთობლივი, კოორდინირებული და ეფექტური ძალისხმევით უნდა დასძლიონ კომპლექსური პრობლემა - ოჯახში ძალადობა.

ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის საერთაშორისო სტანდარტები

ოჯახში ძალადობა საზოგადოებისათვის დამანგრეველი საფრთხეა და ძალადობის გამოვლინების ყველაზე ფარულ და საშიშ ფორმას წარმოადგენს. ევროპული საზოგადოება არ წარმოადგენს გამონაკლისს - რთულია შეცვალო ადამიანის ცნობიერება და ქცევა. მხოლოდ 1993 წელს იქნა აღიარებული საერთაშორისო საზოგადოების მიერ ქალთა მიმართ ძალადობა, როდესაც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო **დეკლარაცია ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ**³. დეკლარაციაში ქალის სუბორდინაცია ოჯახში ძალადობის პრინციპულ მიზეზადაა განსაზღვრული. დეკლარაციაში ნათქვამია: „ისტორიულად, ძალადობა ქალის მიმართ ქალსა და მამაკაცს შორის არსებული არათანაბარი ურთიერთობების მანიფესტაციაა. ამგვარი ურთიერთობების შედეგია კაცის მხრიდან ქალზე დომინირება და მისი დისკრიმინაცია“⁴. ოჯახში ძალადობას გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ასე განსაზღვრავს: „*ძალადობის ფორმა, რომელიც ჩნდება სქესობრივი კავშირის ან სისხლით ნათესაობის მქონე ორ ადამიანს შორის მათ პირად ცხოვრებაში*“⁵.

1993 წლის გაეროს ადამიანის უფლებების მსოფლიო კონფერენციის შემდეგ მთელ მსოფლიოში ქალთა უფლებების მხარდასაჭერად გაიხმა მოწოდება, რომ **„ქალთა უფლებები არის ადამიანის უფლებები!“** მიუხედავად ამისა, ამგვარი უფლებები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იგნორირებულია და მათი დარღვევა მსოფლიო მასშტაბით ხდება. დაბრკოლება მდგომარეობს ქალთა უფლებების უგულებელყოფაში, ჩვეულებებსა და არსებულ პრაქტიკაში, დამოკიდებულებებსა და კანონმდებლობაში. არათანაბარი ძალაუფლება და გავლენა ხელს უშლის ქალებს სრულად ჩაერთონ ისეთ პროცესებში, როგორცაა სამართლიანი განვითარება, გადაწყვეტილების მიღება. ამავე დროს, მათ ნაკლებად მიუწვდებიან ხელი სამართლებრივ მექანიზმებს.

1992 წელს, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტმა მიიღო ზოგადი ხასიათის რეკომენდაცია №19,⁶ რომელმაც დაადასტურა, რომ ქალთა მიმართ ძალადობა ადამიანის უფლებათა დარღვევაა და ხაზი გაუსვა, რომ „სახელმწიფოებს შესაძლოა პასუხისმგებლობა დაეკისროთ კერძო პირების მოქმედებისათვის, თუ ისინი ვერ გამოიჩინენ სათანადო ძალისხმევას ადამიანის უფლებების დარღვევის თავიდან აცილების, ფაქტის გამოძიებისა და დამნაშავეის დასჯისათვის, და

³ www.un.org/russian/document/declarat/violence.htm “ოჯახში ძალადობა და სამართლებრივი დახმარება” 2009 წ. გვ.15;

⁴ მნიტაშვილი, ნ.ჯავახიშვილი (2010) ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში. გვ.14;

⁵ მნიტაშვილი, ნ.ჯავახიშვილი(2010) ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში. გვ.14;

⁶ 2009 წლის ბოლოსთვის გაეროს მიღებული აქვს სულ 26 რეკომენდაცია და განიხილავს კიდევ 2 რეკომენდაციას (ხანდაზმულ ქალებზე და განქორწინების ეკონომიკურ შედეგებზე), ხოლო რეკომენდაცია 12 (1989) და რეკომენდაცია 19 (1992) ეხება ქალთა მიმართ ძალადობას.

ასევე არ გადაუხდიან მსხვერპლს კომპენსაციას”.⁷ აღნიშნული რეკომენდაცია განსაზღვრავს, რომ ძალადობა ოჯახში, გაუპატიურება, ადამიანით ვაჭრობა, პროსტიტუციის იძულება, გარკვეული ადამიანთა-წესები - წარმოადგენს კონვენციით აკრძალული დისკრიმინაციის ფორმებს.

ქალებთან მიმართებაში ოჯახში ძალადობა უნდა განიხილებოდეს, როგორც *ადამიანის უფლებების* დარღვევა. ამისთვის არსებობს ორი საფუძველი:

პირველი, ქალების უმეტესი ნაწილი განიცდის სერიოზულ ცუდ მოპყრობას, რაც, ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება იწოდოს სასტიკი, არაადამიანური ან ადამიანური ღირსების დამამცირებელიც კი – ან თუნდაც წამება – თუკი ამას სახელმწიფო ორგანოების თანამშრომლები სჩადიან.

მეორე მიზეზი – ეს არის იმის აღიარება, რომ პასუხისმგებლობას ატარებენ არა მხოლოდ ცალკეული პირები, არამედ ხელისუფლების ორგანოები. მათ უნდა განახორციელონ გადამწყვეტი ქმედებები ამგვარი ცუდი მოპყრობის გასაფრთხილებლად, გამოიძიონ ნებისმიერი შეტყობინება ძალადობის ფაქტზე, რომელიც იმსახურებს ნდობას და დასაჯოს მისი ჩამდენი პირები.⁸

ის, რომ ხელისუფლება პასუხისმგებელია ცალკეულ ადამიანებს შორის ძალადობაზე, გამომდინარეობს ევროპული კონვენციიდან და დაამტკიცა ადამიანის უფლებების შესახებ ევროპულმა სასამართლომ. მაგალითად, სასამართლომ საქმეში X და Y ნიდერლანდების წინააღმდეგ 1985 წელს, მიიჩნია, რომ „სახელმწიფოს აქვს პოზიტიური ვალდებულება კონვენციის მე-3 და მე-10 მუხლის შესაბამისად მიიღოს ისეთი დებულებები, რომლებიც ეფექტურად დასჯიდა გაუპატიურებას და გამოყენებული იქნებოდა პრაქტიკაში ეფექტური გამოძიების და სამართალწარმოების შემდეგ”.⁹

სახელმწიფო ორგანოებმა უნდა მისცეს მსხვერპლს იურიდიული დაცვისა და კომპენსაციის შესაბამისი ფორმები, ასევე, უზრუნველყოს მათი დაცვა, ვინც მუდმივი რისკის ქვეშ იმყოფება. კანონმდებლობამ, ასევე, უნდა გაითვალისწინოს თავისუფლების შეზღუდვა ძალადობის ჩამდენ პირებთან მიმართებაში.

⁷ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტი, ზოგადი რეკომენდაცია 19, ძალადობა ქალების მიმართ (მეთერთმეტე სესია 1992) ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების ორგანოთა ზოგადი კომენტარებისა და ზოგადი რეკომენდაციების კრებული გაეროს დოკუმენტები HRI/GEN/1/Rev.1 at 84 (1994).

⁸ თომას ამარბერგი, ადამიანის უფლებათა კომისიის გამოსვლა ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე, მადრიდი, 2006 წლის 27 ნოემბერი, იხ. “ოჯახში ძალადობა და სამართლებრივი დახმარება” 2009 წ. გვ.70;

⁹ X and Y v. Netherlands, European Court of Human Rights 8978/80, 1985 <http://cmiskp.echr.coe.int/tkp197/view.asp?item=1&portal=hbkm&action=html&highlight=x%20%7C%20y%20%20netherlands&sessionId=21406792&skin=hudoc-en>.

გაეროს რეკომენდაციით წევრი-სახელმწიფოები უნდა ეცადონ, რომ ძალადობის მსხვერპლს სასამართლო პროცესზე ხელმეორედ არ დაეუფლოს ძალადობის განცდა (ვიქტიმიზაცია).

პოლიციამ უნდა მიიღოს მხედველობაში ის, რომ ძალადობა ხშირად ბადებს შიშს. ნაცემი ქალები ბევრ შემთხვევაში უბრალოდ ვერ წყვეტენ ისაუბრონ თუ არა თავიანთი მდგომარეობის შესახებ, ხოლო ის, ვინც ამას აკეთებს, ცხოვრობს მუდმივი შიშის განცლით, რომ პარტნიორი მასზე შურს იძიებს.

ეს რისკები უნდა გაითვალისწინონ სამართალდამცავმა ორგანოებმა მუშაობისა და სასამართლო სისტემის ფარგლებში. ჯანდაცვის სისტემის თანამშრომლებსა და სოციალურ მუშაკებს უნდა ჰქონდეთ ზუსტი ინსტრუქცია, თუ როგორ იმოქმედონ, როდესაც ისინი დაინახავენ ცუდი მოპყრობის ნიშნებს. იქ, სადაც აუცილებელია, უნდა გაიხსნას თავშესაფარი და გაეწიოს ფსიქოლოგიური და სოციალური დახმარება.

ოჯახში ძალადობა ბევრ შემთხვევაში ტრაველიაა მოძალადისთვისაც. ძალადობა ხშირად დაკავშირებულია ალკოჰოლთან, სიდარიბესთან, პირად იმედგაცრუებასთან, ოჯახურ პრობლემებთან ან ჯანმრთელობის პრობლემასთან. ეს კი აუცილებელს ხდის მოძალადეთათვის სოციალური დახმარებისა და მკურნალობის პროგრამების ამოქმედებას. აუცილებელია მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრების შექმნა, სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართვა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ამ კუთხით.

მნიშვნელოვანია პოლიტიკურმა ლიდერებმა გაითვალისწინონ ქალთა მოძრაობის აზრი და იზრუნონ მოქალაქეთა განათლების, ქალთა მიმართ „ძალადობის არ მოთმენის“ აღიარებისთვის. ეს არის არა მხოლოდ „ქალთა საკითხი“, არამედ მთელი საზოგადოების პრობლემა, რომლის დროსაც განსაკუთრებით ზიანდებიან ბავშვები.

საერთაშორისო მიღბომა, დაფუძნებული ადამიანის უფლებებზე

ძალადობა ქალებთან მიმართებაში, როგორც დისკრიმინაცია, რომელსაც გააჩნია გენდერული საფუძველი.

ბოლო ოცი წელია ძალადობა ქალთა მიმართ განიხილება, როგორც ადამიანის უფლებების - ქალთა უფლებების - დარღვევა, დისკრიმინაციის ფორმა, რომელსაც გენდერული საფუძველი აქვს. გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული (რეზოლუცია №48/104, 1993 წ.) ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ დეკლარაციას (DEVAW) და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის (CEDAW) კომიტეტის ზოგადი რეკომენდაციები №12 (1989 წ.) და №19 (1992 წ.) დებულებები იმპლემენტირებულია წევრი-სახელმწიფოების ეროვნულ კანონმდებლობაში.

ქალთა მიმართ ძალადობა, მათ შორის, ოჯახში ძალადობა სქესის საფუძველზე ადამიანის უფლებების დარღვევის ერთ-ერთი ყველაზე უფრო სერიოზული ფორმაა. იგი ართმევს ქალს შესაძლებლობას, ისარგებლოს ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით. სქესის გამო ქალების ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური შეურაცხყოფა ოჯახში, თუ პირად ურთიერთობაში, სერიოზული დაბრკოლებაა. მიუხედავად პოლიტიკისა და პრაქტიკაში განვითარებული პოზიტიური მოვლენებისა, ქალების მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმა ჯერ კიდევ ფართოდაა გავრცელებული ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების საზოგადოებათა ყველა დონეზე.

დეკლარაციის განმარტება

„დეკლარაცია“ გამოიყენება მრავალი საერთაშორისო ინსტრუმენტის მიმართ, თუმცა დეკლარაციები ყოველთვის არ არის სამართლებრივად სავალდებულო. ამ ტერმინს ხშირად ირჩევენ, რათა მიანიშნონ, რომ მხარეები მიზნად არ ისახავენ იურიდიული ძალის მქონე ვალდებულების შექმნას, არამედ, უბრალოდ, სურთ ცალკეული მისწრაფებების განცხადება. უფლებები, რომლებიც განსაზღვრულია დეკლარაციაში, სრული სამართლებრივი ძალა რომ ჰქონდეს, უნდა იყოს დაწერილი კონვენციების სახელწოდებით ცნობილ დოკუმენტებში, (ასევე, მათ უწოდებენ ხელშეკრულებებსა და პაქტებს), რომელიც აფუძნებს საერთაშორისო ნორმებს. როდესაც მთავრობა ხელს აწერს კონვენციას, ხდება სამართლებრივად ვალდებული, რომ დაიცვას სტანდარტები.

კონვენციის განმარტება

კონვენცია სავალდებულო ძალის მქონე შეთანხმებაა მხარეებს შორის, რომელიც, აგრეთვე, გამოიყენება პაქტის და ხელშეკრულების სახელწოდებით. კონვენციები უფრო ძლიერია, ვიდრე დეკლარაციები, რადგან ისინი მთავრობებისთვის სამართლებრივად სავალდებულოა. ამ დოკუმენტზე ხელმოწერა სახელმწიფოსთვის კონვენციის დებულებათა სავალდებულოდ გახდომის პირველი ნაბიჯია.

მთავრობის მოთხოვნით ხელმოწერის დროს ისინი აგრეთვე თანხმდებიან, რომ თავი შეიკავონ კონვენციის საწინააღმდეგო ქმედებებისგან. იმისათვის, რომ სახელმწიფოს დაეკისროს პასუხისმგებლობა კონვენციის დებულებების შესასრულებლად, მარტო კონვენციაზე ხელმოწერა საკმარისი არ არის. კონვენციათა უმრავლესობა მოითხოვს სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან დამტკიცებას (მიღებას ანუ რატიფიცირებას). კონვენციის რატიფიცირების შემდეგ, წევრი-სახელმწიფო ვალდებულია მოახდინოს კონვენციის დებულებათა იმპლემენტაცია ეროვნულ კანონმდებლობაში.

სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, ეროვნული კანონმდებლობა კონვენციასთან შესაბამისობაში იყოს. სწორედ რატიფიცირების შემდეგ ხდება სავალდებულო კონვენცია წევრი-ქვეყნისათვის.

აგრეთვე, არსებობს პროცესი, რომლითაც წევრ ქვეყანას შეუძლია კონვენციის რატიფიცირება და დათქმის გაკეთება სპეციფიურ მუხლებზე. რატიფიცირება ხელშეკრულებას აძლევს იურიდიულ ძალას.

საერთაშორისო საზედამხედველო ორგანო აკონტროლებს სახელმწიფოს მიერ კონვენციის შესრულებას მთავრობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მოხსენებების (ანგარიშების) საშუალებით. ამ ანგარიშების შესაბამისი ნაწილები ეგზავნებათ გაეროს სპეციალიზებულ სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციებს (როგორცაა მსოფლიოს ჯანმრთელობის ორგანიზაცია და საერთაშორისო შრომის ორგანიზაცია) შესამოწმებლად და რეკომენდაციების მისაცემად.

ეს პროცესი აჩვენებს, რომ საერთაშორისო საზოგადოება, როგორც მთლიანობა, აკისრებს სახელმწიფოს პასუხისმგებლობებს და აკონტროლებს მათ შესრულებას. კონვენცია აწესებს სტანდარტებს ეროვნული კანონმდებლობისთვის და სახელმწიფოს საერთაშორისო საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულს ხდის. მთავრობები, რომლებიც არღვევენ კონვენციაში მოცემულ სტანდარტებს, შესაძლებელია გაკრიტიკებულ იქნან გაეროს მიერ.

წვერი სახელმწიფოებისთვის კონვენცია მოქმედებას იწყებს მაშინ, როდესაც წვერი ქვეყნების გარკვეული რაოდენობა მიიღებს მას.

ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ დეკლარაცია (DEVAW) ადგენს, რომ სახელმწიფოებმა ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთისთვის ზომების მიღებისას „უნდა დაგმონ ქალთა მიმართ ძალადობა. დაუშვებელია რაიმე ჩვეულების, ტრადიციისა და რელიგიური შეხედულების მოხმობა ძალადობის აღმოფხვრასთან დაკავშირებით პასუხისმგებლობისთვის თავის არიდების მიზნით“.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება განახორციელონ მოქმედებები კანონმდებლობის გაძლიერების მიზნით, და მიიღონ ახალი კანონები, ბევრი მათგანი ამას არ აკეთებს. უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოებს აქვთ პასუხისმგებლობა უზრუნველყონ ქალებისთვის საკმარისი დაცვა, რათა მათ შეძლონ ძალადობის ფაქტის გაცხადება.

ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ან შემცირების მიზნით სახელმწიფოთა მიერ გასატარებელი ღონისძიებები მოიცავს:

- ✓ ძალადობასთან დაკავშირებით არსებული კანონმდებლობის გადასინჯვას;
- ✓ პოლიციისა და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის, ექიმებისა და სოციალური მუშაკებისთვის გენდერული მგრძობელობის ასამაღლებელი ტრენინგების უზრუნველყოფას, რათა მათ შეძლონ ქალთა მიმართ ძალადობის შეცნობა;
- ✓ თავშესაფრის დაწესებას, სადაც ქალებს დაიფარავენ ძალადობისგან.

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია¹⁰ (CEDAW) მიღებულ იქნა 1978 წლის 18 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განერალური ასამბლეის მიერ და ის ხშირად განიხილება, როგორც ქალთა უფლებების საერთაშორისო ბილი. კონვენცია, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულება, ძალაში შევიდა 1981 წლის 3 სექტემბერს, მას შემდეგ, რაც ოცი სახელმწიფოს მიერ იქნა რატიფიცირებული. კონვენციის რატიფიცირება 170 სახელმწიფომ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრთა 90%-მა მოახდინა. საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ იქნა პ/დ 22-09-1994 წელს 11.

¹⁰ იხ: ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია, ელექტრონული ვერსია, www.wprc.org/ge/georgian/indocuments/cedaw_geo.pdf
www.unhchr.ch/html/menu3/b/e1cedaw.htm

¹¹ იხ: პარლამენტის მიერ რატიფიცირებული კონვენციები:
www.parliament.ge/files/543_7339_179760_543_7339_450402_1994.doc

კონვენცია, რომელმაც მიიღო სახელწოდება „ქალთა უფლებების ბილი“, ამჟამად იურიდიულად აერთიანებს გაეროს 165 წევრ ქვეყანას და ავალდებულებს მათ, რატიფიკაციის შემდეგ ერთი წლის განმავლობაში¹², ხოლო შემდეგ, ყოველ მეოთხე წელს¹³, გააკეთოს მოხსენება კონვენციის დებულებების შესრულებისას მათ წინაშე მდგარი დაბრკოლებების გადასალახად მიღებული ზომების შესახებ.

1999 წლის 10 დეკემბერს, ადამიანის უფლებების დაცვის დღეს, გაიხსნა კონვენციის ხელმოწერისთვის დამატებითი პროტოკოლი, რომელიც საშუალებას აძლევდა სქესობრივი დისკრიმინაციისგან მსხვერპლ ქალებს შეეტანათ საჩივარი სახელშეკრულებო ორგანოში. მისი ძალაში შესვლის შემდეგ კონვენციას მიეცა ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ ისეთ საერთაშორისო ინსტრუმენტების სტატუსთან თანაბარი სტატუსი, რომელსაც ახლავს ინდივიდუალური საჩივრის განხილვის პროცედურები.

კონვენცია იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქალთა სტატუსის კომისიის სამუშაოს დაგვირგვინება, რომლის საქმიანობაც ოცდაათ წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა. აღნიშნული ორგანო 1946 წელს დაარსდა ქალთა მდგომარეობის მონიტორინგისა და ქალთა უფლებების მხარდაჭერის მიზნით. კომისიის მუშაობამ ქმედითი როლი შეასრულა, რათა ნათელი მოეფინა ყველა იმ სფეროსთვის, რომლებშიც ქალს მამაკაცთან თანაბარი უფლებები არ ჰქონდა მინიჭებული. ქალთა წინსვლისთვის გაწეული ამ ძალისხმევის შემდეგ იყო რამდენიმე დეკლარაცია და კონვენცია, რომელთაგან კონვენცია - „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ - უმთავრესი და ყველაზე მრავლისმომცველი დოკუმენტია.

კონვენციას, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებს შორის. ის ყურადღებას ამახვილებს ქალთა უფლებებზე, რომლებიც მოსახლეობის ნახევარს შეადგენს. კონვენციის არსი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებს ეფუძნება, რაც გულისხმობს ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მიმართ რწმენის განმტკიცებას. აღნიშნული დოკუმენტი თანასწორობის არსსა და მისი მიღწევის საშუალებებს განმარტავს. ამ სახით კონვენცია წარმოადგენს არა მხოლოდ ქალთა უფლებების საერთაშორისო ბილს, არამედ აღნიშნულ უფლებათა განსახორციელებლად ქვეყნებისთვის სამოქმედო გეგმასაც.

კონვენცია შედგება არა მხოლოდ უფლებათა ჩამონათვალისგან, არამედ მასში ასახულია კონტროლის და მონიტორინგის მექანიზმები. მონიტორინგისა და ანგარიშვალდებულების პროცედურა იმისთვისაა, რომ

¹² საქართველოს პირველი ანგარიში სამი წლის დაგვიანებით, 1998 წელს გაიგზავნა კომიტეტში. იხ. ანგარიშები და დასკვნითი კომენტარები. www.ohchr.org/EN/countries/ENACARegion/pages/GEIndex.aspx
¹³ საქართველოს მეორე და მესამე პერიოდული ანგარიშები გაიგზავნა 2003-2004 წლებში. გაეროს ქალთა ფონდი “კონვენცია ქალთა ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღკვეთის შესახებ კითხვა-პასუხის ფორმატში” გვ.23.

ნათელი იყოს, თუ როგორ ასრულებენ მას წევრი ქვეყნები, მთავრობები, რომლებმაც მოახდინეს ამ დოკუმენტების რატიფიცირება.

ხელშეკრულებები ითვალისწინებენ დამოუკიდებელი ექსპერტების ორგანოს შექმნას, რომელიც თვალყურს ადევნებს მთავრობის მხრიდან ხელშეკრულების შესრულებას (კომიტეტი არ არის სასამართლო ორგანო, ის კვაში იურიდიული ორგანოა, რომლის გადაწყვეტილება სარეკომენდაციო ხასიათისაა, მაგრამ სახელმწიფოები, უმრავლეს შემთხვევაში, ასრულებენ). კომიტეტი ამოწმებს იმ სახელმწიფოთა ანგარიშს, რომლებმაც ამ ხელშეკრულებაზე მოაწერეს ხელი, და გამოთქვამს კონკრეტულ რეკომენდაციებს ანგარიშზე. კომიტეტმა, აგრეთვე, შესაძლებელია, მხედველობაში მიიღოს ერთი წევრი სახელმწიფოს მიერ გამოთქმული უკმაყოფილება მეორე წევრი სახელმწიფოს ვალდებულებათა შეუსრულებლობაზე.

კონვენციის განხორციელების მონიტორინგი ხორციელდება ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის მიერ. კომიტეტის მანდატი და ხელშეკრულების განხორციელება განსაზღვრულია კონვენციის 17–30 მუხლებით. კომიტეტი შედგება მთავრობების მიერ დასახელებული 23 ექსპერტისაგან, რომლებიც არჩეულნი არიან მონაწილე სახელმწიფოთა მიერ, როგორც „მაღალი მორალური თვისებების მქონე და კონვენციაში განხილულ საკითხებში კომპეტენტური“ პიროვნებები. მონაწილე სახელმწიფოებს მინიმუმ ოთხ წელიწადში ერთხელ მოეთხოვებათ, რომ კომიტეტს წარუდგინონ ეროვნული ანგარიში, რომელშიც მითითებული იქნება კონვენციის პირობების განსახორციელებლად მათ მიერ გატარებული ღონისძიებები.

ყოველწლიური სესიის განმავლობაში კომიტეტის წევრები განიხილავენ ანგარიშებს მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად და იკვლევენ სფეროებს შემდგომი საქმიანობისთვის კონკრეტული ქვეყნების მიხედვით. კომიტეტი, ასევე, აძლევს ზოგად რეკომენდაციებს მონაწილე სახელმწიფოებს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის საკითხებზე. ქვეყნებს, რომლებმაც კონვენცია მიიღეს ან მიუერთდნენ მას, აკისრიათ სამართლებრივი ვალდებულება მისი პირობების პრაქტიკაში გატარებისთვის.

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის რატიფიცირებაზე დათქმა უფრო მეტ ქვეყანას აქვს გაკეთებული, ვიდრე სხვა სახის ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებაზე.

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია (CEDAW) 1994 წლის 22 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ, რატიფიცირებულ იქნა ყოველგვარი დათქმების გარეშე (კონვენციის დამატებით ოქმს კი მიუერთდა 2002 წელს). საქართველო იმ ქვეყნების გვერდით დადგა, რომელთაც გამოხატეს მზადყოფნა შეასრულონ კონვენციის

დებულებები და მიიღონ შესაბამისი ზომები ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმისა და გამოვლენის აღსაკვეთად.

1998 წელს საქართველოს მთავრობამ წარადგინა პირველი პერიოდული ანგარიში¹⁴, რომელიც განხილულ იქნა კომიტეტის 21 სესიაზე 7-25 ივნისს, 1999 წელს. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტმა, 2006 წლის 7-25 აგვისტოს, 36-ე სხდომაზე, ერთად განიხილა საქართველოს მიერ წარდგენილი მეორე და მესამე პერიოდული მოხსენება კომიტეტის 747-ე და 748-ე შეხვედრაზე¹⁵. კომიტეტის მიერ შედგენილი განსახილველი საკითხების და შეკითხვების სია აისახა CEDAW/C/GEO/3-ში, ხოლო საქართველოს პასუხები – CEDAW/C/GEO/Q/Add.1.-ში. აღნიშნული დასკვნები და რეკომენდაციები, სახელმწიფოს უნდა გაეთვალისწინებინა 2011 წლის ნოემბრამდე, ანუ მორიგ პერიოდული ანგარიშის წარდგენამდე. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის 36 სესიის, 2006 წლის 15 აგვისტოს, დასკვნითი კომენტარის - ოცდამეჩვიდმეტე რეკომენდაციის¹⁶ თანახმად.

საქართველოს ხელისუფლებას მეოთხე პერიოდული (რომელიც წარმოსადგენი იყო 2007 წლის ნოემბერში) და მეხუთე პერიოდული ანგარიში (რომელიც წარმოსადგენი იყო 2011 წლის ნოემბერში) კომბინირებული ანგარიშის სახით უნდა წარედგინა 2011 ნოემბერში, თუმცა სახელმწიფომ აღნიშნული ანგარიში წარადგინა 2012 წლის მაისში. CEDAW კომიტეტის პროცედურის თანახმად, არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიში უნდა წარდგეს ქვეყნის ანგარიშის განმხილველ სესიამდე 2 კვირით ადრე.¹⁷ თუმცა, ამავდროულად, ცნობილია, რომ სახელმწიფო ანგარიშის განხილვა 2013 წელსაც არ იგეგმება.

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის დასკვნითი კომენტარები: საქართველო (ამონარიდი)¹⁸

1. კომიტეტმა 2006 წლის 15 აგვისტოს ერთად განიხილა საქართველოს მეორე და მესამე პერიოდული ანგარიშები (CEDAW/C/GEO/2-3) თავისი 747-ე და 748-ე სხდომების მსვლელობისას (იხ. CEDAW/C/SR.747 და 748).

¹⁴ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის შემაჯამებელი კომენტარები - საქართველო პირველი პერიოდული მოხსენება, 21 სესია, 7-25 ივნისი 1999წ. (იხ. CEDAW/C/SR. 427 და 439 კომიტეტის შეხვედრებზე 1999წლის 8-11 ივნისი; CEDAW/C/GEO/1, and Corr.1);

¹⁵ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის დასკვნითი კომენტარები - საქართველო მეორე და მესამე პერიოდული ანგარიშებზე (CEDAW/C/GEO/2-3), 36 სესია, 15 აგვისტო 2006 წელი (იხ. CEDAW/C/SR.747 და 748); კომიტეტის განსახილველი საკითხები და შეკითხვების სია აისახა CEDAW/C/GEO/3-ში, საქართველოს პასუხები აისახა CEDAW/C/GEO/1-ში;

¹⁶ გაერთიანებული ერების სახელმწიფოებო ორგანოთა დასკვნითი შენიშვნები საქართველოს მეორე და მესამე პერიოდულ ანგარიშებზე 2008 წლის მარტის მდგომარეობით გამოცემული საქართველოში გაეროს ადამიანის უმადლეის კომისიის წარმომადგენლობის ფინანსური მხარდაჭერით. გვ.87;

¹⁷ http://www2.ohchr.org/english/bodies/cedaw/docs/NGO_Participation.final.pdf

¹⁸ გაერთიანებული ერების სახელმწიფოებო ორგანოთა დასკვნითი შენიშვნები საქართველოს მეორე და მესამე პერიოდული ანგარიშებზე 2008 წლის მარტის მდგომარეობით გამოცემული საქართველოში გაეროს ადამიანის უმადლეის კომისიის წარმომადგენლობის ფინანსური მხარდაჭერით. გვ.78.

კომიტეტის მიერ შედგენილი განსახილველი საკითხების და შეკითხვების სია აისახა CEDAW/C/GEO/3-ში, ხოლო საქართველოს პასუხები აისახა – CEDAW/C/GEO/Q/Add.1.-ში.

ობიექტიური ასპექტები

5. კომიტეტი კმაყოფილებით აღნიშნავს სახელმწიფო მხარის მიერ გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციის შემუშავებას და იმედოვნებს, რომ აღნიშნულს მოჰყვება გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად კონკრეტული ნაბიჯები. კომიტეტი აღნიშნავს სახელმწიფო მხარის მზადყოფნას გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციის რეალიზაციის მიზნით შემდგომი 6 თვის ვადაში შეიმუშავოს და დაამტკიცოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო სამოქმედო პროგრამა.

6. კომიტეტი მიესალმება საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის მიზნით განხორციელებულ უახლეს საკანონმდებლო ინიციატივებს და შესაბამის ღონისძიებებს, მათ შორის 2006 წლის ივნისში ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონის, 2006 წლის აპრილში ადამიანებით ვაჭრობასთან ბრძოლის შესახებ კანონის მიღებას, ასევე, ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ სახელმწიფო სამოქმედო პროგრამის დამტკიცებას და ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის მაკოორდინირებელი უწყებათშორისი კომისიის შექმნას და სამოქმედო გეგმის ეფექტურ რეალიზაციას.

7. კომიტეტი მიესალმება ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით გეგმებისა და ღონისძიებათა შემუშავების პროცესში სახელმწიფო მხარის ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას. კომიტეტი იმედოვნებს, რომ ამგვარი თანამშრომლობა გაგრძელდება და გაფართოვდება ყველა მიმართულებით, მათ შორის კანონთა შემუშავების და გეგმებისა და პროგრამების შეფასების სფეროში.

ძირითადი პრობლემური საკითხები და რეკომენდაციები

8. კომიტეტი შეახსენებს სახელმწიფო მხარეს მის ვალდებულებას სისტემატურად და მუდმივმოქმედ რეჟიმში იმუშაოს კონვენციის ყველა დებულების შესრულზე- ბაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით კომიტეტს მიაჩნია, რომ სახელმწიფო მხარემ თავის შემდგომ საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტული ყურადღება უნდა მიაქციოს წინამდებარე დასკვნით კომენტარებში დასმულ პრობლემებსა და რეკომენდაციებს. კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფო მხარეს გადადგას კონკრეტული ნაბიჯები კომიტეტის რეკომენდაციათა შესასრულებლად და მიღებული შედეგები

ასახოს თავის მომდევნო პერიოდულ ანგარიშში. კომიტეტი, ასევე, მოუწოდებს სახელმწიფო მხარეს წინამდებარე დასკვნითი კომენტარები გააცნოს ყველა შესაბამის სამინისტროს და პარლამენტს მათი შესრულების უზრუნველყოფის მიზნით. კომიტეტი სინანულით აღნიშნავს გენდერული, ასევე ეთნიკური, ასაკობრივი, ქალაქსა და სოფლად მცხოვრებთა ნიშნით კლასიფიცირებული სტატისტიკური მონაცემების სიმწირეს, რაც მნიშვნელოვნად ართულებს დროის გარკვეულ მონაკვეთში ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების მხრივ არსებულ ტენდენციათა, ასევე, კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა დაცვის ხარისხის შეფასებას.

10. კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფო მხარეს გააუმჯობესოს კონვენციით გათვალისწინებული ყველა სფეროს შესახებ სტატისტიკურ მონაცემთა, მათ შორის, გენდერული, ეთნიკური, ასაკობრივი, ქალაქსა და სოფლად მცხოვრებთა ნიშნით კლასიფიცირებულ სტატისტიკურ მონაცემთა შეგროვება, რაც მას საშუალებას მისცემს ჯეროვნად შეაფასოს ქალთა არსებული მდგომარეობა და დროთა განმავლობაში გამოკვეთილი ტენდენციები. კომიტეტი ასევე მოუწოდებს სახელმწიფო მხარეს სპეციალური ინდიკატორების საშუალებით მოახდინოს კანონების, პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმების ზეგავლენის მონიტორინგი ქალთა ფაქტობრივი თანასწორობის მისაღწევად. კონვენციის ეფექტური განხორციელების მიზნით, კომიტეტი ასევე ურჩევს სახელმწიფო მხარეს გამოიყენოს აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები და შეფასების ინდიკატორები შესაბამისი კანონდებლობის, პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში. კომიტეტი მოითხოვს, რომ სახელმწიფო მხარემ თავის მომდევნო ანგარიშში ასახოს აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები და ანალიზი.

11. კომიტეტი შეშფოთებულია, რომ სახელმწიფო მხარეს აკლია მრავალმხრივი მიდგომა იმ პოლიტიკის განმსაზღვრელი მიმართულებებისა და პროგრამებისადმი, რომლებიც მიზნად ისახავს გენდერული თანასწორობის მიღწევასა და ქალთა მიმართ პირდაპირი და არაპირდაპირი დისკრიმინაციის აღმოფხვრას.

12. კომიტეტი რეკომენდაციით მიმართავს სახელმწიფო მხარეს კონვენციის შესრულების უზრუნველსაყოფად შეიმუშაოს მრავალმხრივი მიდგომა, მათ შორის იმ პოლიტიკის განმსაზღვრელი ყველა მიმართულებისა და პროგრამების მიმართ, რომლებიც მიზნად ისახავს გენდერული თანასწორობის მიღწევას. ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები მიზნად უნდა ისახავდეს ქალთა მიმართ პირდაპირი და არაპირდაპირი დისკრიმინაციის აღმოფხვრას და ქალთა არსებითი თანასწორობის მიღწევას. კომიტეტის რჩევაა, გენდერული თანასწორობის მიღწევაზე გათვლილი სტრატეგია დაინერგოს ყველა საჯარო დაწესებულებაში და გათვალისწინებულ იქნას პოლიტიკის განმსაზღვრელ მიმართულებებსა და პროგრამებში, დაინერგოს ტრენინგები გენდერულ საკითხებზე და ყველა სამთავრობო უწყებაში დაინიშნოს კოორდინატორი გენდერულ საკითხებში.

კომიტეტი ასევე ურჩევს სახელმწიფო მხარეს დაადგინოს კონკრეტული ვადები გენდერული თანასწორობის მიღწევაზე გათვლილი პოლიტიკის ყველა მიმართულებისა და პროგრამის განხორციელებისათვის.

13. კომიტეტი შეშფოთებულია, რომ მოსამართლეები, ადვოკატები, პროკურორები და თავად ქალები არასაკმარისად არიან ინფორმირებულნი კონვენციის ნორმების, ფაკულტატიური ოქმის და კომიტეტის ზოგადი რეკომენდაციების შესახებ. აღნიშნულზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ არ არსებობს კონვენციაზე დაყრდნობით გამოტანილი არც ერთი სასამართლო გადაწყვეტილება.

14. კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფო მხარეს მიიღოს დამატებითი ზომები კონვენციის, ფაკულტატიური ოქმით გათვალისწინებული პროცედურების და კომიტეტის ზოგადი რეკომენდაციების პოპულარიზაციის მიზნით და პროკურორებისთვის, მოსამართლეებისათვის, ადამიანის უფლებათა დამცველთა და ადვოკატებისათვის დანერგოს სასწავლო პროგრამები კონვენციასა და ფაკულტატიური ოქმის შესახებ. კომიტეტის რეკომენდაციაა ქალებისათვის (მათ შორის, სოფლად მცხოვრებ ქალთათვის) და ქალთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის ჩატარდეს შემეცნებითი კამპანიები და სამართლებრივი ხასიათის ტრენინგები. ზემოაღნიშნული წაახალისებს ქალებს და გააღრმავებს მათ ცოდნას კონვენციით გათვალისწინებული უფლებების და უფლებათა დაცვის მექანიზმების შესახებ.

15. კომიტეტი აღნიშნავს პარლამენტის სპიკერთან არსებული გენდერული თანასწორობის მრჩეველთა საბჭოს და გენდერული თანასწორობის სამთავრობო კომისიის შექმნის ფაქტს. ამასთანავე, კომიტეტი გამოხატავს შეშფოთებას ქალთა საკითხებზე მომუშავე მუდმივმოქმედი, ინსტიტუციურად მდგრადი შიდასახემწიფოებრივი ორგანოს არარსებობის გამო, რომლის საქმიანობის შესახებაც ცნობილი იქნება საზოგადოებისათვის, რომელსაც შეეძლება გადაწყვეტილებების მიღება, აღჭურვილი იქნება საჭირო ფინანსური და ადამიანური რესურსებით და რომლის მიზანიც იქნება ქალთა წინსვლის ხელშეწყობა და გენდერული თანასწორობის მიღწევა. კომიტეტი ასევეა შეშფოთებული, რომ დღეისათვის არსებულ მექანიზმებს არ აქვთ საკმარისი რესურსები და უფლებამოსილება, რათა კოორდინაცია გაუწიონ მთავრობის საქმიანობას გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის და კონვენციის სრული განხორციელების პროცესში.

16. კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფო მხარეს შექმნას ქალთა დისრიმინაციის საკითხებზე მომუშავე მუდმივმოქმედი ინსტიტუციური მექანიზმი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ქალთა და მამაკაცთა ფორმალური და არსებითი თანასწორობის ხელშეწყობასა და აღნიშნული პრინციპის განხორციელების მონიტორინგზე. კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფო მხარეს აღნიშნული სტრუქტურა აღჭურვოს მაღალი

პოლიტიკური უფლებამოსილებით და საჭირო ფინანსური და ადამიანური რესურსებით. აღნიშნულთან დაკავშირებით კომიტეტი მიუთითებს მე-6 ზოგად რეკომენდაციასა და პეკინის სამოქმედო პლატფორმაში ასახულ სახელმძღვანელო პრინციპებსა და პირობებზე, რომელთა გათვალისწინება რეკომენდირებულია ქალთა განვითარების ხელშეწყობის სახელმწიფო მექანიზმის შექმნისას მისი ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

17. კომიტეტი აღნიშნავს სახელმწიფო მხარის ძალისხმევას აღმოფხვრა გენდერული სტერეოტიპები დაწყებითი კლასების სასკოლო სახელმძღვანელოებიდან. ამასთანავე, კომიტეტი შეშფოთებულია საქართველოს მოსახლეობაში გავრცელებული პატრიარქალური განწყობებისა და ღრმად გამჯდარი სტერეოტიპების არსებობით, რომლებიც ეხება ქალისა და კაცის როლებსა და პასუხისმგებლობას ოჯახსა და საზოგადოებაში. ზემოაღნიშნული ზღუდავს ქალის არჩევანს განათლების მიღებისას, მის მდგომარეობას დასაქმების ბაზარზე და მონაწილეობას პოლიტიკურ და საჯარო საქმიანობაში. კომიტეტი შეშფოთებულია, რომ გოგონები და ქალები საშუალო სკოლებსა და უნივერსიტეტებში კვლავაც ირჩევენ იმ სასწავლო დარგებს, რომლებიც ტრადიციულად „ქალებისთვის განკუთვნილ სფეროდ“ მიიჩნევა.

18. კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფო მხარეს გააგრძელოს ძალისხმევა გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრის მიზნით და გააძლიეროს გენდერული თანასწორობის კომპონენტი სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში. კომიტეტი ითხოვს სახელმწიფო მხარისაგან მასწავლებლებისათვის ტრენინგების ჩატარებას გენდერული თანასწორობის საკითხებში. კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფო მხარეს, საგანმანათლებლო სისტემის პროგრამებში, მათ შორის ადამიანის უფლებათა და გენდერული საკითხების სასწავლო პროგრამებში გაავრცელოს ინფორმაცია კონვენციის შესახებ ქალისა და მამაკაცის როლებზე არსებული სტერეოტიპული შეხედულებების შეცვლის მიზნით. კომიტეტი ურჩევს სახელმწიფო მხარეს ხელი შეუწყოს შემეცნებით კამპანიებს ქალთა და მამაკაცთა ცნობიერების ასამაღლებლად და წაახალისოს მასმედია ქალის პოზიტიური სახის, ასევე კერძო და საჯარო სექტორში ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის და პასუხისმგებლობის წარმოსაჩენად. კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფო მხარეს ხელი შეუწყოს გოგონათა და ვაჟთათვის საგანმანათლებლო არჩევანის დივერსიფიკაციას. კომიტეტი ასევე ურჩევს სახელმწიფო მხარეს საჯარო დიალოგის გამართვას გოგონებისა და ქალების მიერ გაკეთებული სასწავლო არჩევანის და შრომის ბაზარზე მათი შემდგომი დასაქმების შესაძლებლობების შესახებ.

19. კომიტეტი აღნიშნავს ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონის მიღებას. ამასთანავე, კომიტეტი შეშფოთებულია საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის, განსაკუთრებით ოჯახში ძალადობის ფაქტთა სიმრავლით.

კომიტეტი შეშფოთებულია ოჯახური ძალადობის შესახებ ინფორმაციისა და სტატისტიკის ნაკლებობით და საზოგადოების მხრიდან მსგავსი ძალადობის შესაძლო აღქმით “პირად საქმედ”. კომიტეტი ასევე შეშფოთებულია ოჯახში ძალადობის კანონით გათვალისწინებული ზოგიერთი ასპექტის, მათ შორის, დაზარალებულთათვის თავშესაფრებისა და სარეაბილიტაციო ცენტრების შექმნის, გადავადებით. კომიტეტი აღნიშნავს, რომ მეუღლის მიერ გაუპატიურება ჯერ კიდევ არ იქნა გათვალისწინებული საკანონმდებლო კანონპროექტებში.

20. კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფო მხარეს პრიორიტეტული მნიშვნელობა მიანიჭოს ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონის განხორციელებას და მის პროპულარიზაციას საჯარო მოხელეთა შორის და ფართო საზოგადოებაში. კომიტეტი ასევე მოუწოდებს სახელმწიფო მხარეს დაასრულოს მუშაობა ოჯახში ძალადობის დაძლევის სრულყოფილი სახელმწიფო გეგმის შემუშავებაზე და უზრუნველყოს მისი განხორციელება. კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფო მხარეს უზრუნველყოს ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქალები, მათ შორის, სოფელში მცხოვრები ქალები, შესაბამისი დაცვით, მათ შორის დაცვის შესახებ ბრძანებებით, საკმარისი რაოდენობის უსაფრთხო თავშესაფრებით და სამართლებრივი დახმარებით. კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფო მხარეს უზრუნველყოს საჯარო მოხელეთა, განსაკუთრებით სამართალდამცავთა, სასამართლოში მომუშავეთა, ჯანდაცვის პერსონალის და სოციალურ მუშაკთა მხრიდან შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების და ქალთა ძალადობასთან დაკავშირებულ ყველა ასპექტის სრულყოფილი ცოდნა და ძალადობის ფაქტებზე ადეკვატური რეაგირება. კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფო მხარეს ჩაატაროს კვლევა ოჯახში ძალადობის გავრცელების, მისი გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების შესახებ, რაც საფუძვლად დაედება მასშტაბურ და მიზანმიმართულ ღონისძიებებს. რეკომენდირებულია აღნიშნული კვლევის შედეგების შეტანა სახელმწიფო მხარის შემდგომ პერიოდულ ანგარიშში. კომიტეტი რეკომენდაციით მიმართავს სახელმწიფო მხარეს ოჯახში ძალადობის გარდა ასევე იმუშაოს ქალთა მიმართ ყველა ფორმით ძალადობის აღმოსაფხვრელად, როგორც ამას კომიტეტის მე-19 ზოგადი რეკომენდაცია ითვალისწინებს. კომიტეტი ასევე ითხოვს ყურადღების მიპყრობას მეუღლის მიერ გაუპატიურების პრობლემის გადასაჭრელად.

21. კომიტეტი აღნიშნავს ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართულ საკანონმდებლო და სხვა სახის ღონისძიებების გატარებას, მათ შორის ადამიანებით ვაჭრობასთან ბრძოლის შესახებ კანონის და ტრეფიკინგის დაძლევის სახელმწიფო სამოქმედო გეგმის მიღებას. ამასთანავე, კომიტეტი გამოხატავს შეშფოთებას საქართველოში გოგონათა და ქალთა ტრეფიკინგის შემთხვევათა გამო.

22. კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფო მხარეს სრულად დაიცვას ტრეფიკინგის შესახებ სახელმწიფო კანონმდებლობა, სრულად განახორციელოს სახელმწიფო სამოქმედო გეგმა და ტრეფიკინგთან ბრძოლის სხვა ღონისძიებები. კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფო მხარეს განიხილოს 2000 წელს ხელმოწერილი ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის შესახებ გაეროს კონვენციისა და ტრეფიკინგის, განსაკუთრებით ქალთა და ბავშვთა ტრეფიკინგის პრევენციის, შეჩერებისა და დასჯის შესახებ ოქმის რატიფიკაციის შესაძლებლობა. კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფო მხარეს შეკრიბოს და გააანალიზოს პოლიციიდან და საერთაშორისო წყაროებიდან მიღებული მონაცემები, დასაჯოს ტრეფიკინგის განმხორციელებელი პირები და უზრუნველყოს ტრეფიკინგის მსხვერპლი ქალების და გოგონების უფლებების დაცვა. კომიტეტი ასევე მოუწოდებს სახელმწიფო მხარეს ტრეფიკინგის გამომწვევ მიზეზთა აღმოფხვრის მიზნით ხელი შეუწყოს ქალთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და, შესაბამისად, აღმოფხვრას წინაპირობა, რისი წყალობითაც ქალები დაუცველნი არიან ექსპლუატაციისა და ტრეფიკინგის მწარმოებელთა წინაშე; ასევე მიიღოს ზომები ტრეფიკინგის მსხვერპლი ქალებისა და გოგონების რეაბილიტაციისა და სოციალური ინტეგრაციისათვის.

23. კომიტეტი შეშფოთებულია საჯარო და პოლიტიკურ ცხოვრებაში, დიპლომატიურ კორპუსში, სამთავრობო აღმასრულებელ ორგანოებში, ადგილობრივ ხელისუფლებასა და პარლამენტში ქალების მცირე რაოდენობით.

24. კომიტეტი რეკომენდაციით მიმართავს სახელმწიფო მხარეს მიიღოს არსებითი ზომები, მათ შორის გაატაროს დროებითი სპეციალური ღონისძიებები კონვენციის მე-4 მუხლის I პარაგრაფის და კომიტეტის ზოგადი რეკომენდაციების 25-ე და 23-ე მუხლების შესაბამისად, რათა დაჩქარდეს ქალთა თანაბარი მონაწილეობა არჩეულ და დანიშნულ ორგანოებში, მათ შორის საერთაშორისო დონეზე. აღნიშნული ღონისძიებები უნდა ადგენდეს შეფასების კრიტერიუმებს, ციფრებში ასახულ მიზნებსა და მათი შესრულების ვადებს, ასევე ლიდერობასა და მოლაპარაკებათა წარმოების უნარ-ჩვევებში ტრენინგების პროგრამების შემუშავებას მოქმედი და მომავალი ქალი ლიდერებისათვის. კომიტეტი ასევე მოუწოდებს სახელმწიფო მხარეს წარმართოს კამპანია საჯარო და პოლიტიკურ ცხოვრებაში, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალების მონაწილეობის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით.

25. კომიტეტი გამოხატავს შეშფოთებას დასაქმების ფორმალურ და არაფორმალურ ბაზარზე ქალების ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ მოწოდებული ინფორმაციის სიმწირის გამო. კომიტეტი კვლავ შეშფოთებული რჩება სამუშაო ბაზარზე ქალებისა და მამაკაცებს შორის თანამდებობრივი დიფერენციაციის და მათ ხელფასებს შორის არსებითი სხვაობის გამო. კომიტეტი შეშფოთებით აღნიშნავს ქალების მდგომარეობაზე ახალი შრომითი

კოდექსის ნეგატიურ ზეგავლენას. აღნიშნული კოდექსი ითვალისწინებს საქართველოში დასაქმების რეგულირების ლიბერალიზაციას და არ შეიცავს ნორმებს თანაბარი ღირებულების სამუშაოსათვის თანაბარი ანაზღაურების დადგენის, სამუშაო ადგილზე სექსუალური ძალადობის აკრძალვის შესახებ.

26. კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფო მხარეს თავის შემდგომ პერიოდულ ანგარიშში წარმოადგინოს დეტალური ინფორმაცია, მათ შორის დროის გარკვეულ პერიოდში არსებული ტენდენციების შესახებ სტატისტიკური მონაცემები საჯარო, კერძო, ფორმალურ და არაფორმალურ სექტორებში ქალთა დასაქმების და მათთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნის მიზნით გატარებული ღონისძიებების შედეგების შესახებ. კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფო მხარეს გადადგას უფრო ინტენსიური ნაბიჯები დასაქმების ყველა პროგრამაში გენდერული საკითხის გათვალისწინების მიზნით და გაზარდოს ქალებისათვის ახალ ტექნოლოგიათა ხელმისაწვდომობა. კომიტეტის რეკომენდაციით საჭიროა მეტი ძალისხმევა გენდერის საფუძველზე თანამდებობრივი დიფერენციაციის (როგორც ჰორიზონტალურ, ასევე ვერტიკალურ დონეზე) აღმოსაფხვრელად. საჭიროა ზომების მიღება ქალთა და მამაკაცთა ხელფასებს შორის განსხვავების შემცირებისა და აღმოფხვრის მიზნით. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია საჯარო სექტორში ქალთა მიერ დომინირებულ სამუშაო ადგილთა შეფასებით და სექტორში მომუშავეთათვის ხელფასის გაზრდით. კომიტეტი კვლავ მოუწოდებს სახელმწიფო მხარეს შემოიღოს ნორმები თანაბარი სამუშაოსათვის თანაბარი ანაზღაურების და ასევე სექსუალური ძალადობის შესახებ კომიტეტის მე-19 ზოგადი რეკომენდაციის შესაბამისად. კომიტეტი ითხოვს სახელმწიფო მხარისაგან ქალებზე ახალი შრომის კოდექსის ზეგავლენის ანალიზს, კოდექსში საჭირო ცვლილებების შეტანას და თავის შემდგომ მოხსენებაში აღნიშნული ანალიზისა და გადადგმული ნაბიჯების შესახებ ინფორმაციის ასახვას.

27. კომიტეტი აღნიშნავს საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებულ გარდამავალ პერიოდში მყოფი ქვეყნის სიძნელეებს. ამასთანავე, კომიტეტი გამოხატავს შეშფოთებას სიღარიბის ფემინიზაციით, განსაკუთრებით სოფლად მცხოვრებ ქალთა, მოხუცებულთა, ოჯახის მარჩენალ ქალთა და იძულებით გადაადგილებულ ქალებსა და გოგონებს შორის სიღარიბით. კომიტეტი შეშფოთებულია ქვეყანაში ქალთა დაუცველ ჯგუფებზე გათვლილი მიზანმიმართული პროგრამების ნაკლებობით.

28. კომიტეტი ითხოვს სახელმწიფო მხარისაგან ქალებზე ეკონომიკური რესტრუქტურისა და ზეგავლენის შეფასებას და პრობლემის დასაძლევად საჭირო რესურსების მობილიზაციას. კომიტეტი ითხოვს გენდერული საკითხის გათვალისწინებას სიღარიბის აღმოფხვრის ყველა სახელმწიფო პროგრამასა და სტრატეგიაში და განსაკუთრებული ყურადღების მიპყრობას დაუცველ ჯგუფებზე, მათ შორის სოფლად მცხოვრებ ქალებზე, მოხუცებულებზე, ოჯახის მარჩენალ ქალებზე, იძულებით გადაადგილებულ

ქალებსა და გოგონებზე. კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფო მხარეს კონვენციის მე-13 მუხლის შესაბამისად ქალებისათვის ხელმისაწვდომი გახადოს საბანკო სესხები და სხვა ფორმის ფინანსური კრედიტები. კომიტეტი მოითხოვს სახელმწიფო მხარისაგან თავის შემდგომ პერიოდულ მოხსენებაში ასახოს ინფორმაცია ქალების, განსაკუთრებით დაუცველი ჯგუფების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ.

29. კომიტეტი ასევე შეშფოთებულია ქალთა ჯანმრთელობის, მათ შორის რეპროდუქციული ჯანმრთელობის, ავადმყოფობის და სიკვდილიანობის, ქალებსა და გოგონებში განსაკუთრებით გავრცელებული დაავადებების შესახებ ინფორმაციის და მონაცემების ნაკლებობით, ასევე ქალებისათვის ჯანდაცვის სამსახურების ნაკლები ხელმისაწვდომობით. კომიტეტი ასევე შეშფოთებით აღნიშნავს, რომ აბორტთა რაოდენობის მაჩვენებელი ჯერ კიდევ მაღალია. კომიტეტი ასევე შეშფოთებულია, რომ სახელმწიფო მხარეს არ გააჩნია მასშტაბური მიდგომა ჯანმრთელობის სფეროში ქალების დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად.

30. კომიტეტის რეკომენდაციაა ქალთა ჯანდაცვის მიზნით და თავისი 24-ე ზოგადი რეკომენდაციის მე-12 მუხლის შესაბამისად დაინერგოს ჯანდაცვის სფეროში მომსახურების ფართო სპექტრი, მოხდეს შესაბამისი რესურსების მობილიზაცია, ასევე გაკონტროლდეს ქალებისათვის ამ მომსახურებათა ხელმისაწვდომობა. კომიტეტი ითხოვს სახელმწიფო მხარისაგან თავის შემდგომ მოხსენებაში ასახოს დამატებითი ინფორმაცია ქალების ჯანმრთელობის (მათ შორის ქალთა შორის ავადობასა და სიკვდილიანობის), ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებათა გავრცელების, აბორტთა რაოდენობის მაჩვენებლის, ქალებსა და ბავშვებში გავრცელებულ ავადმყოფობათა, მათ შორის სიმსივნის გავრცელების შესახებ და, ასევე ქალებისათვის ჯანდაცვის სამსახურების, ოჯახური დაგეგმარების, სიმსივნის პრევენციის სამსახურების ხელმისაწვდომობის შესახებ.

31. კომიტეტი გამოთქვამს შეშფოთებას კონვენციით მოცულ საკითხებზე სოფლად მცხოვრები და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობის გამო.

32. კომიტეტი ითხოვს სახელმწიფო მხარისაგან თავის შემდგომ ანგარიშში კონვენციით გათვალისწინებული სფეროების მიხედვით დეტალურად ასახოს ინფორმაცია სოფლად მცხოვრები და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალების რეალური მდგომარეობის შესახებ. კომიტეტი ასევე ითხოვს, რომ მომდევნო პერიოდულ ანგარიშში აისახოს ინფორმაცია საქართველოში 18 წლამდე ასაკის გოგონების დაქორწინების შესახებ, ასევე ცოლად შერთვის მიზნით ქალთა, განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა მოტაცების შესახებ.

33. კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფო მხარეს კონვენციით აღებული ვალდებულებების განხორციელებისას გაითვალისწინოს პეკინის დეკლარაცია და მოქმედების პლატფორმა, რომელიც აძლიერებს კონვენციის დებულებებს და ასახოს შესაბამისი ინფორმაცია თავის მომდევნო პერიოდულ ანგარიშში. კომიტეტი საზღვარსაღივად აღნიშნავს, რომ კონვენციის სრული და ეფექტური შესრულება აუცილებელია ათასწლეულის განვითარების მიზნების მისაღწევად. კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფო მხარეს მოახდინოს გენდერული ხედვის დაკონვენციის დებულებების ასახვა ათასწლეულის განვითარების მიზნების მისაღწევად განხორციელებულ ძალისხმევაში და აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია ასახოს თავის მომდევნო პერიოდულ ანგარიშში.

35. კომიტეტი აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს მიერთება ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მოქმედ 7 ძირითად საერთაშორისო კონვენციაზე¹⁹ ხელს უწყობს ქალთა მიერ საკუთარი უფლებებითა და ფუნდამენტალური თავისუფლებებით სარგებლობას ცხოვრების ყველა სფეროში. შესაბამისად, კომიტეტი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს ხელისუფლებას განიხილოს იმ ხელშეკრულებების რატიფიცირების შესაძლებლობა, რომელსაც ის ჯერ არ შეერთებია, კერძოდ, შეუერთდეს საერთაშორისო კონვენციას ყველა მიგრანტი მუშისა და მათი ოჯახის წევრთა უფლებების დაცვის შესახებ.

36. კომიტეტი ითხოვს წინამდებარე დასკვნითი კომენტარების ფართო გავრცელებას საქართველოში მცხოვრები მოსახლეობის, მათ შორის მთავრობის წევრების, პოლიტიკოსების, პარლამენტარების, ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების და ქალების ინფორმირების მიზნით შემდეგ ზედ: თუ რა ღონისძიებები იქნა გატარებული ქალების დე ფაქტო და დე იურე თანასწორობის მისაღწევად და რა დამატებითი ღონისძიებები არის გასატარებელი ამ მიმართულებით. კომიტეტი მოითხოვს სახელმწიფო მხარისაგან გააგჰელოს კონვენციის, ფაკულტატური ოქმების, კომიტეტის ზოგადი რეკომენდაციების, პეკინის დეკლარაციისა და მოქმედების პლატფორმის და გენერალური ასამბლეის 23-ე სპეციალური სხდომის (თემაზე: „ქალები 2000: გენდერული თანასწორობა, განვითარება და მშვიდობა 21-ე საუკუნეში“) შედეგების ფართო გავრცელება.

37. კომიტეტი მოითხოვს სახელმწიფო მხარისაგან კონვენციის მე-18 მუხლის შესაბამისად თავის შემდგომ პერიოდულ მოხსენებაში პასუხი გასცეს წინამდებარე კომენტარებში ჩამოყალიბებულ პრობლემებს. კომიტეტი სთავაზობს სახელმწიფო მხარეს თავისი მეოთხე პერიოდული ანგარიშში

¹⁹ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოსაფხვრელად, ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია, კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ, ბავშვის უფლებათა კონვენცია და საერთაშორისო კონვენცია ყველა მიგრანტი მუშისა და მათი ოჯახის წევრთა უფლებების დაცვის შესახებ.

(რომელიც წარმოსადგენია 2007 წლის ნოემბერში) და მეხუთე პერიოდული ანგარიში (რომელიც წარმოსადგენია 2011 წლის ნოემბერში) კომბინირებული ანგარიშის სახით წარმოადგინოს 2011 წელს.

*ადამიანის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი შენიშვნები
(ამონარიდი)*

*ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ოთხმოცდამეთერთმეტე სხდომა
(ვენევა, 2007 წლის 15 ოქტომბერი - 2 ნოემბერი)²⁰*

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტის²¹ მე-40 მუხლის შესაბამისად მონაწილე სახელმწიფოების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების განხილვა.

1. კომიტეტი მიესალმება რა 2006 წლის მაისში „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონის მიღებას, გამოთქვამს შეშფოთებას საქართველოში ძალადობის და, კერძოდ, ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალთა მნიშვნელოვანი რაოდენობის არსებობის გამო, ასევე, იმის გამო, რომ მსხვერპლთა დასაცავად დღეისათვის განკუთვნილი ზომები და სამსახურები არ არის საკმარისი. კომიტეტი სინანულით აღნიშნავს, რომ მონაწილე სახელმწიფოს მიაჩნია, რომ პასუხისმგებლობა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის თავშესაფრების მოწყობაზე ძირითადად არასამთავრობო ორგანიზაციებს აკისრიათ და ამასთანავე არ გამოყოფს მათთვის სათანადო დაფინანსებას (მე-3, 23-ე და 26-ე მუხლები).

მონაწილე სახელმწიფომ უნდა განახორციელოს გადაუდებელი ღონისძიებები 2006 წლის კანონის შესასრულებლად, მათ შორის:

ა) შემოიღოს მექანიზმი ოჯახში ძალადობის შემთხვევათა შესახებ კლასიფიცირებული (დეზაგრეგირებული) მონაცემების შესაგროვებლად; ეს უნდა იყოს მონაცემები მსხვერპლთა და მოძალადეთა სქესის, ასაკისა და ოჯახური ურთიერთობის შესახებ, ასევე ჩატარებული გამოძიებებისა და სამართლებრივი დევნის შესახებ. ეს ინფორმაცია საჯარო უნდა გახდეს;

ბ) სასწრაფოდ გამოიძიოს ოჯახში ძალადობასთან და ქალების მიმართ ძალადობის სხვა აქტებთან (როგორც არის საცოლის მოტაცება და გაუპატიურება) დაკავშირებული საჩივრები და განხორციელდეს სისხლისსამართლებრივი დევნა მოძალადეთა წინააღმდეგ;

გ) განახორციელოს ყველა აუცილებელი ღონისძიება, რათა დაიცვას ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი, მათ შორის, დააარსოს საჭირო რაოდენობით სათანადო თავშესაფრები მთელ ქვეყანაში.

²⁰ www.ungeorgia.ge/userfiles/files/CO.Ge.pdf

²¹ http://www.parliament.ge/files/1359_21958_776138_gaertianebuli.pdf

სახელმწიფო ვალდებულებები

სახელმწიფოებმა კონვენციების ხელმოწერით და რატიფიცირებით ასევე იკისრეს ვალდებულებები, რომ:

- აღიარებენ დისკრიმინაციის არსებობას და სქესთა თანასწორობის აუცილებლობას;
- აღიარებენ სახელმწიფოს მხრიდან ზომების მიღების აუცილებლობას დისკრიმინაციის აღსაკვეთად და აღმოსაფხვრელად;
- ვალდებულებას იღებენ კონვენციით გათვალისწინებული სავალდებულო სამართლებრივი ნორმები ასახონ ეროვნულ კანონმდებლობაში;
- ანგარიშვალდებულნი არიან დაიცვან კონვენციით განსაზღვრული ვალდებულებები, როგორც სახელმწიფოებრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

1995 წლის აგვისტოში ძალაში შევიდა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საქართველოს კონსტიტუცია.²² მან ახალი სიტყვა თქვა ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გზაზე, განსაზღვრა ადამიანის უფლებების პრიმატი და, როგორც ეს გამოცდილ დასავლურ დემოკრატიებშია მიღებული, სახელმწიფო დაავალდებულა პასუხისმგებლობით თითოეული მოქალაქის წინაშე.

საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის თანახმად „სახელმწიფო იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს“. საქართველოს კონსტიტუცია შეიცავს ადამიანის უფლებების ცალკე II თავს, სადაც დაფიქსირებულია და აღიარებულია ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, ანუ ის შეიცავს ქართულ „უფლებათა ბილს“.

აღნიშნული კონვენციით დისკრიმინაციის განმარტებამ ასახვა პპოვა საქართველოს ახალ კონსტიტუციში, რომელიც ხაზს უსვამს ყველა სფეროში თანასწორობას და კრძალავს დისკრიმინაციას, ასევე, წარმოაჩენს თუ როგორია სახელმწიფოს ხედვა ოჯახთან, როგორც ერთობასთან დაკავშირებით, აცხადებს რა მის სასიცოცხლო მნიშვნელობას და აწესებს ოჯახის დაცვის ვალდებულებას. ეს ვალდებულებები სახელმძღვანელო პრინციპებს წარმოადგენს სხვა კანონებისა და კანონქვემდებარე აქტებისთვის.

- **მუხლი 14.** ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

²² http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=69&kan_det=det&kan_id=23

- **მუხლი 15.** სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი. სიკვდილით დასჯა აკრძალულია.
- **მუხლი 16.** ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება.
- **მუხლი 17.** ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია. დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება. დაუშვებელია დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება.
- **მუხლი 36.** ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას. სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას. დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით.
- **მუხლი 39.** საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან.

„გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის²³ მე-4 მუხლის მიხედვით (გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის გარანტიები) „სახელმწიფო ხელს უწყობს და უზრუნველყოფს ქალისა და მამაკაცის თანასწორ უფლებებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში“ და მე-10 მუხლის მიხედვით (გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა საოჯახო ურთიერთობებში) საოჯახო ურთიერთობებში აღიარებულ თანასწორობის პრინციპს პირდაპირ უკავშირდება საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლში განმტკიცებული ნორმა, რომლის მიხედვით „ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობას და ნებაყოფლობას“. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის²⁴ 1153 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა) „დაქორწინებისას და საოჯახო ურთიერთობებში არ დაიშვება უფლებების პირაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა, პირდაპირი ან არაპირდაპირი უპირატესობის მინიჭება წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, საქმიანობის სახეობის და ხასიათის, საცხოვრებელი ადგილის და სხვა გარემოებათა მიხედვით.“

საქართველოს კონსტიტუცია ასახავს ადამიანის უფლებების საერთაშორისო ინსტრუმენტების პრინციპებსა და სტანდარტებს. ის არეგულირებს საერთაშორისო და ეროვნული სამართლის საკითხებს და

²³ „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონი მიღებულია 2010 წლის 26 მარტს. იხ. www.parliament.ge (კანონმდებლობა)

²⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მიღებულია 1997 წლის 26 ივნისს შემდგომი ცვლილებებით და დამატებებით იხ. www.parliament.ge (კანონმდებლობა)

აცხადებს საერთაშორისო სამართლის პრიმატს. კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად „საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას²⁵, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ“. კონსტიტუციაში ამგვარი ჩანაწერი ქმნის ძალიან ხელსაყრელ პირობას კონვენციის მოთხოვნათა ცხოვრებაში გასატარებლად. პარლამენტის მიერ რატიფიცირებული კონვენცია ხდება ეროვნული კანონმდებლობის ნაწილი და სხვა შიდასახელმწიფოებრივი კანონების მიმართ უპირატეს ძალას იძენს, რაც ნიშნავს, რომ საკანონმდებლო აქტი, რომელიც არ შეესაბამება კონვენციის ნორმებს, კანონმდებლობით დაცული მექანიზმების ამოქმედებისას ბათილად იცნობა. ამგვარი მიდგომა საერთაშორისო აქტების მიმართ ე.წ. „აბსოლუტური მიდგომით“ არის ცნობილი.

”ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი აზუსტებს კონსტიტუციის მე-6 მუხლს საქართველოს კანონმდებლობაში საერთაშორისო ხელშეკრულების როლთან დაკავშირებით. ხსენებული კანონის მე-4 მუხლის თანახმად, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველონ ნორმატიული აქტია.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა საქართველოს კანონი “საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ”. კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ “საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილია.”

საქართველოს ნორმატიული აქტების მოკლე მიმოხილვაც კი ცხადყოფს, რომ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის ნაწილია, ანუ ნორმატიული აქტი, რომელიც შეიძლება გამოიყენონ ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა თავიანთი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, მათ შორის სასამართლოში და ადმინისტრაციულ ორგანოებში.²⁶

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციასთან მიერთება (CEDAW) და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის 1999 წლის 7-25 ივნისის მიღებული შემაჯამებელი კომენტარებმა-რეკომენდაციებმა საქართველოს პირველ მოხსენებაზე და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებმა განაპირობა საქართველოს მიერ კანონი

²⁵ მიუხედავად იმისა, საქართველოს რამდენიმე ნორმატიულ აქტში, მათ შორის კონსტიტუციაში, მოხსენიებულია ტერმინი ”საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება“, იურიდიული ბუნებით ეს ორი აქტი არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. კ.კორკელია ევროპული სტანდარტების ინტეგრაციისკენ: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს გამოცდილება. გვ.26;

²⁶ კ.კორკელია ევროპული სტანდარტების ინტეგრაციისკენ: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს გამოცდილება. გვ.27.

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ, კერძოდ კი, ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ.“

საქართველოში 90-იანი წლების ბოლოს, ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივიზაციის შემდეგ და პარლამენტის სპიკერთან არსებულ გენდერული თანასწორობის საკონსულტაციო საბჭოს²⁷ ინიციატივით გადაიდგა პირველი ნაბიჯები ოჯახში ძალადობის პრევენციისათვის. 2006 წლის 25 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“²⁸. კანონში მოცემულია ოჯახში ძალადობის განმარტება და მოყვანილია სახელმწიფო მექანიზმები, რომლებიც იცავს მსხვერპლს მოძალადისგან (ქვემოთ დეტალურად განვიხილავთ აღნიშნულ კანონს და დაცვის მექანიზმებს).

ახლა კი განვიხილოთ თუ რას ამბობს ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით საერთაშორისო სამართალი:

შესაძლებელია ითქვას, რომ ამ საკითხზე დუმს საერთაშორისო სამართალი – არ არსებობს საერთაშორისო კონვენცია, რომელიც უშუალოდ ეხება ოჯახში ძალადობას. ასეთი გაუთვალისწინებლობა საერთაშორისო სამართალში აისახება ეროვნულ დონეზეც, როდესაც ხელისუფლება ხშირად არც კი აღიარებს ოჯახში ძალადობას, როგორც დანაშაულს.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ საერთაშორისო სამართალი აყოვნებს სახელმწიფოებისთვის ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის ვალდებულების დაწესებას? ამ კითხვაზე პასუხი უარყოფითია. საერთაშორისო სამართალი აღიარებს პრობლემის არსებობას, მაგრამ პოლიტიკური ნების არარსებობა ხელს უშლის სავალდებულო იურიდიული ძალის მქონე საერთაშორისო დოკუმენტის მიღებას.

უშუალოდ ქალთა უფლებებზე მიღებული საერთაშორისო დოკუმენტები²⁹:

1967 წ. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია;

1993 წ. ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ დეკლარაცია;

1995 წ. პეკინის დეკლარაცია;

1974 წ. დეკლარაცია შეიარაღებული კონფლიქტების და საგანგებო მდგომარეობის დროს ქალების და ბავშვების დაცვის შესახებ;

²⁷ 2010 წლის 26 მარტს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონით” გენდერული თანასწორობის შესახებ” გენდერული თანასწორობის საბჭოს მუდმივმოქმედი სტატუსი მიანიჭა.

²⁸ http://intranet.parliament.ge/index.php?kan_det=det&kan_id=1889&lang_id=GEO&sec_id=69

²⁹ http://www.un.org/ru/documents/decl_conv/decl_women.shtml Права Женщин

2000 წ. პოლიტიკური დეკლარაცია „ქალები 2000 წელს: თანასწორობა მამაკაცსა და ქალს შორის, განვითარება და მშვიდობა XXI საუკუნეში“.

ნათელია, რომ საერთაშორისო სამართალი საკმარისად არ არეგულირებს ოჯახში ძალადობას, მაგრამ ოჯახში ძალადობასთან ბრძოლისათვის შესაძლებელია ზოგადი ხასიათის საერთაშორისო კონვენციების გამოყენება ანალოგიით. ეს, შესაძლებელია, როდესაც სახელმწიფოთა ვალდებულებაზე ვსაუბრობთ, რადგანაც ინდივიდის უფლებას, ცხოვრობდეს პიროვნული უსაფრთხოების ატმოსფეროში, შიშის გარეშე, თან ახლავს სახელმწიფოთა ვალდებულება დაიცვას პირი ძალადობისგან, სადაც არ უნდა ხდებოდეს იგი, და განსაკუთრებით, თუკი ძალადობა ხდება ოჯახში.

მრავალ ქვეყანას აქვს კანონმდებლობა ძალადობის სხვადასხვა ფორმებთან ბრძოლისათვის. თითქმის ყველა ქვეყნის კონსტიტუცია განსაზღვრავს იმ უფლებებსა და თავისუფლებებს, რაც ამ ქვეყანაში ადამიანებს გააჩნიათ. კონსტიტუციები, ასევე შესაძლოა განსაზღვრავდეს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას ამ უფლებების პატივისცემისა და უზრუნველყოფისათვის. სამწუხაროდ, ასეთი კანონები ყოველთვის ან არ არსებობენ, ან ყოველთვის ეფექტურად არ ხდება მათი აღსრულება, ან არ ფარავენ ძალადობის ყველა ფორმას. მაგალითისთვის საკმარის დრო დასჭირდა სახელმწიფოებს, რათა კანონში შეტანილიყო დებულება, რომ ქორწინებაში სქესობრივი ურთიერთობა თანხმობის გარეშე არის გაუპატიურება. ადრე აღიქმებოდა რომ, თუ ქალი გათხოვილია, ის თანახმა უნდა იყოს სექსუალურ ურთიერთობაზე მაშინ, როცა ამის სურვილი ექნება მეუღლეს. სხვა სიტყვებით მისი სხეული მას არ ეკუთვნოდა. მიუხედავად მრავალი ქვეყნის მიერ მიღებული კანონისა ამ თემაზე, ეროვნულ დონეზე რეაგირების უმეტესი ფორმა არასაკმარისია და ხშირია მოძალადეთა დაუსჯელობის შემთხვევები. ეროვნულ დონეზე უმეტესად რეაგირება იყო არაეფექტური და ხშირ შემთხვევაში ძალადობის ჩამდენი პირების დაუსჯელობა არ აღმოფხვრიდა.

ოჯახში ძალადობა და ძალთა უფლებები - საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა

2006 წლის 25 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი³⁰. ამგვარად, სახელმწიფომ აღიარა ოჯახში ძალადობა, როგორც პრობლემა და გამოთქვა მზადყოფნა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისთვის.

კანონის მიზანია განახორციელოს კონსტიტუციით დეკლარირებული უფლებების დაცვა უშუალოდ ოჯახის შიგნით. შექმნას დაცვის სწრაფი და მოქნილი მექანიზმები, მოახდინოს ძალადობის ლოკალიზება, მოძალადის და მსხვერპლის სწრაფი განცალკევება, ეფექტური პრევენცია და მსხვერპლის და მოძალადის რეაბილიტაცია.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით ძალადობა დასჯადი ქმედებაა, მაგრამ მოქალაქეები თავს არიდებდნენ სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიმართვას, რათა არ დამდგარიყო მოძალადის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა. სისხლის სამართლებრივი დაცვის მექანიზმები საკმაოდ განგრძობად, მოუქნელ, ნაკლებად ეფექტურ და დროში გაწველილ პროცესს წარმოადგენდა.

„ოჯახში ძალადობის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს ოჯახში ძალადობის პრევენციას, მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებას. ასევე კანონით განისაზღვრა ოჯახში ძალადობის ცნება, ძალადობის ფორმები, ოჯახის წევრისა და მოძალადის დეფინიცია, ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსი, მსხვერპლთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიები, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმი, მისი გამოვლენისა და აღკვეთის მექანიზმები, დამცავი და შემაკავებელი ორდერების გამოცემისა და გასაჩივრების პროცედურები.

ოჯახში ძალადობის ფაქტებზე საქმეები განიხილება პირველი³¹ და მეორე³² ინსტანციის სასამართლოებში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII³ თავის შესაბამისად. ამ კანონის მე-2 მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანიც.

³⁰ შემდგომში - „კანონი ოჯახში ძალადობის შესახებ“.

³¹ 2009 წლის 12 დეკემბრამდე ოჯახში ძალადობის საქმეები განიხილებოდა, მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოებში და იმავე სასამართლოში სანივრდებოდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების მეშვეობით.

³² 2009 წლის 12 დეკემბერს კანონში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, რომელიც ამოქმედდა 2010 წლის 1 აპრილიდან შესაძლებელი გახდა ოჯახში ძალადობის საქმეებზე პირველი ინსტანციით სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება გასაჩივრდეს მეორე ინსტანციის სასამართლოში

საერთაშორისო დონეზე აღებული ვალდებულებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, სახელმწიფოს მხრიდან „ოჯახში ძალადობა“ საკანონმდებლო რეგულაციის სფეროში მოექცა, რაც ნამდვილად წინგადადგმული ნაბიჯია.

სახელმწიფო სტრუქტურები თავს იკავებდნენ შეხებოდნენ ამ სფეროს, კანონით დაერეგულირებინათ და აღმოეფხვრათ ოჯახში ძალადობა. საქართველოს პარლამენტში კანონის განხილვას ხუმრობა და ირონია ახლდა თან. ეს მცდარი სამართლებრივი შეხედულების, პრობლემის სიღრმისეულად არ ცოდნის და არასწორი შეფასების შედეგი იყო. სახელმწიფო არ აღიარებდა აღნიშნულ პრობლემას, არ იყო განსაზღვრული მისი მასშტაბები და გამომწვევი მიზეზები.

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტისგან 2006 წლის მეორე და მესამე პერიოდულ ანგარიშზე მიღებული რეკომენდაციების თანახმად სახელმწიფოს უნდა ჩაეტარებინა კვლევა ოჯახში ძალადობის გავრცელების, მისი გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების შესახებ³³. 2009 წელს გაეროს მოსახლეობის ფონდის მხარდაჭერით ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა ეროვნული კვლევა, რომელმაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ოჯახში ძალადობის სხვადასხვა ფორმის არსებობა საქართველოში³⁴.

ძალადობა არის ყველა ქმედება, რომელიც ადამიანის ნების საწინააღმდეგოდ ხდება მრავალჯერადად, ერთი პირის მიერ მეორის მიმართ განხორციელებულია არანებაყოფლობითი ფორმით და იწვევს მეორე ადამიანის ტანჯვას, წამებას. ძალადობის, თუ ოჯახში ძალადობის შემთხვევაში სახეზეა გვაქვს: მსხვერპლი, მოძალადე და ქმედება (ძალადობა). საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის რეგულაციის სფეროში ხვდებოდა ისეთი ძალადობის სახეები, როგორცაა: ფიზიკური, სექსუალური ან იძულება. „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით გამიჯნული იქნა ძალადობის შემდეგი ფორმები: ფიზიკური ძალადობა, ფსიქოლოგიური ძალადობა, სექსუალური ძალადობა და ეკონომიკური ძალადობა, ასევე იძულება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციაზე დაყრდნობით საქართველოში ძალადობის სახეების მიხედვით 2007 წლიდან 2011 წლის (6 თვის ჩათვლით) მონაცემები ასე გამოიყურება:

³³ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის დასკვნითი კომენტარები-საქართველო მეორე და მესამე პერიოდულ ანგარიშებზე (CEDAW/C/GEO/2-3) 36 სესიის 15 აგვისტო 2006 წელი. იხ. გაერთიანებული ერების სახელმწიფოებო ორგანოთა დასკვნითი შენიშვნები საქართველოს მეორე და მესამე პერიოდულ ანგარიშებზე 2008 წლის მარტის მდგომარეობით გამოცემული საქართველოში გაეროს ადამიანის უმადლეხი კომისიის წარმომადგენლობის ფინანსური მხარდაჭერით. გვ.83, რეკ. 20.

³⁴ “ქალთა მიმართ ოჯახური ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში, 2010 წ.”, გაეროს მოსახლეობის ფონდის და ნორვეგიის მთავრობის მიერ ერთობლივად დაფინანსებული პროექტის - ”დაეძლიათ გენდერული ძალადობა ამიერკავკასიაში” - ფარგლებში კვლევა ჩატარეს ორგანიზაციებმა “ესითი კვლევა” და სოციალური მეცნიერებათა ცენტრი ი.ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი.

ძალადობის სახეები	სტატისტიკური ფაქტებზე ³⁵	მონაცემები	ოჯახში	ძალადობის	
	2011 (6თვის)	2010	2009	2008	2007
ფიზიკური	86	134	68	118	260
ფსიქოლოგიური	119	170	112	168	474
იძულება	9	6	7	3	10
სექსუალური	12	3	-	1	4
ეკონომიური	1	11	9	8	28

ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მანვენებელი პრაქტიკის მიხედვით ყველა ქვეყანაში მაღალია.

კვლევები ადასტურებს, რომ ოჯახში ძალადობა, ძალადობის სახეების მიხედვით, არ შემცირებულა. თუმცა, შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემები აღრიცხულია პოლიციის მიერ გამოცემულ შემაკავებელ ორდერზე დაყრდნობით. აშკარაა, რომ განმცხადებელიც არ აკეთებს განცხადებას ყველა სახის ძალადობაზე. ამის ორი მიზეზი აქვს: პირველი, რომ ვერ, ან არ აღიქვამს ამგვარ მოპყრობას ძალადობად და მეორე, ჩამოყალიბებული სტერეოტიპების მიხედვით მიაჩნია, რომ ეს მისი „პირადი საქმეა“. არანაკლებ საყურადღებოა რამდენად სრულყოფილად ახდენენ ძალადობის სახეების იდენტიფიცირებას შემთხვევის ადგილას გასული პოლიციის თანამშრომლები სოციალური მუშაკების გარეშე. სოციალურ მუშაკებს, ექიმებს, ფსიქოლოგებს უფრო მეტი პროფესიონალიზმი გააჩნიათ, თუ როგორ მოახდინონ იდენტიფიცირება დაფარული ძალადობის კვალის გამოსაველენად. შემაკავებელი ოქმის შედგენის დროს სოციალურ მუშაკები, ექიმები ან ფსიქოლოგები დაეხმარებიან პოლიციელებს, რომ მსხვერპლმა დაძლიოს ფსიქოლოგიური შიში და უფრო გაბედულად ისაუბროს ყველა სახის ძალადობაზე, რაც მასთან მიმართებაში განახორციელა მოძალადემ.

პირველ ეტაპზე დაინტერესდით მოიპოვებოდა თუ არა საქართველოში ოჯახში ძალადობის ფაქტებზე გენდერული ნიშნით კლასიფიცირებული სტატისტიკა და რომელი კანონმდებლობით რეგულირდებოდა ეს საკითხი, ვინაიდან, 2006 წლის 25 აგვისტოს, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი გამოთქვამდა სინანულს, რომ გენდერული ნიშნით კლასიფიცირებული სტატისტიკური მონაცემები არასაკმარისად იყო წარმოდგენილი საქართველოს მეორე და მესამე პერიოდულ მოხსენებებში.³⁶

³⁵ შსს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველო 08.07.2011. 02:34:46PM მიმდინარეობს მონაცემთა ინვენტარიზაცია და შესაძლებელია მცირეოდენი ცვლილებები.

³⁶ რეკომენდაცია №10

„ოჯახში ძალადობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი ერთ-ერთ პრევენციულ მექანიზმად მოიაზრებს შესაბამისი სტატისტიკის წარმოებას. თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებათა განმახორციელებელი ანუ, კანონის მიხედვით, სტატისტიკის მწარმოებელი ორგანოებია: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა და სასამართლო.

ამავე კანონის გარდამავალი დებულებებით საქართველოს შსს დაევალა მოძალადეთა შესახებ, ასევე, გაცემული დამცავი და შემაკავებელი ორდერების თაობაზე მონაცემთა ბაზის ფორმირება, დაინტერესებულ სახელმწიფო ორგანოებთან ინფორმაციის დროული გაცვლა და მასზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა³⁷.

აღნიშნულის ფარგლებში 2010 წლის 30 აპრილს საქართველოს შსს, საქართველოს უზენაეს სასამართლოს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს, საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურის სახელით ხელი მოეწერა მემორანდუმს სტატისტიკის წარმოებასთან დაკავშირებით.

სისხლის სამართლის სტატისტიკის რეფორმის ფარგლებში, უწყებათაშორისი კოორდინაციის გზით შემუშავდა სტატისტიკური აღრიცხვისა და ანგარიშგების ერთიანი, შეთანხმებული მეთოდოლოგია, რაც აისახა უწყებათაშორისი თანამშრომლობის მემორანდუმში სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ³⁸. მემორანდუმი განსაზღვრავს ერთიანი სტატისტიკური ანგარიშის სტრუქტურას, შინაარსს, გამოქვეყნების წესსა და ვადებს, ასევე, ითვალისწინებს ერთიანი სტატისტიკური ანგარიშის გამოქვეყნებას ყოველთვიურად.

ერთიანი ანგარიშის მიზნებისათვის შსს წარმოადგენს ინფორმაციას გამოძიების ისეთი ეტაპების შესახებაც, როგორცაა, კონკრეტულ დანაშაულზე დაწეხული გამოძიების შეწყვეტა, დანაშაულის გადაკვალიფიცირება. ინფორმაცია დაზარალებული პირების,

³⁷ კანონის მუხლი 21. ამ ქმედებასთან დაკავშირებული ღონისძიებები (ძალაშია 2010 წლის 1 აპრილიდან)

³⁸ თანამშრომლობის მემორანდუმი სისხლის სამართლის სტატისტიკი ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ. ელექტრონული ვერსია იხილეთ http://www.justice.gov.ge/files/Departments/Analytical/Georgia/MoU_Statistics.pdf (მონახულებული 2012 წლის 14 აგვისტოს).

ადმინისტრაციული სამართალ-დარღვევებისა და ოჯახში ძალადობის ფაქტების შესახებ.³⁹

საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით რეკომენდირებულია, კანონმდებლობა ითვალისწინებდეს სტატისტიკის რეგულარულ შეგროვებას: ძალადობის ყველა ფორმის, შემთხვევისა და შედეგის შესახებ, განსაკუთრებით ქალებთან მიმართებაში. ასევე ძალადობის შეჩერებასთან, დასჯასა და ძალადობის აღმოფხვრასთან დაკავშირებით გატარებულ ეფექტურ ღონისძიებებზე. ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით სტატისტიკის წარმოება სავალდებულოა ხორციელდებოდეს სქესის, ეროვნული კუთვნილების, ასაკის, ეთნიკური კუთვნილებისა და სხვა მახასიათებლების გათვალისწინებით. სტატისტიკური მონაცემები ძალზედ მნიშვნელოვანია მონიტორინგის დროს კანონმდებლობის ეფექტურობის განსაზღვრის თვალსაზრისით.

სტატისტიკის წარმოებას ითვალისწინებს „გენდერული თანასწორობის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლიც, რომლის მიხედვითაც „ოფიციალურ სტატისტიკურ ანგარიშებში შეიტანება სქესის ნიშნით განცალკევებული მონაცემები“.

საქართველოში ოფიციალური სტატისტიკის წარმოების წესი და პირობები განსაზღვრულია „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“⁴⁰ საქართველოს კანონით, რომლის თანახმადაც, „ოფიციალური სტატისტიკა ეს არის სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ სტატისტიკურ საქმიანობათა სისტემა, რომლის საფუძველზეც მიიღება ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური, დემოგრაფიული და ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის ამსახველი სტატისტიკური მონაცემები“.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ, ოჯახში ძალადობის საქმეებზე გამოთხოვილ იქნა გენდერული სტატისტიკური მონაცემები⁴¹ საქართველოს ეროვნული სტატისტიკის დეპარტამენტიდან, საქართველოს შსს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკისა და ინფორმატიზაციის განყოფილებიდან და თბილისის საქალაქო საქმეთა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიიდან.

ინტერესის სფეროს წარმოადგენდა:

1. საქართველოს მაშტაბით ოჯახში ძალადობის საქმეებზე, რამდენად ხშირად გამოიყენებოდა ადმინისტრაციული სამართლებრივი დაცვის მექანიზმები; ხდებოდა თუ არა სტატისტიკის წარმოება გენდერული

³⁹ ოჯახში ძალადობის ფაქტების სტატისტიკა აღირიცხება გამოცემული შემაკავებელი ორდერების შესაბამისად შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 26 დეკემბრის №1630 და 2010 წლის 24 მარტის №333 ბრძანებების საფუძველზე (საადრიცხო ფორმა №7ა).

⁴⁰ საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“, http://geostat.ge/cms/site_images/law_geo.pdf

⁴¹ იხ. დანართი.

ნიშნით წლების მიხედვით; მოძალადეთა და მსხვერპლთა რაოდენობა სქესობრივ და ასაკობრივ ჭრილში;

2. ოჯახში ძალადობის ფაქტებზე ძალადობის სახეები - ფიზიკური, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, იძულება - სქესობრივ და ასაკობრივ ჭრილში;
3. საქართველოს მასშტაბით, პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ ოჯახში ძალადობის შემთხვევებთან დაკავშირებით განხილულ საქმეთა რაოდენობა წლებისა და ძალადობის სახეების მიხედვით გენდერულ ჭრილში;
4. თბილისის საქალაქო სასამართლოში შემაკავებელი და დამცავი ორდერის დასამტკიცებლად შეტანილი შუამდგომლობის რაოდენობა ძალადობის სახეების მიხედვით;
5. თბილისის სააპელაციო სასამართლოში გასანივრებული შუამდგომლობის რაოდენობა 2009 წლის შემდეგ.

აღნიშნული სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ საქართველოში ძალადობის მსხვერპლთა უმრავლესობა ქალია. ოჯახში ძალადობის დროს უფრო მეტად დაუცველნი ქალები და ბავშვები არიან.

2008-2010 წლებში ზოგიერთ რეგიონში ძალადობის ფაქტი არ ფიქსირდება. ამის მიზეზი არა ოჯახში ძალადობის ფაქტების არარსებობა, არამედ ადმინისტრაციული სამართლებრივი დაცვის მექანიზმებთან დაკავშირებით არასაკმარისი ინფორმაცია, საზოგადოების მხრიდან ოჯახში ძალადობის შემთხვევების „პირად საქმედ“ აღქმა და არსებული სტერეოტიპებია.

შსს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოს მიერ მოწოდებულ სტატისტიკის შესაბამისად წლების მიხედვით 92%-დან 95%-მდე მსხვერპლად გვევლინება ქალი, ხოლო მოძალადედ 90%-დან 95%-მდე მამაკაცი. მოძალადე ქალი 5%-დან 10%-მდე, ხოლო მსხვერპლი მამაკაცი 5%-დან 12%-მდე მერყეობს.

- 2007 წელს** მსხვერპლი მამაკაცი 12%; მსხვერპლი ქალი 88%;
მოძალადე მამაკაცი 90%; მოძალადე ქალი 10%;
- 2008 წელს** მსხვერპლი მამაკაცი 5%; მსხვერპლი ქალი 94%;
მოძალადე მამაკაცი 90%; მოძალადე ქალი 10%;
- 2009 წელს** მსხვერპლი მამაკაცი 7%; მსხვერპლი ქალი 93%;
მოძალადე მამაკაცი 95%; მოძალადე ქალი 5%;
- 2010 წელს** მსხვერპლი მამაკაცი 12%; მსხვერპლი ქალი 88%;
მოძალადე მამაკაცი 92%; მოძალადე ქალი 8%;

გამოთხოვილი სტატისტიკის ანალიზი გენდერულ ჭრილში გვიჩვენებს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის დასკვნით კომენტარებთან⁴² საქართველოსთან მიმართებაში და ეკონომიკურ და სოციალურ საკითხების დეპარტამენტის ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების განყოფილების⁴³ რეკომენდაციების მოთხოვნებთან მიახლოებულ სტატისტიკას აწარმოებს შსს. კომუნიკაციის სიმარტივისა და ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით გამოირჩეოდა თბილისის უხენაესი სასამართლო, შსს და სსიპ-საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასთან ურთიერთობისთვის საჭირო აღმოჩნდა დიდი ძალისხმევა, მაგრამ, სამწუხაროდ, სტატისტიკა გენდერულ ჭრილში დამუშავებული ძალადობის სახეების მიხედვით არ აღმოჩნდა. ჩვენს მიერ მოთხოვნილ ინფორმაციაზე თუ რა სახის ძალადობაზეა გამოცემული დამცავი და შემაკავებელი ორდერები, რამდენ შემთხვევაშია მსხვერპლად წარმოდგენილი ქალი და რამდენ შემთხვევაში მამაკაცი, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის ბიუროს ხელმძღვანელის მიერ განგვემარტა წერილობით, რომ „ასეთი ინფორმაციის მოძიებისთვის საჭიროა საქმეების სისტემატიზაცია და საარქივო დამუშავება, რაც მოითხოვს საკმაოდ დროს. ამასთან, სასამართლო თავის საქმიანობას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. შესაბამისად, სასამართლოს აპარატი დაკავებულია სასამართლოსთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების შესრულებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, ამ ტიპის საქმეების დამუშავება და ამ მიზნით სასამართლოს ადმინისტრაციული პერსონალის ძირითადი რესურსების მობილიზება ამ ეტაპზე არ წარმოადგენს სასამართლოს საქმიანობის აუცილებელ საჭიროებას”. **ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ვერ მოხერხდა სასამართლო პრაქტიკის სიღრმისეული ანალიზი.**

ჩვენი ინტერესის მეორე სფეროს წარმოადგენდა მეორე და მესამე პერიოდულ ანგარიშებზე მიღებული რეკომენდაცია №13 - გამოთქმული კომიტეტის შეშფოთება, იმის შესახებ რომ „მოსამართლეები, ადვოკატები, პროკურორები და თავად ქალები არასაკმარისად არიან ინფორმირებულნი კონვენციის ნორმების, ფაკულტატური ოქმისა და კომიტეტის ზოგადი რეკომენდაციების შესახებ. აღნიშნულზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ არ არსებობს კონვენციაზე დაყრდნობით გამოტანილი არც ერთი სასამართლო გადაწყვეტილება.”

⁴² ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის დასკვნითი კომენტარები-საქართველო მეორე და მესამე პერიოდულ ანგარიშებზე (CEDAW/C/GEO/2-3) 36 სექციის 15 აპენდის 2006 წელი (იხ. CEDAW/C/SR.747 და 748; კომიტეტის განსახილველი საკითხები და შეკითხვების სია აისახა (CEDAW/C/GEO/3-ში) საქართველოს პასუხები აისახა CEDAW/C/GEO/1-ში)

⁴³ Рекомендация 3.3.2.мониторинг и оценка,Сбор статистических данных. Пособие для разработки законодательства по вопросам насилия в отношении женщин. 2009, Издание Организации Объединенных Наций. Департамент по экономическим и социальным вопросам, отдел по улучшению положения женщин

რეკომენდაციაში დასმულ საკითხთან დაკავშირებით მივმართეთ თბილისის საქალაქო სასამართლოს და დავინტერესდით ეროვნულ კანონმდებლობასთან ერთად გადაწყვეტილების დასაბუთებისას, პრაქტიკაში იყო თუ არა გამოყენებული „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია“ და დამატებითი ფაქულტატიური ოქმი, რაზედაც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის ბიურომ გვიპასუხა, რომ „ამ ნიშნით სტატისტიკური დამუშავება არ მიმდინარეობს და მოკლებული ვართ თქვენი მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას⁴⁴.

საქართველოს სახალხო დამცველის 2000 წლის ანგარიშის თანახმად⁴⁵, საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკის შესწავლამ ცხადყო, რომ იკვეთება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ საერთაშორისო აქტების მზარდი გამოყენების ტენდენცია. საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ საერთაშორისო აქტების გამოყენება დაიწყო 1999/2000 წლიდან, რასაც საქართველოს კონსტიტუციამ (1995 წ.) ჩაუყარა სამართლებრივი საფუძველი. ეს პერიოდი 1995 წლიდან 1999/2000 წლამდე, შეიძლება საქართველოს სასამართლოების მიერ საერთაშორისო აქტების, მათ შორის საერთაშორისო ხელშეკრულებების, გამოყენების „აკლიმატიზაციის“ პერიოდად ჩაითვალოს. ამ პერიოდიდან ნელ-ნელა იცვლება საქართველოს სასამართლოების ნეგატიური დამოკიდებულება საერთაშორისო აქტების გამოყენებასთან დაკავშირებით პოზიტიურისკენ.⁴⁶

2006 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ ნორვეგიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა კვლევა “საქართველოს სასამართლოების მუშაობაში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოყენების შესახებ”⁴⁷. როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს კონვენციების პრაქტიკაში გამოყენებასთან დაკავშირებით მოსამართლეები სასამართლო პრაქტიკაში ყველაზე ხშირად ადამიანის საყოველთაო დეკლარაციასა და ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის ევროპულ კონვენციას⁴⁸ იყენებენ. მოსამართლეებისათვის ეს არის ის ორი ძირითადი დოკუმენტი, რომელიც მათი თქმით, საფუძვლად უდევს სამართალწარმოებას.

⁴⁴ წერილი №1665 თბილისის საქალაქო სასამართლოს, 2011 წლის 27 მაისი.

⁴⁵ „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ: 2000 წლის 1 იანვრიდან 1 ნოემბრამდე“;

⁴⁶ ამ საკითხთან დაკავშირებით იხ.საქ.სახალხო დამცველის ანგარიში 2000 წლის 1 იანვრიდან 1 ნოემბრამდე.თბ., 2000 წელი, გვ.27-28. კ.კორკელია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება საქართველოში.თბ.,2007გვ.64;

⁴⁷ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებები და საქართველოს სასამართლო პრაქტიკა. პირველი ნაწილი 2006 გვ.22 (კვლევამ მოიცვა 4 სასამართლო- საქალაქო, სააპელაციო, უზენაესი და საკონსტიტუციო. კვლევაში გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს მეთოდი, კერძოდ 120 მოსამართლიდან 60 მოსამართლეს ჩაუტარდა ინტერვიუ);

⁴⁸ საქართველოში ძალაშია საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 12 მაისის №1940 დადგენილებით.

დასმულ კითხვაზე, ყველაზე ხშირად ადამიანის უფლებათა რომელ საერთაშორისო დოკუმენტს იყენებენ უზენაესი, საკონსტიტუციო, სააპელაციო, საქალაქო სასამართლოს მოსამართლეები სასამართლო პრაქტიკაში, ხმების რაოდენობა შემდეგნაირად გადანაწილდა:

რიცხვები გამოხატავს რესპოდენტთა რაოდენობას	უზენაესი სასამართლო	საკონსტიტუციო სასამართლო	სააპელაციო სასამართლო	საქალაქო სასამართლო
ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია	7	3	4	13
საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ	5	1	3	7
საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ	7	3	6	6
გაეროს კონვენცია წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური თუ ღირსების შემლახავი მოპყრობისა და სასჯელის წინააღმდეგ	2	1	5	1
გაეროს ძირითადი პრინციპები სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ	5	2	2	3
ბავშვთა უფლებების დეკლარაცია	2		9	4
ბავშვთა უფლებების კონვენცია	1		12	3
ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია				1
ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენცია	7	4	8	8
ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმები	4	1	3	
ევროპული კონვენცია ექსტრადიციის შესახებ	1		5	2
ევროპული კონვენცია სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების შესახებ	1		1	
ევროპული სოციალური ქარტია	1		7	1
ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ			3	
კონვენცია მსჯავრდებულ პირთა გადაცემის შესახებ			1	

მოსამართლეთა თვალსაზრისით ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეკრულებებისადმი მიმართვას და მოსამართლეთა პრაქტიკულ საქმიანობაში მათ გამოყენებას, თეორიულად, არაფერი ეწინააღმდეგება, პირიქით, უკანასკნელი წლების განმავლობაში აღნიშნულ კონვენციებს დიდი ყურადღება ექცევა და სახელმწიფო ცდილობს წახალისოს მათი გამოყენება. რესპოდენტების აზრით, ამის ერთ-ერთი მანქვენებელია ისიც, რომ მოსამართლეთა საგამოცდო საკითხებში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეკრულებებს. ძირითადი ფაქტორი, რაც აფერხებს მოსამართლეების მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებების უფრო აქტიურ გამოყენებას, დროის უქონლობაა. სასამართლოებში თითოეული მოსამართლის მიერ წელიწადში რამდენიმე ასეული საქმე განიხილება და მათ ფიზიკურად არ რჩებათ დრო უფრო აქტიურად გამოიყენონ საერთაშორისო კონვენციები და გაიზიარონ ევროსასამართლოს გამოცდილება. მოსამართლეებს მიაჩნიათ, რომ მათ უნდა ჰქონდეთ ნაკლები საქმე და მეტი დრო.

იმ შემთხვევაში თუ კონკრეტულ საკითხს დამაკმაყოფილებლად არეგულირებს ადგილობრივი კანონმდებლობა, მოსამართლეები ძირითადად მის გამოყენებას არჩევენ, ხოლო თუ ადგილობრივ კანონმდებლობაში არ არსებობს შესაბამისი ნორმა, რომელიც გარკვეულ მდგომარეობას არეგულირებს, მაშინ სასამართლო ევროპულ კონვენციებს იყენებს პირდაპირი მოქმედების წესით. თუ ნორმა არსებობს, მაგრამ ევროპული კონვენცია აწესებს უფრო მაღალ სტანდარტს, მოსამართლე იღებს გადაწყვეტილებას, რომელი მათგანი გამოიყენოს.

აღნიშნული კვლევიდან გამოიკვეთა სხვა პრობლემებიც, რომელიც 2011 წლისთვის აღმოფხვრილია სასამართლო პრაქტიკაში, კერძოდ, უკვე არსებობს სახელმძღვანელო გაიდლაინები, ასევე სასამართლო პრაქტიკა - როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული - ხელმისაწვდომია უზენაესი სასამართლოს ვებ გვერდზე⁴⁹, სასამართლოს პრეცედენტების შესახებ ინფორმაცია, ნათარგმნი ეროვნულ ენაზე, ხელმისაწვდომია ინტერნეტიდან, ასევე მრავლადაა ბეჭდური ლიტერატურაც, თუმცა ინფორმაცია სასამართლო პრაქტიკაში საერთაშორისო აქტების გამოყენებაზე ხელმისაწვდომია უფრო მეტად ევროპულ კონვენციებსა და ევროპულ სასამართლო პრაქტიკაზე, ვიდრე გაეროს კონვენციაზე, ფაკულტატურულ ოქმებსა და რეკომენდაციებზე.

მოსამართლეები, ადვოკატები და პროკურორები არასაკმარისად არიან ინფორმირებული ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის (CEDAW) ნორმების, ფაკულტატური ოქმისა და კომიტეტის ზოგადი რეკომენდაციების შესახებ, ამიტომაც ეფექტურად ვერ იყენებენ საქმის წარმოების დროს ეროვნულ კანონმდებლობასთან ერთად აღნიშნულ საერთაშორისო ნორმებს. სახელმწიფომ დამატებითი ზომები უნდა

⁴⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლო, <http://www.supremecourt.ge/>

მიიღოს გაეროს კონვენციის, ფაკულტატიური ოქმით გათვალისწინებული პროცედურებისა და ზოგადი რეკომენდაციების პრაქტიკაში გამოყენების საკითხთან დაკავშირებით. დანერგოს სასწავლო პროგრამები მოსამართლეთა, ადვოკატთა და პროკურორთა სასწავლო ცენტრებში.

„ოჯახში ძალადობის შესახებ“ საქართველოს კანონის⁵⁰ მიხედვით ოჯახის წევრებს წარმოადგენენ: დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), შვილობილი, მიმღები ოჯახი (დედობილი, მამობილი) შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები, მეურვე. 2009 წლის 28 დეკემბერს კანონში ცვლილებების⁵¹ შედეგად გაფართოვდა ოჯახის წევრთა შემადგენლობა და ოჯახის წევრთა სიას დაემატა: **მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, ნაშვილები**, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირების ოჯახის წევრები.

მიზანშეწონილია, აღნიშნულმა მუხლმა კიდევ განიცადოს მომავალში ცვლილება და ოჯახის წევრთა სიას დაემატოს ოჯახის წევრის სტატუსით შინამოსამსახურეები⁵², ადამიანები რომლებიც ერთ შინამეურნეობას ეწევიან სხვა ოჯახის წევრებთან ერთად.

ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმები, კანონის მე-6 მუხლის თანახმად, გულისხმობს იმ სოციალურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და სხვა ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც მიმართულია ოჯახში ძალადობის მიზეზებისა და წინაპირობების თავიდან ასაცილებლად, ოჯახში ძალადობის ფაქტების აღკვეთის, მოძალადის სამართლებრივი დევნის, მსხვერპლისა და მოძალადის რეაბილიტაციისა და ადაპტაციისაკენ. სახელმწიფო თავისი უფლებამოსილი ორგანოების მეშვეობით ხელს უწყობს და უზრუნველყოფს ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმების დანერგვასა და განხორციელებას.

კანონის ძირითად მიზანს წარმოადგენს პრევენციულ ღონისძიებათა განხორციელების გზით ძალადობის თავიდან აცილება და მოძალადის მიმართ გარკვეული სარეაბილიტაციო ღონისძიებების განხორციელება, რათა მან შეიგნოს ძალადობის, როგორც ქმედების დანაშაულებრიობა და მომავალში აღარ გაიმეოროს აღნიშნული ქმედება. აღნიშნული კანონის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილში დეტალურადაა გაწერილი ჩასატარებელი სამუშაოები, რომელიც ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმებს გულისხმობს:

⁵⁰ საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, 2006.05.25

⁵¹ „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, 2009 წლის 28 დეკემბერი. №2507–რს

⁵² Рекомендация 3.4.2.2. Пособие для разработки законодательства по вопросам насилия в отношении женщин. 2009, Издание Организации Объединенных Наций. Департамент по экономическим и социальным вопросам, отдел по улучшению положения женщин.

- იმ ფაქტორების ანალიზი, შესწავლა და შეფასება, რომელიც ოჯახში ძალადობის მიზეზებია;
- ეფექტიანი სამართლებრივი მეთოდების დანერგვა ოჯახში ძალადობის ფაქტების გამოსავლენად და აღსაკვეთად;
- შესაბამისი სტატისტიკის წარმოება;
- პრევენციული ღონისძიებების გატარება იმ პირების მიმართ, რომელიც ოჯახში ძალადობის ჩადენის რისკ-ჯგუფებს განეკუთვნებიან ან რომელთაც ოჯახში ჩადენილი აქვთ ძალადობა;
- სათანადო საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის წარმართვა, რათა ადამიანები ფლობდნენ ინფორმაციას თავიანთი უფლებებისა და ვალდებულებების, ასევე დაცვის გარანტიების თაობაზე, მათ შორის, იმ უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფს ოჯახის წევრთა თანასწორობასა და ურთიერთვალდებულებებს;
- ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მოძალადის პასუხისმგებლობა, მსხვერპლის უფლებებისა და ამ უფლებების დაცვის გარანტიების შესახებ ინფორმაციის გავრცელება და ხელმისაწვდომობა;
- ოჯახში ძალადობის ფაქტების შემთხვევაში მსხვერპლთათვის დახმარებისა და დაცვის, ხოლო მოძალადეთათვის სარეაბილიტაციო ღონისძიებების განხორციელება;
- ოჯახში ძალადობის პრევენციის უზრუნველსაყოფად დაინტერესებულ ინსტიტუტებთან ერთად ერთობლივი პროგრამების შექმნა და მხარდაჭერა.

კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრულია ის სახელმწიფო სტრუქტურები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან განახორციელონ ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებები. ამ კანონით დადგენილი წესით ყოველივე ზემოაღნიშნულს უზრუნველყოფენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს პროკურატურისა და სასამართლო ორგანოები.

მართალია კანონში მეტნაკლებად სრულყოფილადაა გაწერილი ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმები და მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ინსტიტუტები, მაგრამ დღეის მდგომარეობით ჯერ კიდევ არ ხერხდება ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმის სრულად ამოქმედება, რაც თავისთავად უარყოფითად მოქმედებს კანონის ეფექტურობასა და კანონით დასახული მიზნის მიღწევაზე.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადეკვატურად უნდა დაფინანსდეს კანონმდებლობით და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობის სახეები. ადეკვატური დაფინანსების გარეშე შეუძლებელია კანონმდებლობის ეფექტურად ამოქმედება.

უნდა აღინიშნოს ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის თვალსაზრისით განსახორციელებელი ღონისძიებათა 2007-2008⁵³ და 2009-2010⁵⁴ სამოქმედო გეგმების შესახებაც, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო კანონის ეფექტურად ამოქმედებისთვის, მაგრამ უმეტესი აქტივობები აუთოქმედებელი გადადიოდა წლების მიხედვით მომდევნო სამოქმედო გეგმაში. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, სოციალურ მუშაკთა სტატუსის განსაზღვრა და მათი საქმიანობის ლეგიტიმაცია, დაგეგმილი იყო 2007-2008 წლის სამოქმედო გეგმით. აღნიშნული აქტივობა არ განხორციელდა და გადავიდა 2009-2010 წლის სამოქმედო გეგმაში⁵⁵, მაგრამ დღემდე არ ამოქმედებულა. ძალზედ მნიშვნელოვანია ხსენებული ინსტიტუტის სრულფასოვნად ამოქმედება, რადგანაც „ოჯახში ძალადობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად სოციალური მომსახურება მოიცავს:

- ოჯახური დაკავშირების მიხედვით შესწავლას, შესაბამის ანალიზს და დაკავშირების დაძლევაში ოჯახის წევრთა დახმარებას;
- ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერისა და თანადგომის ღონისძიებების განხორციელებას;
- შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან ერთად ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა რისკ-ჯგუფების გამოვლენასა და მათთან დაკავშირებული პრობლემების დაძლევაში ხელშეწყობას;
- დამცავი და შემაკავებელი ორდერებით გათვალისწინებული საკითხების აღსრულების მონიტორინგს;
- მოძალადეთა და მსხვერპლთათვის დახმარებისა და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამების შემუშავებას და მათი განხორციელების ხელშეწყობას.

აღნიშნული მუხლიდან ნათლად ჩანს, თუ რა დიდი როლი ენიჭება სოციალურ მომსახურებას ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებების განხორციელებისას. მიუხედავად აღნიშნულისა, კანონის მე-8 მუხლის ამოქმედება გადაიდო 2008 წლის 1 იანვრისთვის, ხოლო 2009 წლის 28 დეკემბრის განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით ამ მუხლის მოქმედება შეჩერებულ იქნა 2015 წლის 1 ივლისამდე.

ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის არანაკლებ მნიშვნელოვანი მეორე კომპონენტია მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრები. 2006 წლის 25 მაისს

⁵³ „ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების კონკრეტული ღონისძიებების სპეციალური გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 30 ივლისის №406 განკარგულებით დამტკიცებული ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის თვალსაზრისით განსახორციელებელ ღონისძიებათა 2007-2008 წლების სამოქმედო გეგმა;

⁵⁴ „ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2009-2010 წლების სამოქმედო გეგმა დამტკიცებული საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 23 აპრილის №304 განკარგულებით;

⁵⁵ იხ. 2009-2010 წლების სამოქმედო გეგმა (საქმიანობა 1.2.2. და 1.2.3)

მიღებული კანონის მე-20 მუხლით გათვალისწინებული იყო მოძალადეთა დროებითი განთავსების ან/და რეაბილიტაციის უზრუნველსაყოფად, კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში, ასევე არასამეწარმეო იურიდიული პირის მიერ მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრების შექმნა. მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრებს უნდა დაეკმაყოფილებინა სამინისტროს მიერ ამ ტიპის დაწესებულებისათვის დადგენილ მინიმალურ სტანდარტები და უზრუნველყო მოძალადეთა დროებით განთავსება, მათი ფსიქოლოგიური დახმარება და მკურნალობა.

კანონის მე-20 მუხლის თანახმად სარეაბილიტაციო ცენტრი უნდა ამოქმედებულიყო 2008 წლის 01 იანვრიდან, რაც არ განხორციელებულა, ხოლო 2009 წლის 28 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ აღნიშნული მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: (მუხლი 20. მოძალადეთა სარეაბილიტაციო ღონისძიებები) „მოძალადეთა სარეაბილიტაციო ღონისძიებები გულისხმობს იმ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია მოძალადის ფსიქოლოგიურ-სოციალური დახმარებისა და გაჯანსაღებისაკენ, ცალკეული მავნე ჩვევებისაგან (ალკოჰოლიზმი, ნარკომანია ან ისეთი ფსიქიკური დაავადება, რომელიც არ გამორიცხავს შერაცხადობას) პირის განკურნებისა და რეაბილიტაციისაკენ და დაკავშირებულია ძალადობის შემდგომი გამოვლინების თავიდან აცილებასა და მსხვერპლის შემდგომი უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან. მოძალადეთა სარეაბილიტაციო ღონისძიებები და მათი განხორციელების წესი და ფორმები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.“

ახალი რედაქციით მიღებული მუხლის ამოქმედება შეჩერდა 2015 წლის 01 ივლისამდე. ეს ყოველივე სერიოზულ საფრთხეს უქმნის მსხვერპლს, რადგან მოძალადე არ გადის რეაბილიტაციას და თავშესაფრიდან ძალადობის მსხვერპლი ბრუნდება ისევ იმ ადგილას, სადაც ყოველთვის მძინვარებს ძალადობის კერა.

პოზიტიური ფაქტორია, რომ 2009-2010 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მოძალადეთა რეაბილიტაციის კონცეფციის შემუშავება⁵⁶ საქართველოს მთავრობის განკარგულებით №55-1 დამტკიცდა 2011 წლის 13 იანვარს №55 განკარგულებით. აღნიშნული კონცეფცია ძალაში შედის 2011 წლის 01 ივნისიდან. კონცეფციის ამოცანას წარმოადგენს:

- მოძალადეთა შესაბამისი სარეაბილიტაციო მექანიზმების შექმნა;
- მოძალადეთა სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართვის მექანიზმების განსაზღვრა;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

⁵⁶ იხ. 2009-2010 წლების სამოქმედო გეგმა (საქმიანობა 3.1.1.)

მოძალადეთა რეაბილიტაციის კონცეფციის შემდგომი განვითარებისათვის სახელმწიფო სტრატეგიისა და რეკომენდაციების შემუშავება გაიწერა „ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2011-2012 წლების სამოქმედო გეგმაში.“⁵⁷

ეს ყოველივე ნამდვილად პოზიტიური იქნებოდა, თუ 2006 წელს, კანონის მიღებიდან უმოკლეს ვადებში მოგვარდებოდა. 2011 წელს კი, კანონის მიღებიდან გასულია 5 წელი და ჯერ კიდევ არ არის ქმედითი პროგრამები მოძალადეთა სარეაბილიტაციო ღონისძიებებთან დაკავშირებით, და კიდევ 2 წელი დასჭირდება სახელმწიფოს, რათა შეიმუშაოს სტრატეგია და რეკომენდაციები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონის მე-20 მუხლით გათვალისწინებული მოძალადეთა სარეაბილიტაციო ღონისძიებები შეჩერდა 2015 წლის 1 ივლისამდე.

სამოქმედო გეგმა უნდა შეიცავდეს კომპლექსურ მოქმედებებს, კონკრეტული ეტაპებით და მაჩვენებლებით, რათა უზრუნველყოფილი იქნას სხვადასხვა ჩარჩო ყოველისმომცველი და კოორდინირებული მიდგომა კანონმდებლობის ყველა მუხლის ასამოქმედებლად.

2009-2010 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში შემუშავდა ეროვნული რეფერალური მექანიზმები⁵⁸, რომელიც დამტკიცდა ოჯახში ძალადობის საუწყებოთაშორისო საბჭოს⁵⁹ მიერ. აღნიშნული რეფერალური მექანიზმების შემდგომი დახვეწა/გაუმჯობესება გაწერილია 2011-2012 წლის სამოქმედო გეგმაში.

სხენებული გეგმის⁶⁰ ფარგლებში, აღსანიშნავია არასამთავრობო, სამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების კონსტრუქციული მუშაობის შედეგად განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები⁶¹ „ოჯახში ძალადობის შესახებ“ საქართველოს კანონსა და მისგან გამომდინარე საკანონმდებლო აქტებში: საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსში; საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსში; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში; კანონში საჯარო სამსახურის შესახებ; „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში; საქართველოს შრომის კოდექსში.

⁵⁷ „ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2011-2012 წლების სამოქმედო გეგმა“ დამტკიცებული საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 27 აპრილის №27/04/02 განკარგულებით. იხ. (საქმიანობა 3.1.1)

⁵⁸ იხ. 2009-2010 წლის სამოქმედო გეგმა (საქმიანობა 1.1.1) დამტკიცებულია 2009 წლის 13 ივლისს;

⁵⁹ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 26 დეკემბერის № 625 ბრძანებულებით დამტკიცდა ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებოთაშორისო საბჭოს შემადგენლობა და დებულება. საბჭოს მთავარი მოვალეობაა ოჯახში ძალადობის კანონის იმპლემენტაციის ხელშეწყობა.

⁶⁰ იხ. 2009-2010 წლის სამოქმედო გეგმა(საქმიანობა 1.2.1)

⁶¹ საკანონმდებლო ცვლილებები საქართველოს პარლამენტმა მიიღო 2009 წლის 28 დეკემბერს და ძალაში შევიდა 2010 წლის 1 აპრილიდან.

2009 წლამდე ძალადობის მსხვერპლს „მსხვერპლის“ სტატუსს ანიჭებდა მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოები და სასამართლო. ძალადობის მსხვერპლს, შეეძლო ესარგებლა სხვადასხვა სერვისით: ფსიქოლოგიური, სამედიცინო და იურიდიული მომსახურებით უფასოდ. მას შეეძლო, რაც ძალაში შევიდა ზემოაღნიშნული ცვლილებები, ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მინიჭების უფლებამოსილება მიენიჭა ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი საუწყებთაშორისო საბჭოსთან არსებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელ ჯგუფს. ადამიანებს, რომელმაც განიცადეს ძალადობა, შესაძლებლობა მიეცათ სამართალდამცავი ორგანოების და სასამართლოსადმი მიმართვის გარეშე, შესაბამისი პირობების დადასტურების შემთხვევაში, მიენიჭოთ მსხვერპლის სტატუსი და ისარგებლონ მსხვერპლის სტატუსთან დაკავშირებული სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებით.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდიდან გამოთხოვილი სტატისტიკით, ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფის მიერ მსხვერპლის სტატუსი 2011 წლის 14 ივნისისთვის მინიჭებული აქვს 31 ადამიანს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფის მიერ მსხვერპლის იდენტიფიცირებისა და სტატუსის განსაზღვრის პროცედურული ერთიანი წესი განისაზღვრა საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 5 დეკემბრის №665 ბრძანებულებით დამტკიცებული „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიცირების წესის“ შესაბამისად⁶².

ოჯახში ძალადობისაგან არასრულწლოვანის დაცვის სპეციფიკური ღონისძიებები კანონში გაწერილია მეოთხე თავში. ცვლილების მიხედვით განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ოჯახში ძალადობის შემთხვევებში არასრულწლოვანთა დაცვის მექანიზმების გაძლიერებასა და მოძალადის მშობლისაგან მათი განრიდების და განცალკევების საკითხებს. კანონის მიხედვით დამცავი ორდერის გამოცემისას სასამართლო ასევე განიხილავს არასრულწლოვანთა მოძალადე მშობლის ურთიერთობის საკითხს. არასრულწლოვანის მიმართ მოძალადის კვალის არსებობის შემთხვევაში სასამართლოს წინაშე შესაძლებელია მოძალადე მშობლებისგან არასრულწლოვანის განცალკევება, თუკი ამას მოითხოვს მსხვერპლი, მისი ოჯახის წევრი ან მსხვერპლის თანხმობითი პირი, ვინც მსხვერპლს უწევს იურიდიულ, ფსიქოლოგიურ, სამედიცინო დახმარებას, მეურვეობისა და

⁶² იხ. მუხლი 16¹ მსხვერპლის სტატუსის მინიჭება (ამოქმედდა 2010 წლის 01 აპრილიდან) „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი.

მზრუნველობის ორგანო.⁶³ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სასამართლო დროებით ღონისძიების სახით იღებს განკარგულებას მიმართვიდან 24 საათის განმავლობაში.

2010 წლის 31 მაისის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №152/ნ, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №496 და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №45/ნ მიერ შემუშავდა ერთობლივი ბრძანება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ, რომლის მიზანია ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის ხელშეწყობა, კოორდინირებული და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბების გზით. აღნიშნული პროცედურები დაეხმარება „ოჯახში ძალადობის შესახებ“ კანონის ეფექტურად განხორციელებას ბავშვთა ძალადობისაგან დაცვის თვალსაზრისით.

კანონში განხორციელებული ცვლილების მიხედვით, არასრულწლოვანს 14 წლის ასაკიდან თავისი უფლებების დასაცავად შეუძლია მიმართოს სასამართლოს. აღნიშნულ შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია დაუნიშნოს საპროცესო წარმომადგენელი და განიხილოს საქმე. არასრულწლოვან მოსარჩელეს უფლება აქვს არ დაეთანხმოს თავის საპროცესო წარმომადგენელს და თავად განახორციელოს თავის დაცვა. სასამართლო ვალდებულია არასრულწლოვანთა საქმეების განხილვის დროს საქმეში ჩააბას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.

კანონის მიხედვით, მოძალადე მშობლებს არასრულწლოვანი შვილის მონახულების უფლება შესაძლოა მიეცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა არასრულწლოვანის მიმართ დაცულია უსაფრთხოების ყველა ზომა. თუ შეზღუდვა 3 თვეზე მეტ ხანს გრძელდება მშობლებს, რომლის უფლება შეზღუდულია, შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს არასრულწლოვანის მონახულების პირობების შეცვლის მოთხოვნით.

„ოჯახში ძალადობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთისათვის გამოიყენება:

- სისხლის სამართლებრივი დაცვის მექანიზმები;
- სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის მექანიზმები;
- ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დაცვის მექანიზმი.

სისხლის სამართლებრივი მექანიზმი - გამოიყენება ოჯახში ძალადობის იმ ფაქტის შემთხვევაში, რომელიც შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს;

⁶³ საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, მუხლი 11. დაცვის ორდერის გამოცემის მოთხოვნის უფლება.

სამოქალაქო სამართლებრივი მექანიზმები - გამოიყენება ოჯახში ძალადობის შედეგად მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად სამოქალაქო კანონმდებლობით დადაგენილი წესით;

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმი - გამოიყენება შემაკავებელი და დამცავი ორდერების გამოცემის სახით, აგრეთვე მაშინ, თუ სამართალდარღვევა თავისი ხასიათით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და მისი აღკვეთა შესაძლებელია საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმების გამოყენებით.

მსხვერპლთა დაცვის და მოძალადეთა გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად, დროებითი ღონისძიებების სახით, შესაძლებელია ადმინისტრაციული-სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით გამოიცეს **დამცავი ან შემაკავებელი ორდერი**. ეს არის პრევენციული ღონისძიების განმახორციელებელი მექანიზმი, რომელიც გამოიყენება ოჯახში ძალადობის შემთხვევაში.

დამცავი ორდერი გაიცემა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, რომლითაც განისაზღვრება მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიება⁶⁴.

შემაკავებელი ორდერი გამოიცემა პოლიციის მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების მიერ ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერაციული რეაგირების მიზნით და გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს⁶⁵.

დამცავი და შემაკავებელი ორდერის გამოცემის, გასაჩივრებისა და მათში გასათვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით და ამავე კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით: „ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.“ სასამართლო სამართალწარმოებისას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად მხარეებს განემარტებათ საპროცესო-უფლებამოვალეობანი (მუხლები 83, 211-212); მხარეთა პაექრობა (მუხლი 227); რეპლიკა (მუხლი 228); საქმის წარმოება წარმომადგენლის მეშვეობით (მუხლი 93) და სხვა.

შემაკავებელი ორდერი გამოიცემა ერთ თვემდე ვადით, მას ამტკიცებს ან დამტკიცებაზე უარს ამბობს სასამართლო უფლებამოსილი პირის მიმართვიდან 24 საათის განმავლობაში⁶⁶. შემაკავებელი ორდერის დამტკიცების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებაში დეტალურად

⁶⁴ საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, მუხლი 10 მე-2 ნაწილი.

⁶⁵ საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, მუხლი 10, მე-3 ნაწილი.

⁶⁶ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21¹⁴-ე მუხლის მე-6,7 ნაწილი

განისაზღვრება მოძალადისათვის დაწესებული შეზღუდვები და მსხვერპლის დასაცავად გათვალისწინებული ღონისძიებები. ამასთან, სასამართლო პოლიციის უფლებამოსილი პირის ან პროცესის მონაწილე სხვა პირთა მოთხოვნის საფუძველზე განსაზღვრავს შემაკავებელი ორდერის მოქმედების კონკრეტულ ვადას. აღნიშნული ვადა არ უნდა აღემატებოდეს ერთ თვეს. სასამართლო გადაწყვეტილება გამოცხადებისთანავე შემაკავებელი ორდერი შედის ძალაში და 24 საათის განმავლობაში ეგზავნება პროცესის მონაწილე მხარეებს, აგრეთვე ეგზავნება შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოში შემაკავებელი ორდერის დასამტკიცებლად შეტანილი შუამდგომლობების რაოდენობა⁶⁷

	შუამდგომლობა შემაკავებელ ორდერის გამოცემაზე				
	სულ	დამტკიცდა	უარი ეთქვა	შეწვდა წარმოება	დარჩა განუხილველი
2006	96	83	12	1	
2007	386	348	33	5	
2008	124	122			2
2009 *	96	85	9		2
2010	121	115	5		1
2011 I კვ. **	40	37	3		

*2009 წელს სააპელაციო წესით გასაჩივრდა 3 შუამდგომლობა შემაკავებელი ორდერის დამტკიცების თაობაზე.

**2011 წელს სააპელაციო წესით გასაჩივრდა 1 შუამდგომლობა შემაკავებელი ორდერის დამტკიცების თაობაზე

დამცავი ორდერი მოქმედებდა 3 თვის ვადით, ხოლო კანონში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ დამცავი ორდერის მოქმედების ვადა გაიზარდა 6 თვით⁶⁸, მისი მოქმედების კონკრეტულ ვადას განსაზღვრავს სასამართლო. თუ არსებობს საფრთხე მსხვერპლის ან ოჯახის წევრების მიმართ, რომ ამ ვადის გასვლის შემდეგ მოძალადე გააგრძელებს ძალადობას, შესაძლებელია დამცავი ორდერის მოქმედების პერიოდში მიმართოს სასამართლოს, დამცავი ორდერის ვადის გასაგრძელებლად. დამცავი ორდერი შესაძლებელია გაგრძელდეს არა უმეტეს 3 თვის ვადით.

⁶⁷ წყარო: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია. www.tcc.gov.ge

⁶⁸ მუხლი 12 „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი

თბილისის საქალაქო სასამართლოში დამცავი ორდერის დასამტკიცებლად შეტანილი შუამდგომლობების რაოდენობა⁶⁹

შუამდგომლობა დამცავი ორდერის გამოცემაზე					
	სულ	დამტკიცდა	უარი ეთქვა	შეწყდა წარმოება	დარჩა განუხილველი
2006	7	4		3	
2007	18	13	2	2	1
2008	16	12	1	2	2
2009*	36	23	5	3	
2010*	31	22	5	3	1
2011	8	6	1	1	
იკვ.					

*2009 წელს სააპელაციო წესით გასაჩივრდა 3 შუამდგომლობა დამცავი ორდერის დამტკიცების თაობაზე.

**2010 წელს სააპელაციო წესით გასაჩივრდა 1 შუამდგომლობა დამცავი ორდერის დამტკიცების თაობაზე

2009 წლის 28 დეკემბერს საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილების თანახმად, რომელიც ამოქმედდა 2010 წლის 1 აპრილიდან, სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდება ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებასთან დაკავშირებით გათვალისწინებულ საქმეებზე⁷⁰. ძალადობის რომელიმე სახის გამოვლენის შემთხვევაში მსხვერპლს შეუძლია მიმართოს სასამართლოს განცხადებით დამცავი ორდერის გამოცემასთან დაკავშირებით. ზემოაღნიშნული ცვლილებების თანახმად მას არ ექნება გადასახდელი სახელმწიფო ბაჟი საქალაქო და სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოებისას. აღნიშნული ცვლილება პოზიტიური ნაბიჯია, თუმცა პრობლემური საკითხია, თუ რამდენად იციან მოქალაქეებმა კანონით გათვალისწინებული დაცვის ყველა მექანიზმის შესახებ.

სტატისტიკის ანალიზის მიხედვით, 2007 წელთან შედარებით ბევრად იკლო სასამართლოსადმი მიმართვიანობის მაჩვენებელი. ასევე დამცავი ორდერის გამოცემასთან დაკავშირებით უფრო ნაკლები შუამდგომლობაა შეტანილი სასამართლოში, ვიდრე შემაკავებელ ორდერთან დაკავშირებით. ეს მიანიშნებს შემდეგზე:

1. სამოქალაქო საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების დონე კანონის დაცვის და აღსრულების მექანიზმებთან დაკავშირებით დაბალია, საჭიროებს მეტი ინფორმაციის მიწოდებას და ადვოკატირებას;

⁶⁹ წყარო: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია. www.tcc.gov.ge

⁷⁰ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხლი 9. სახელმწიფო ბაჟი

2. ეფექტური არ აღმოჩნდა შემაკავებელი ორდერით განხორციელებული დაცვის მექანიზმები, რასაც მიყვავართ იმ დასკვნამდე რომ, დაუყოვნებლივ უნდა ამოქმედდეს კანონით გათვალისწინებული, 2015 წლამდე გადავადებული ქმედითი ღონისძიებების განხორციელება მოძალადის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, სხვა შემთხვევაში ყოველი ძალადობის დროს მსხვერპლის და მოძალადის განრიდება ატარებს ფორმალურ ხასიათს, მოძალადე ვერ იცვლის ქცევას და, საბოლოო ჯამში, მსხვერპლი გარკვეული დროის შემდეგ ისევ პირისპირ რჩება პრობლემასთან. დაშინებულ მსხვერპლს ნამდვილად არ გაუჩნდება სურვილი მეორედ მიმართოს სამართალდამცავ და სასამართლო ორგანოებს.

კანონში განხორციელებულმა ცვლილებებმა ვერ შეცვალა დამცავი ორდერის გამოცემასთან დაკავშირებით სტატისტიკური მაჩვენებელი. დამცავი ორდერის გამოცემასთან დაკავშირებით მაჩვენებელი ისევ დაბალია. **განცხადების შეტანა დამცავი ორდერის გამოცემასთან დაკავშირებით**

ცვლილების მიხედვით სასამართლო კანცელარიაში განცხადების რეგისტრაციიდან 24 საათის განმავლობაში, განცხადებასა და თანდართულ მასალებს უგზავნის იმ პირს, რომლის მიმართაც არის შეტანილი განცხადება დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით, აგრეთვე მოძალადეს აძლევს უფლებას წარადგინოს მტკიცებულებები. მოძალადემ შეტანილ განცხადებაზე წერილობითი პასუხი და მტკიცებულებები უნდა წარადგინოს სასამართლო უწყების მიღებიდან 3 დღის ვადაში.

სასამართლო დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნის რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში განიხილავს მას და იღებს გადაწყვეტილებას დამცავი ორდერის გამოცემის, გაუქმების, მოქმედების ვადის გაგრძელების ან გამოცემაზე უარის თქმის შესახებ. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს მეორე ინსტანციის სასამართლოში, მხარისათვის, დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩატარებიდან 3 დღის ვადაში. გასაჩივრება არ აჩერებს გამოცემული დამცავი ან/და შემაკავებელი ორდერის მოქმედებას. საჩივართან დაკავშირებით მეორე ინსტანციის სასამართლო⁷¹ გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის წარდგენიდან 7 დღის ვადაში. მეორე ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება მესამე ინსტანციის სასამართლოში⁷².

სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ან/და მისი შესრულებისთვის ხელის შეშლა დასჯადია საქართველოს სისხლის

⁷¹ თბილისის და ქუთაისის სააპელაციო სასამართლო

⁷² საქართველოს უზენაესი სასამართლო

სამართლის კოდექსის 381 მუხლით⁷³. თუმცა აღსანიშნავია, რომ წლების მანძილზე საქართველოში აღსრულების მექანიზმები არაეფექტურად მუშაობდა და აღნიშნულზე ევროპული (სტრასბურგის) სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაშიც იქნა აღნიშნული.

დამცავი და შემაკავებელი ორდერებით გათვალისწინებული საკითხების არ აღსრულების შემთხვევისთვის კანონმდებლობაში განხორციელდა ცვლილებები, კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 381¹ მუხლი⁷⁴ და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში 174² მუხლი⁷⁵. აღნიშნული ცვლილებებით დაწესდა ადმინისტრაციულ სამართლებრივი და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა გათვალისწინებული მოთხოვნებისა ან/და ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, მთავარია მათი პრაქტიკაში ეფექტურად ამოქმედება. განვიხილოთ რა სანქციები იქნა შემოღებული: ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, განისაზღვრა მოძალადისათვის ადმინისტრაციული პატიმრობით 7 დღემდე ვადით ან გამოსასწორებელი სამუშაოები ერთ თვემდე ვადით, ხოლო დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევისას ადმინისტრაციული პატიმრობა განისაზღვრა 30 დღემდე ან გამასწორებელი სამუშაოებით 3 თვემდე ვადით.

აღნიშნულ დარღვევაზე რეაგირებას ახორციელებს საქართველოს შსს ორგანოები, ხოლო საქმეს განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლოები. შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ორგანოებს უფლება აქვს დააკავოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი პირი.

თუკი დამცავი და შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების ან ვალდებულებების შეუსრულებლობა ჩადენილია საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 175² მუხლის შესაბამისად, ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულ სასჯელშეფარდებული პირი ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით 180-240 საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით 1 წლამდე.

ოჯახში ძალადობის კანონით ასევე განსაზღვრულია ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის სოციალური და შრომითი გარანტიების შექმნა.

⁷³ მუხლი 381. განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ანდა მისი შესრულებისთვის ხელის შეშლა (22.06.2007 №5035)

⁷⁴ მუხლი 381¹. დამცავი და შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების ან/და ვალდებულებების შეუსრულებლობა (28.12.2009. №2513 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აპრილიდან).

⁷⁵ მუხლი 175². დამცავი და შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების ან/და ვალდებულებების შეუსრულებლობა (28.12.2009. №2512 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აპრილიდან).

კანონის თანახმად მსხვერპლის დაცვის მნიშვნელოვან სოციალურ გარანტიას წარმოადგენს მსხვერპლის თავშესაფრით უზრუნველყოფა. საქართველოში დღეის მდგომარეობით 5 თავშესაფარია, მათგან 2 სახელმწიფო და 3 არასამთავრობო ორგანიზაციების ბაზაზე.

ორი სახელმწიფო თავშესაფარი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ბაზაზე, ხოლო 3 არასამთავრობოთა ბაზაზე: ქალთა საკონსულტაციო ცენტრი „სახლი“; ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი; დემოკრატ ქალთა საზოგადოება.

კანონის მიხედვით თავშესაფარი ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებელი ან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში, ან/და არასამეწარმეო იურიდიული პირის ბაზაზე არსებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი განთავსების ადგილია, რომელიც ემსახურება მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციას, იურიდიულ და სამედიცინო დახმარებას, აგრეთვე მისი დაცვის ღონისძიებებს. კანონში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ თავშესაფარში მსხვერპლის მოთავსება ხდება 3 თვემდე ვადით. საჭიროების შემთხვევაში ეს ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს თავშესაფარის წესდებით (დებულებით) დადგენილი წესით.⁷⁶

კანონში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით კანონმდებლობას დაემატა ნორმა, რომლის მიხედვითაც ოჯახში ძალადობის მსხვერპლს თავშესაფარში ან/და კრიზისულ ცენტრში მოთავსების პერიოდში, უნარჩუნდება სამუშაო ადგილი⁷⁷.

2008 წლის 28 ივლისს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის №183/ნ ბრძანებით, განისაზღვრა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებლისა და (თავშესაფრის) და მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრების მოწყობისათვის აუცილებელი მინიმალური სტანდარტები.⁷⁸

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ბაზაზე ორი თავშესაფარი განლაგებულია გორსა და თბილისში, რომელსაც გაწეული აქვს შემდეგი მომსახურებები:

⁷⁶ საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, მუხლი 18, მე-2 ნაწილი.

⁷⁷ საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, მუხლი 18, მე-3 ნაწილი. შრომის კოდექსში 36-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი.

⁷⁸ http://www.police.ge/uploads/ojaxuri_dzaladoba/kanonmdbloba/janmrtelobisa_da_socialuri_dacva.pdf

ცხელი ხაზის სტატისტიკა 2010 წლის 20 ოქტომბრიდან – 2011 წლის 1 მაისამდე⁷⁹

1.	გაწეული კონსულტაცია	612
2	სხვადასხვა ინსტიტუტებში გადაგზავნილები	77
3	თავშესაფარი მიეცა	11
4	პირადი კონსულტაციები დაენიშნა	97
5	სასამართლოში წარმომადგენლობა გაეწია და დამცავი ორდერი გაიცა	3
6	მომზადდა დამცავი ორდერთან შესაბამისობაში სასამართლოში წარმომადგენლობის გარეშე	8
7	ფსიქოლოგიური ძალადობა	110
8	ფიზიკური ძალადობა	73
9	სექსუალური ძალადობა	2
10	ეკონომიკური ძალადობა	20
11	ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობა ერთად	172
12	ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ძალადობა ერთად	6
13	ფსიქოლოგიური, ფიზიკური, ეკონომიკური და სექსუალური ძალადობა ერთად	3
13	ფიზიკური და ეკონომიკური ძალადობა ერთად	2
14	არ ჰქონდა ფიზიკური ტრამვა	151
15	განმეორებით მიმართვა	28
16	ზარები რეგიონებიდან	73
17	სხვა სახელის გამოყენება	29
18	კომუნიკაციის დამყარებამდე ზარის გათიშვა	25

სახელმწიფო ფონდის მიერ გაწეული სერვისები⁸⁰

	ფსიქოლოგიური		იურიდიული		სამედიცინო	
	სრულწლოვნები	მცირეწლოვნები	პირადი კონსულტაციები	სასამართლოში წარმომადგენლობა	მშობიარობა	სხვა ტიპი
2009	5	4	2	2		9
2010	13	12	56	2	2	12
2011	13	15	78	2		8

⁷⁹ წყარო: საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი. ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი საუწყებო-შორისო საბჭომ, ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდთან მჭიდრო თანამშრომლობით, ასევე საერთაშორისო განვითარების ორგანიზაციების, განსაკუთრებით Sida-ს და UNIFEM-ის მხარდაჭერით, მოაწყო ორი თავშესაფარი. ასევე, საქართველოს მასშტაბით მუშაობს ცხელი ხაზი ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის.

⁸⁰ წყარო: სსიპ - ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი,

თავშესაფარში განთავსებულ მსხვერპლთა საერთო რაოდენობა⁸¹

2009		2010		2011*		ჯამში მთლიანად	
სრულწლოვანი	მცირეწლოვანი	სრულწლოვანი	მცირეწლოვანი	სრულწლოვანი	მცირეწლოვანი	სრულწლოვანი	მცირეწლოვანი
5	5	18	24	16	23	39	50

* 2011 წლის 30 ივნისისათვის 29 ადამიანი იმყოფება თავშესაფარში 10 სრულწლოვანი 19 მცირეწლოვანი.

სტატისტიკა წლების მიხედვით⁸²

2009			2010			2011		
18-24	24-44	>44	18-24	24-44	>44	18-24	24-44	>44
2	2	1	6	10	2	5	8	3

არასამთავრობო ორგანიზაციების ბაზაზე არსებული თავშესაფრები და გაწეული მომსახურება

ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი⁸³, თავშესაფრის მონაცემები:

ცხელი ხაზის მთლიანი სტატისტიკა 2010 წლის 20 ოქტომბრიდან – 2011 წლის 1 მაისამდე⁸⁴.

1.	გაწეული სატელეფონო კონსულტაცია 349 გაწეული კონსულტაცია ოფისში 524	873
2	სხვადასხვა ინსტიტუტებში გადაგზავნილები	33
3	თავშესაფარი მიეცა	35
4	პირადი კონსულტაციები დაენიშნა	341
5	სასამართლოში წარმომადგენლობა გაეწია და დამცავი ორდერი გაიცა	12
6	მომზადდა დამცავი ორდერთან შესაბამისობაში სასამართლოში წარმომადგენლობის გარეშე	1
7	ფსიქოლოგიური ძალადობა	99%
8	ფიზიკური ძალადობა	95%

⁸¹ წყარო: სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი.

⁸² წყარო: სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი.

⁸³ არასამთავრობო ორგანიზაცია.

⁸⁴ წყარო: ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი www.avng.ge

9	სექსუალური ძალადობა	34%
10	ეკონომიკური ძალადობა	73%
11	ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობა ერთად	95%
12	ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ძალადობა ერთად	73%
13	ფსიქოლოგიური, ფიზიკური, ეკონომიკური და სექსუალური ძალადობა ერთად	34%
13	ფიზიკური და ეკონომიკური ძალადობა ერთად	73%
14	არ ჰქონდა ფიზიკური ტრამვა	501
15	განმეორებით მიმართვა	25
16	ზარები რეგიონებიდან	138
17	სხვა სახელის გამოყენება	10
18	კომუნიკაციის დამყარებამდე ზარის გათიშვა	17

ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი⁸⁵

	ფსიქოლოგიური		იურიდიული		სამედიცინო	
	სრულწლოვნები	მცირეწლოვნები	პირადი კონსულტაციები	სასამართლოში წარმომადგენლობა	მშობიარობა	სხვა ტიპი
2009	69	22	166	20	3	1
2010	57	18	223	40	4	
2011	56	16	165	23	2	2

თავშესაფარში განთავსებულ მსხვერპლთა საერთო რაოდენობა⁸⁶

2009		2010		2011*		ჯამში მთლიანად	
სრულწლოვანი	მცირეწლოვანი	სრულწლოვანი	მცირეწლოვანი	სრულწლოვანი	მცირეწლოვანი	სრულწლოვანი	მცირეწლოვანი
20	4	23	16	13	16	56	36

*2011 წლის 27 სექტემბრისთვის 5 ადამიანი იმყოფება თავშესაფარში: 2 სრულწლოვანი და 3 მცირეწლოვანი.

სტატისტიკა წლების მიხედვით⁸⁷

	2009			2010			2011		
	18-24	24-44	>44	18-24	24-44	>44	18-24	24-44	>44
	7	11	2	6	16	1	4	7	2

⁸⁵ წყარო: ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი www.avng.ge

⁸⁶ წყარო: ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი www.avng.ge

⁸⁷ წყარო: ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი www.avng.ge

ქალთა საკონსულტაციო ცენტრი „სახლი“⁸⁸, თავშესაფრის მონაცემები:

2010-დან - 2011 წლის 30 ივლისამდე ქალთა საკონსულტაციო ცენტრ „სახლის“ ბაზაზე არსებული თავშესაფრის მომსახურებით ისარგებლა 75 ადამიანი, აქედან

54 ქალი (21-დან 70 წლამდე) და 21 ბავშვი (1 თვიდან - 7 წლის ჩათვლით).

თავშესაფარის სერვისები მოიცავს:

- ინდივიდუალური ფსიქოლოგიური კონსულტაცია-რეაბილიტაციას;
- ჯგუფურ მუშაობას (ფსიქო-განათლება, ხელსაქმე, ხელოვნებით თერაპიული სესიები);
- სამედიცინო კონსულტაციას და დახმარებას (საჭიროების შემთხვევაში ჰოსპიტალიზაცია, გამოკვლევები, მკურნალობა);
- იურიდიულ კონსულტაციას;
- სოციალურ ადვოკატირებას;
- სასწავლო კურსებით, ტრენინგებით უზრუნველყოფას, დასაქმების ხელშეწყობას.

დემოკრატ ქალთა საზოგადოება⁸⁹, თავშესაფრის მონაცემები:

2010 წლიდან - 2011 წლის 30 ივლისამდე დემოკრატ ქალთა საზოგადოების ბაზაზე არსებული თავშესაფრის მომსახურებით ისარგებლა 29 ადამიანი, აქედან 9 ქალი და 16 არასრულწლოვანი ბავშვი.

თავშესაფარის სერვისები მოიცავს:

- იურიდიულ, ფსიქოლოგიურ და სამედიცინო მომსახურებას;
- იურიდიულ კონსულტაციას და სასამართლოში წარმომადგენლობას.

საქართველოს მასშტაბით 5 თავშესაფრის არსებობა, რომელთაც ასეთი შეზღუდული რაოდენობით შეუძლიათ განათავსონ მსხვერპლი, არ არის საკმარისი, რადგან საერთაშორისო რეკომენდაციით, ძალადობის მსხვერპლთათვის ყოველ 10 000 მოსახლეზე უნდა იყოს გათვალისწინებული ერთი თავშესაფარი, რომელიც შესთავაზებს უსაფრთხო ადგილს მსხვერპლის განსათავსებლად, კვალიფიციურ პირველად კონსულტაციებს და სამედიცინო დახმარებას. აღნიშნული სერვისი ერთნაირად ხელმისაწვდომი უნდა იყოს როგორც ქალაქად მცხოვრები, ისე სოფლად მცხოვრები მოქალაქეებისათვის. მნიშვნელოვანია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოს მეტი რესურსი/ან ჩაერთონ საერთაშორისო ორგანიზაციები, რათა საქართველოს ყველა რეგიონი უზრუნველყოფილი იყოს თავშესაფრით. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს იმ თავშესაფრების ფინანსური მხარდაჭერა, რომლებიც შექმნილია არასამთავრობო ორგანიზაციის ბაზაზე და აკმაყოფილებს შესაბამის სტანდარტებს. ზოგიერთ ქვეყნებში, მაგალითად ავსტრიაში,

⁸⁸ არასამთავრობო ორგანიზაცია.

⁸⁹ არასამთავრობო ორგანიზაცია.

ოჯახში ძალადობის ფაქტზე მას შემდეგ, რაც საქმეში ერთგება პოლიცია, მსხვერპლი თავსდება თანადგომის ცენტრში (ანუ თავშესაფარი), სადაც გადაუდებელ დახმარებას იღებს. თანადგომის ცენტრების მართვა-ხელმძღვანელობას ახორციელებენ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები, ხოლო ცენტრის დაფინანსება ხუთწლიანი კონტრაქტების საფუძველზე ხორციელდება შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ქალთა საკითხებზე მომუშავე სამინისტროს მიერ.

2009 წლის საკანონმდებლო ცვლილებებით განისაზღვრა მსხვერპლთა პირველადი და გადაუდებელი დახმარების ისეთი მექანიზმი, როგორცაა კრიზისული ცენტრის შექმნა. აღნიშნული ნამდვილად პოზიტიური ნაბიჯია, რადგან ხშირ შემთხვევაში მსხვერპლს არ სურს თავშესაფარში განთავსება. მათ ესაჭიროებათ მხოლოდ პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება და სამართლებრივი დახმარება.

კრიზისულ ცენტრში პირის განთავსება შესაძლებელია მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრამდე და სტატუსის განსაზღვრის შემდეგაც. კანონის მიხედვით კრიზისული ცენტრი იქმნება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში ან/და არასამეწარმეო იურიდიული პირების ბაზაზე. კრიზისული ცენტრის მოწყობისა და ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მინიმალური სტანდარტები განისაზღვრა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტროს 2010 წლის 31 მაისის №153/ნ ბრძანებით „კრიზისული ცენტრის მოწყობის და ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მინიმალური სტანდარტების განსაზღვრის წესი.“

თბილისის საქალაქო სასამართლოში ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების გამოტანით განხილული ადმინისტრაციული დავების შესახებ⁹⁰

სასამართლოს დასახელება	2011 წლის I კვარტალი	2010	2009	2008	2007					
თბილისის საქალაქო სასამართლო	განხილულია გადაწყვეტილების გამოტანით	მათ შორის სარჩელი	განხილულია გადაწყვეტილების გამოტანით	მათ შორის სარჩელი	მათ შორის სარჩელი	განხილულია გადაწყვეტილების გამოტანით	მათ შორის სარჩელი	მათ შორის სარჩელი	განხილულია გადაწყვეტილების გამოტანით	მათ შორის სარჩელი
	47	43	145	137	120	107	137	134	396	361

თბილისის სააპელაციო სასამართლოში ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებასთან დაკავშირებით 2011 წლის I კვარტალში განხილულია 2 კერძო საჩივარი.

⁹⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკისა და ინფორმაციზაციის განყოფილება www.supremecourt.ge

საქართველოს პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებასთან დაკავშირებით განხილული საქმეების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია ქალაქების მიხედვით 2011 წლის პირველი კვარტალის მდომარეობით⁹¹.

სასამართლოს დასახელება	2011 წლის I კვარტალი		2010		2009		2008		2007	
	განხილულია გადაწყვეტილების გამოცხადებით	მათ შორის სარჩელის	განხილულია გადაწყვეტილების გამოცხადებით	მათ შორის სარჩელის	განხილულია გადაწყვეტილების გამოცხადებით	მათ შორის სარჩელის	განხილულია გადაწყვეტილების გამოცხადებით	მათ შორის სარჩელის	განხილულია გადაწყვეტილების გამოცხადებით	მათ შორის სარჩელის
სულ	79	75	242	226	159	140	197	188	492	456
გორი	1	1	11	8	5	2	9	6	19	16
რუსთავი	13	13	25	24	11	10	21	21	21	21
ქუთაისი	1	1	7	7			2	2	11	10
ამბროლაური			1	1						
ახალციხე	1	1	7	7	2	2	1	1	1	1
ზუგდიდი							1	1	4	4
თელავი									1	1
სენაკი									2	2
ზაშური					1	1	1	1	1	1
თბილისი	47	43	145	137	120	107	137	134	396	361
ბათუმი	1	1	29	25	16	16	18	18	53	53
თერჯოლა					1		3	2	2	2
თეთრი წყარო			1	1						
მარნეული					1	1	1	1		
ბოლნისი					1					
გარდაბანი			1	1	1	1				
ოზურგეთი	2	2	1	1						
მცხეთა	9	9	3	3			2			
სამტრედია	1	1	10	10						
ახალქალაქი	1	1	1	1						
საჩხერე	1	1								
დედოფლის წყარო	1	1								
ზესტაფონი							2	2		

⁹¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკისა და ინფორმაციზაციის განყოფილება www.supremecourt.ge

**შემაჯავებელი და დამცავი ორდერი საქართველოს რეგიონების
მიხედვით⁹²**

სასამართლოს დასახელება	2010 წლის 9 თვე		2009		2008		2007	
	დამცავი ორდერი	შემაჯავებელი ორდერი	დამცავი ორდერი	შემაჯავებელი ორდერი	დამცავი ორდერი	შემაჯავებელი ორდერი	დამცავი ორდერი	შემაჯავებელი ორდერი
სულ	34	132	30	110	11	44	2	94
გორი	6		2		5	1	8	8
რუსთავი	3	15	1	9	3	18		21
ქუთაისი	2	2			1	1		11
ამბროლაური	1							
ახალციხე	1	2	1	1		1		1
ზუგდიდი						1		4
თელავი								1
სენაკი							1	1
ზაშური							1	
თბილისი	15	86	23	84	x	x	x	x
ბათუმი	3	20		16		18	53	
თერჯოლა						2		2
თეთრი წყარო	1							
მარნეული			1		1			
ბოლნისი								
გარდაბანი		1	1					
ოზურგეთი	1							
მცხეთა	1	2						
სამტრედია		4						
ზესტაფონი					1	2		

⁹² წყარო: სახალხო დამცველის ანგარიში 2010 წელი. www.ombudsman.ge

2009-2010 წლებში ოჯახში ძალადობის შედეგად ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკური მონაცემები⁹³

დასახელება		2009	2010
სულ რეგისტრირებული		61	108
მათ შორის	განზრახ მკვლელობა ⁹⁴	13	6
	მკვლელობის მცდელობა ⁹⁵	5	6
	ჯამრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება ⁹⁶	6	9
	ჯამრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება ⁹⁷	21	33
	ძალადობა ⁹⁸	7	12
	მუქარა ⁹⁹	8	14

⁹³ საინფორმაციო-სტატისტიკური ბიულეტენი. თბილისი, მარტი 2011 წელი. გვ. 37 შსს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველო.

⁹⁴ საქართველოს სსკ-ის მუხ.108, განზრახ მკვლელობა.

⁹⁵ საქართველოს სსკ-ის მუხ.19, მცდელობა.

⁹⁶ საქართველოს სსკ-ის მუხ.117, ჯამრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება.

⁹⁷ საქართველოს სსკ-ის მუხ.118, ჯამრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება

⁹⁸ საქართველოს სსკ-ის მუხ.126, ძალადობა.

⁹⁹ საქართველოს სსკ-ის მუხ.151, მუქარა.

დასკვნა სასამართლო პრაქტიკის ბაზაზე უმჯობესების უზრუნველყოფის მიზნით

სასამართლო საქმეების გაცნობისა და ანალიზის უზრუნველყოფის მიზნით, რომ მსხვერპლსა და მოძალადეს სასამართლო პროცესის დროს სრულად არ განემარტებათ მათი უფლებები იყოლიონ პროცესზე ინტერესების დამცველი წარმომადგენელი. თბილისის საქალაქო სასამართლოდან გამოთხოვილი 2009-2010 წლის 31 საქმიდან მხოლოდ ერთ მესამედზე იქნა მოსამართლის მხრიდან შეთავაზებული მოძალადისა ან მსხვერპლისთვის ესარგებლათ ადვოკატის მომსახურებით. სასამართლო სხდომის ოქმებით რჩება შთაბეჭდილება, რომ მსხვერპლის დამცველის როლში გვევლინება საპატრულო პოლიციის თანამშრომელი. უგულვებელყოფილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის¹⁰⁰ 93-94 მუხლების მოთხოვნები.

სასამართლოს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციაზე დაყრდნობით არ აქვს გამოტანილი არცერთი გადაწყვეტილება, მაშასადამე, პირველი ინსტანციის მოსამართლეები და ადვოკატები არასაკმარისად არიან ინფორმირებულნი კონვენციის ნორმებთან მიმართებაში და არ იყენებენ ამ ნორმებს პრაქტიკაში. სასამართლო გადაწყვეტილება ეროვნულ კანონმდებლობასთან ერთად არ არის დასაბუთებული საერთაშორისო ნორმებით.

პროცესში ადვოკატის მონაწილეობა, მის მიერ წარდგენილი შუამდგომლობების ფორმულირებით შესაძლებელს გახდის სასამართლო გადაწყვეტილება მიღებულ იქნას როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო ნორმების გათვალისწინებით. ამიტომ სასურველია პროცესის მონაწილე ყველა ინსტიტუტი სრულფასოვნად მონაწილეობადეს სასამართლოში საქმის წარმოების დროს.

სასამართლო ინსტიტუტების წარმომადგენლები არ ფლობენ ინფორმაციას არა მარტო ევროპული კონვენციისა და ევროპის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, არამედ ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის შესახებაც. არსებული პრაქტიკით, საქართველოში სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებისას გამოიყენება ევროპული კონვენცია და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. აღსანიშნავია, რომ უზენაესმა სასამართლომ და არასამთავრობო ორგანიზაციებმა ამ კუთხით დიდი შრომა გაწიეს და მოახდინეს მათი პოპულარიზაცია, შეიქმნა გაიდლაინები, თუმცა, არც ევროპული კონვენციის ნორმები და არც ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილების ნორმები ოჯახში ძალადობის საქმეებზე არ გამოყენებულა გადაწყვეტილების დასაბუთებისას, ყოველ შემთხვევაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის

¹⁰⁰ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თავი XII, წარმომადგენლობა სასამართლოში, მუხლი 93, 94.

ბიურო ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ამ კუთხით ინფორმაციის აღრიცხვა არ მიმდინარეობს.

ანალიზის შედეგად გამოვლინდა ისეთი ქეისები, სადაც სასამართლომ არ დაამტკიცა შემაკავებელი ორდერი, რადგან სასამართლოს განმარტებით მტკიცებულებები არასაკმარისად იყო წარმოდგენილი.

გამოვლინდა პროცესუალური დარღვევები, კერძოდ, 2009 წლის 12 დეკემბერს კანონში შესული ცვლილებები ამოქმედდა 2010 წლის 1 აპრილიდან, ანუ 2010 წლის 01 აპრილის შემდეგ შემაკავებელი და დამცავი ორდერები უნდა დამტკიცებულიყო შეცვლილი ვადის გათვალისწინებით. სასამართლო სხდომის ოქმით შემაკავებელ ორდერზე ვადა დამტკიცებულია 1 თვე, ხოლო გადაწყვეტილებაში 2 თვე, რაც გადაწყვეტილების გაუქმების უდაო საფუძველია. დაბალია სასამართლოსთვის დამცავი ორდერის დამტკიცების მოთხოვნით ინდივიდუალური განცხადებით მიმართვის მაჩვენებელი.

კანონში 2009 წელს შევიდა ცვლილება მეორე ინსტანციის სასამართლოში გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ. სტატისტიკური მონაცემებით მხოლოდ 4 საქმე გასაჩივრდა სააპელაციო წესით, რაც ორ გარემოებაზე მიგვითითებს: პირველი, მოსახლეობას ნაკლები ინფორმაცია აქვს განხორციელებული ცვლილებების შესახებ, და მეორე, ადვოკატთა კორპუსი ნაკლებადაა ჩართული აღნიშნულ საქმეებზე, ხოლო იურისტები, რომლებიც ამ მომსახურებას ახორციელებენ, გარდა ერთეულებისა, არ ფლობენ სათანადო უნარ-ჩვევებს საქმის წარმოებაზე.

კანონის ძირითად მიზანს წარმოადგენს პრევენციულ ღონისძიებათა განხორციელების გზით ძალადობის თავიდან აცილება და მოძალადის მიმართ გარკვეული სარეაბილიტაციო ღონისძიებების განხორციელება. მართალია კანონში მეტნაკლებად სრულყოფილადაა გაწერილი ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმები და მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ინსტიტუტები, მაგრამ დღეის მდგომარეობით ჯერ კიდევ არ ხერხდება ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმის სრულად ამოქმედება, რაც თავისთავად უარყოფითად მოქმედებს კანონის ეფექტურობასა და კანონით დასახული მიზნის მიღწევაზე.

უნდა აღინიშნოს ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის თვალსაზრისით განსახორციელებელი ღონისძიებათა 2007-2008¹⁰¹ და 2009-2010¹⁰² სამოქმედო გეგმების შესახებაც, რომელსაც ხელი

¹⁰¹ “ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების კონკრეტული ღონისძიებების სპეციალური გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 30 ივლისის №406 გამკარგულებით დამტკიცებული ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის თვალსაზრისით განსახორციელებელ ღონისძიებათა 2007-2008 წლების სამოქმედო გეგმა;

უნდა შეეწყო კანონის ეფექტურად ამოქმედებისთვის, მაგრამ უმეტესი აქტივობები აუმოქმედებელი გადადიოდა წლების მიხედვით მომდევნო სამოქმედო გეგმაში. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, სოციალურ მუშაკთა სტატუსის განსაზღვრა და მათი საქმიანობის ლეგიტიმაცია, დაგეგმილი იყო 2007-2008 წლის სამოქმედო გეგმით. აღნიშნული აქტივობა არ განხორციელდა და გადავიდა 2009-2010 წლის სამოქმედო გეგმაში¹⁰³, მაგრამ დღემდე არ ამოქმედებულა.

ხშირ შემთხვევაში, ძალადობის შემსწრენი და ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლნი არიან ბავშვები. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ხშირია შემთხვევა, როდესაც ძალადობა რამდენჯერმე ხორციელდება ცოლზე და შვილებზე. ერთ-ერთი შემთხვევის დროს მეუღლე ვეღარ უძლებს სასტიკ მოქცევას და იძახებს პატრულს. ახსნა-განმარტებაში ქალი აღწერს გარემოებას და იმ ფაქტებს, რომ წინა ძალადობის დროს ბავშვმა განიცადა როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური ძალადობა. მიუხედავად ამისა, ბავშვთან მიმართებაში არანაირი ქმედითი ღონისძიება არ განხორციელებულა საპატრულო პოლიციის და სასამართლოს მიერ. საპატრულო პოლიციას უძნელდება ფსიქოლოგიური ძალადობის იდენტიფიცირება არასრულწლოვნებთან მიმართებაში. შესაბამისად, სასამართლოს მხრიდან არ მტკიცდება ფსიქოლოგიურ ძალადობაზე დამცავი ორდერი. კანონით არ არის კარგად დარეგულირებული გამოვლენის ეფექტური მექანიზმები, მაგალითად სოციალური მუშაკების ან მედიცინის მუშაკთა გასვლა შემთხვევის ადგილზე, სადაც ძალადობის ფაქტის შემსწრე არასრულწლოვნები არიან.

ინფორმაციის გაცვლის მიზნით არ ხდება თანამშრომლობა საბავშვო ბაღის პედაგოგებთან და ფსიქოლოგებთან, სკოლებთან და სხვა ისეთ ინსტიტუტებთან, სადაც შესაძლებელია ასეთი პრობლემის გამოვლენა და ფსიქოლოგიური ძალადობის იდენტიფიცირება. ბავშვის ჭკუში ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებელია სახელმწიფო დონეზე ისეთი პროგრამების დანერგვა, რომელსაც ეფექტურად განახორციელებენ სოციალური მუშაკები და გამოავლენენ არასრულწლოვნებთან მიმართებაში ძალადობის ფაქტებს, რათა მოხდეს მომავალში მათი პრევენცია და რეაბილიტაცია.

ასევე, კანონის მე-20 მუხლის თანახმად სარეაბილიტაციო ცენტრი უნდა ამოქმედებულიყო 2008 წლის 01 იანვრიდან, რაც არ განხორციელებულა, ხოლო 2009 წლის 28 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად ახალი რედაქციით მიღებული მუხლის¹⁰⁴ ამოქმედება

¹⁰² “ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2009-2010 წლების სამოქმედო გეგმა დამტკიცებული საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 23 აპრილის №304 განკარგულებით;

¹⁰³ იხ. 2009-2010 წლების სამოქმედო გეგმა (საქმიანობა 1.2.2. და 1.2.3)

¹⁰⁴ აღნიშნული მე-20 მუხლი გულისხმობს იმ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია მოძალადის ფსიქოლოგიურ-სოციალური დახმარებისა და გაჯანსაღებისაკენ, ცალკეული მავნე ჩვევებისაგან

შეჩერდა 2015 წლის 01 ივლისამდე. ეს ყოველივე სერიოზულ საფრთხეს უქმნის მსხვერპლს, რადგან მოძალადე არ გადის რეაბილიტაციას და თავშესაფრიდან ძალადობის მსხვერპლი ბრუნდება ისევ იმ ადგილას, სადაც ყოველთვის მძინვარებს ძალადობის კერა.

რეკომენდაციები

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი

- გაიზარდოს თავშესაფრების რაოდენობა და გაუმჯობესდეს მომსახურების პირობები;
- სახელმწიფომ გააფართოვოს საზოგადოების ცოდნის ასამაღლებელი კამპანიები კანონით გათვალისწინებულ დაცვის მექანიზმებზე;
- სახელმწიფომ მკაფიოდ განსაზღვროს სოციალურ მუშაკთა როლი ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა რეფერალურ ეროვნულ მექანიზმებში;

განათლების სამინისტრო

- განხორციელდეს სწავლება ყველა დონეზე, სასკოლო პროგრამებიდან დაწყებული უმაღლესით დასრულებული. ადამიანის უფლებების, ქალთა და გოგონათა უფლებების, გენდერული თანასწორობისა და განსაკუთრებით, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ არსებული კანონები.

მასმედია

- ჩატარდეს საინფორმაციო-საგანმანათლებლო ღონისძიებები სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისათვის: მიეწოდოს ინფორმაცია და სარეკლამო რგოლები ოჯახში ძალადობაზე ისეთი შინაარსით, რომ მხოლოდ ქალსა და კაცზე არ ხდებოდეს აქცენტირება.
- ჩატარდეს ჟურნალისტებისთვის ტრენინგები ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე, განსაკუთრებით ოჯახში ძალადობის კუთხით;

(აღკოპილიზმი, ნარკომანია ან ისეთი ფსიქიკური დაავადება, რომელიც არ გამოიცხავს შერაცხადობას) პირის განკურნებისა და რეაბილიტაციისაკენ და დაკავშირებულია ძალადობის შემდგომი გამოვლინების თავიდან აცილებასა და მსხვერპლის შემდგომი უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან. მოძალადეთა სარეაბილიტაციო ღონისძიებები და მათი განხორციელების წესი და ფორმები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.“

გენდერული თანასწორობის საბჭო და აღმასრულებელი ხელისუფლება

- განხორციელდეს სამოქმედო გეგმის გაცნობა ფართო მასებისთვის;
- სახელმწიფომ ხელი შეუწყოს საინფორმაციო კამპანიების სტიმულირებას მოსახლეობისთვის უფრო გადრმავეული ინფორმაციის მიწოდების მიზნით.
- სამოქმედო გეგმა უნდა შეიცავდეს კომპლექსურ მოქმედებებს, კონკრეტული ეტაპებით და მახვენებლებით, რათა უზრუნველყოფილი იქნას ყოვლისმომცველი და კოორდინირებული მიდგომა კანონმდებლობის ყველა მუხლის ასამოქმედებლად;
- განხორციელდეს სახელმწიფო მოხელეების რეგულარული და რეგლამენტირებული სწავლება, რათა გაიზარდოს მათი ცნობიერება აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებით;

რეკომენდაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს

- შესაბამისმა სამინისტროებმა უზრუნველყონ ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტების: მასწავლებლების, სოციალური მუშაკების, სამედიცინო მუშაკების, პოლიციისა და სასამართლო სისტემის წარმომადგენლების ტრენინგები, რათა ეფექტურად მოხდეს ბავშვებზე ძალადობის შემთხვევების გამოვლენა და მიღებულ იქნას სათანადო ზომები, როდესაც არსებობს ოჯახში ბავშვებზე ძალადობის ეჭვი;
- საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებისთვის ოჯახში ძალადობის სახეების იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით დაიგეგმოს გადრმავეული სასწავლო ტრენინგები რეგიონებში;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს და სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაბამისმა უწყებებმა ეფექტურად განახორციელონ ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების გამოვლენა, მოახდინონ ძალადობის იდენტიფიცირება, განსაკუთრებით, ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევაში შესაბამისი სტატუსის მინიჭება და ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია.
- არასრულწლოვნებთან მიმართებით, ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების დასაცავად ოჯახში ძალადობის ფაქტებზე დაიხვეწოს მონიტორინგის მექანიზმები;
- განხორციელდეს სახელმწიფო მოხელეების რეგულარული და რეგლამენტირებული სწავლება, რათა გაიზარდოს მათი ცნობიერება აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებით;

რეკომენდაცია თბილისის საქალაქო სასამართლოს

- კანონმდებელმა გაითვალისწინოს ოჯახში ძალადობის სადაო ურთიერთობების სამართალწარმოების საჯაროობის საკითხი. სხდომის საჯაროობის საკითხის განხილვა უნდა მოხდეს საქმის განხილვაში მონაწილე ყველა პირის თანხმობით, თუმცა ცალკე განიხილოს ასეთი საკითხის სამართალწარმოებითი დარეგულირება.
- სასამართლომ, სასამართლო პროცესის წარმოების დაწყებისას განუმარტოს მოძალადეს და მსხვერფს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-94 მუხლების მოთხოვნები და მისცეს შესაძლებლობა (გონივრული დრო) მხარეებმა უზრუნველყონ თავისი უფლებების დამცველთა მონაწილეობა სასამართლო პროცესზე.
- სასამართლოში დაიწყოს ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით განხილულ საქმეებზე სტატისტიკის წარმოება სქესის, ეროვნული კუთვნილების, ასაკის, ეთნიკური კუთვნილებისა და სხვა მახასიათებლებით.
- სასამართლოებში განხორციელდეს ოჯახში ძალადობის საქმეების სისტემატიზაცია და საარქივო დამუშავება გენდერული ნიშნით წლების მიხედვით, კერძოდ, რა სახის ძალადობაზეა გამოცემული დამცავი და შემაკავებელი ორდერი და რამდენ შემთხვევაშია მსხვერპლი ქალი და რამდენ შემთხვევაშია მსხვერპლი კაცი, ასეთივე კლასიფიკაცია მოძალადეებთან მიმართებაში;
- დამცავი ორდების მოთხოვნით განცხადების შეტანის, კანცელარიაში ჩაბარების და წარმოებაში მიღების მომენტიდან გამოიცეს დროებით დაცვითი ღონისძიების სახით დამცავი ორდერი, რომელიც უზრუნველყოფს მსხვერპლის დაცვას სასამართლოში საქმის განხილვის მიმდინარეობის პერიოდში, რათა თავი ავარიდოთ მსხვერპლის განცხადების შეტანით გამოწვეულ მოულოდნელ ძალადობას.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო, იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს

ადვოკატთა ასოციაცია

- კონვენციის და ფაკულტატური ოქმით გათვალისწინებული პროცედურებისა და ზოგადი რეკომენდაციების შესწავლის მიზნით სახელმწიფომ მიიღოს დამატებითი ზომები, დანერგოს სასწავლო პროგრამები მოსამართლეთა, ადვოკატთა და პროკურორთა სასწავლო ცენტრებში.
- შემუშავდეს სახელმძღვანელო (გაიდლაინი) თუ როგორ გამოიყენო ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებისას.

- ხელი შეეწეოს ერთგავროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებასა და პროპულირიზაციას თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების დახმარებით.
- ამდღედ მოსახლეობის სამართლებრივი ცნობიერება გასაჩივრების მექანიზმებთან დაკავშირებით.

რეკომენდაცია საქართველოს პარლამენტს

- „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის “ფ” პუნქტი, ოჯახის წევრთა ჩამონათვალს დაემატოს “შინამოსამსახურეები”;
- დაუყოვნებლივ ამოქმედდეს მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრების /ან ღონისძიებების-პროგრამები, რომელიც გათვალისწინებულია „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე- 20 მუხლით.
- ცვლილება შევიდეს შესაბამის კანონმდებლობაში, რათა შესაძლებლობა მიეცეს მსხვერპს, არა მარტო ოჯახში ძალადობის ფაქტზე ისარგებლოს სახაზინო ადვოკატით, არამედ აღნიშნული დავიდან გამომდინარე სამოქალაქო სამართლებრივი მექანიზმებით გარანტირებული უფლების დასაცავად შეძლოს ისარგებლოს კვალიფიციური სამართლებრივი მომსახურებით უფასოდ.
- ცვლილება სახელმწიფო ბაუის შესახებ კანონში და სამოქალაქო საპროცესო კოდექსში. საერთო სასამართლოებში შეტანილ სარჩელებზე (განქორწინება, აღიშენის დანიშვნა, ქონების გაყოფა, მიყენებული მატერიალური თუ მორალური ზიანის ანაზღაურებაზე და სხვა წარდგენილ სასარჩელო განცხადებებზე) სახელმწიფო ბაუისგან განთავისუფლდნენ პირები, რომელთაც „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვს მსხვერპლის სტატუსი;
- სახელმწიფო ბიუჯეტიდან კანონმდებლობით და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობის სახეების ადეკვატური დაფინანსება კანონმდებლობის ყველა ნორმის ეფექტური ამოქმედებისთვის;
- უზრუნველყოფილი იქნეს სოციალური მუშაკების ინსტიტუციური გაძლიერება და ოჯახში ძალადობის კანონის მე-8 მუხლით გაწერილი ვალდებულებების შესრულება დაუყოვნებლივ;
- დამცავი ორდების მოთხოვნით განცხადების შეტანის, კანცელარიაში ჩაბარების და წარმოებაში მიღების მომენტიდან გამოიცეს დროებით

დაცვითი ღონისძიების სახით დამცავი ორდერი, რომელიც უზრუნველყოფს მსხვერპლის დაცვას სასამართლოში საქმის განხილვის მიმდინარეობის პერიოდში, რადგან თავი აგარიდოთ მსხვერპლის განცხადების შეტანით გამოწვეულ მოულოდნელ ძალადობას;

რეკომენდაცია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს

- დაინერგოს სპეციალური პროგრამა, რომელიც სოციალურ მუშაკებს საშუალებას მისცემს გასვლითი კომუნიკაციის დროს სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებაში მიიღონ ინფორმაცია ისეთ ბავშვებზე, რომლებიც განიცდიან ძალადობას. რის შემდეგადაც მოხდება კანონის მოთხოვნათა შესაბამისი ღონისძიებების გატარება.
- შესაბამისმა სამინისტროებმა უზრუნველყონ ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტების: მასწავლებლების, სოციალური მუშაკების, სამედიცინო მუშაკების, პოლიციის და სასამართლო სისტემის წარმომადგენლების ტრენინგები, რათა ეფექტურად მოხდეს ბავშვებზე ძალადობის შემთხვევების გამოვლენა და მიღებულ იქნას სათანადო ზომები, როდესაც არსებობს ოჯახში ბავშვებზე ძალადობის ეჭვი;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს და სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაბამისმა უწყებებმა ეფექტურად განახორციელონ ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების გამოვლენა, მოახდინონ ძალადობის იდენტიფიცირება, განსაკუთრებით ფსიქოლოგიური ძალადობის, შესაბამისი სტატუსის მინიჭება და მოახდინონ შესაბამისი ღონისძიებების გატარებით ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია.
- არასრულწლოვნებთან მიმართებით, ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების დასაცავად ოჯახში ძალადობის ფაქტებზე დაიხვეწოს მონიტორინგის მექანიზმები;

რეკომენდაცია შრომის, ჯამრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს

- უზრუნველყოს მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრების /ან ღონისძიებების-პროგრამები დაუყოვნებლივ ამოქმედება;
- განხორციელდეს სახელმწიფო მოხელეების რეგულარული და რეგლამენტირებული სწავლება, რათა გაიზარდოს მათი ცნობიერება აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებით;

სასამართლო საქმეები

“ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ” საქართველოს კანონის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დაცვის მექანიზმების გამოყენებით მიღებული პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებების შესწავლა.

(შემაკავებელი ორდერი)

საქმე №1

ანა რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება დიმიტრისთან და 19 წლის მანძილზე მოძალადე მეუღლის მხრიდან ხშირად იყო კონფლიქტურ სიტუაციაში არასწრულწლოვან შვილებთან და ავადმყოფ მამამთილთან ერთად. ხშირად იყო ფიზიკური ძალადობისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის მსხვერპლი. ანა ითხოვდა მოძალადისგან განქორწინებას, რადგან მათ შვილებს შესძლებოდათ ძალადობის გარეშე ნორმალური აღზრდა და ცხოვრება. დიმიტრი შვილებიდან ანებივრებდა ბიჭს და უბიძგებდა შვილს დედისთვის უშუალო სიტყვებით მიემართა, ხოლო გოგონას და ავადმყოფ მამას ცუდად ექცეოდა.

2010 წლის 28 თებერვალს დიმიტრიმ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ანას. დიმიტრიმ მეუღლეს თავში ჩაარტყა მუშტი და შემდეგ ტელეფონის აპარატი. აღნიშნულის გამო მსხვერპლი იძულებული იყო დაკავშირებოდა საპატრულო პოლიციას და ეთხოვა დახმარება. საპატრულო პოლიციამ მოახდინა სათანადო რეაგირება. გამოცხადდა შემთხვევის ადგილზე, მეუღლეებს ჩამოართვა ახსნა-განმარტება, შეადგინა შემაკავებელი ორდერის ოქმი, სადაც დაფიქსირდა მსხვერპლის მიმართ ფიზიკური ძალადობა და გამოსცა შემაკავებელი ორდერი შემდეგი პირობებით: მოძალადის მსხვერპლთან და იმ ადგილებთან მიახლოების აკრძალვა, სადაც მსხვერპლი იმყოფება.

პატრულმა შემაკავებელი ორდერი დასამტკიცებლად წარუდგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. მოსამართლემ განუმარტა მხარეებს საპროცესო უფლება-მოვალეობები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე, 211-ე, 212-ე მუხლების¹⁰⁵ თანახმად. მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის,

¹⁰⁵ საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად: ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. მხარეებს საპროცესო უფლება-მოვალეობანი განემარტათ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე, 211-212-ე მუხლების თანახმად; <http://www.library.court.ge/fee/administrative1.pdf> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში სსსკ) 83 მუხლი, მხარეთა საპროცესო უფლებები;

შემაკავებელი ორდერის გამოცემის მიზანშეწონილობის შესწავლისა და ორდერში მითითებული ფაქტობრივი მდგომარეობების გამოკვლევის შემდეგ სასამართლომ მიიჩნია, რომ ორდერი გამოცემული იყო კანონმდებლობის შესაბამისად. სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, 22-ე, 24-ე, 21¹⁴-ე, 21¹³-ე და 21¹⁵-ე მუხლებით, დაამტკიცა საპატრულო პოლიციის მიერ გაცემული შემაკავებელი ორდერი შემდეგი პირობებით: მოძალადეს აეკრძალა მსხვერპლთან და იმ ადგილებთან მიახლოება, სადაც მსხვერპლი იმყოფება; მოძალადისაგან მსხვერპლისა და მასზე დამოკიდებული პირის გარიდება.

შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადა სასამართლომ გააგრძელა დამცავი ორდერის გამოცემამდე და მსხვერპლს განუმარტა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 30 დღის ვადაში მიმართოს სასამართლოს დამცავი ორდერის გამოცემასთან დაკავშირებით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ გაუქმებულად ჩაითვლება ამ გადაწყვეტილებით გამოყენებული დროებითი დამცავი ღონისძიებები. გადაწყვეტილება საჩივრდება სამი დღის ვადაში საჩივრის შემოტანის გზით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. საქმის განხილვა დაიწყო 13:30 საათზე, დასრულდა 13:40 საათზე.

საქმე №2

კესო და გივი დაქორწინებული იყვნენ ცხრა თვის მანძილზე. ამ პერიოდში გივი ხშირად იყო ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ, რის შედეგადაც იწყებდა ჩხუბს უმიზეზოდ, აყენებდა მეუღლეს **სიტყვიერ შეურაცხყოფას**, რაც ხდებოდა მეუღლეებს შორის კონფლიქტის მიზეზი. აღნიშნულის გამო ორივემ მიიღო გადაწყვეტილება განქორწინებულიყვნენ. საცხოვრებელი ბინა იყო კესოს საკუთრება. განქორწინების შემდეგ კესომ გადაწყვიტა ცოტა ხანს გასცლოდა ყოფილ მეუღლეს და იგი სტუმრად წავიდა ბათუმში მეგობართან. სტუმრად ყოფნის პერიოდში მოძალადე მეუღლე ხშირად ურეკავდა და სთხოვდა შერიგებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრებოდა ცემით. სამ დღეში, 2010 წლის 11 მარტს, ბათუმიდან სახლში დაბრუნებულ კესოს, მეუღლე დახვდა ნასვამი. მან ასევე შენიშნა, რომ მისი ნაყიდი კომპიუტერი აღარ იდგა თავის ადგილას. კესოს კითხვაზე თუ სად იყო კომპიუტერი, გივიმ განაცხადა, რომ „დაალომბარდა“. ამის შემდეგ მოძალადე მსხვერპლს **ფიზიკურად გაუსწორდა**, მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და დაიწყო საყოფაცხოვრებო ნივთების მტვრევა. თავის არეში ჩაარტყა ფეხი და სახის არეში შუბლი. მისი ასეთი საქციელი არ იყო პირველი შემთხვევა.

აღნიშნულის გამო მსხვერპლი იძულებული იყო დაკავშირებოდა საპატრულო პოლიციას და მათთვის ეთხოვა დახმარება. საპატრულო პოლიციამ მოახდინა

სსსკ 211 მუხლი, წესრიგის დაცვის მიზნით მოსამართლის მითითებათა სავალდებულობა;
სსსკ 212 მუხლი, სასამართლოში წესრიგის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა.

სათანადო რეაგირება, გამოცხადდა შემთხვევის ადგილზე, მსხვერპლს ჩამოართვა ახსნა-განმარტება, შეადგინა შემაკავებელი ორდერის ოქმი და გამოსცა შემაკავებელი ორდერი, სადაც ძალადობის ფორმად მიეთითა მსხვერპლის მიმართ **ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ძალადობა**.

საპატრულო პოლიციამ შემაკავებელი ორდერი დასამტკიცებლად წარუდგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. მოსამართლემ განუმარტა მხარეებს საპროცესო უფლება-მოვალეობები¹⁰⁶, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შემდეგ, სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა საპატრულო პოლიციის მოთხოვნა შემაკავებელი ორდერის დამტკიცების საკმარისი საფუძვლის გამო. სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, 21¹⁴-ე, 21¹³-ე და 21¹⁵-ე მუხლებით, დაამტკიცა საპატრულო პოლიციის მიერ გაცემული შემაკავებელი ორდერი შემდეგი პირობებით: 1. მოძალადის იმ სახლიდან მოშორება, სადაც მსხვერპლი ცხოვრობს; 2. მოძალადის თანასაკუთრების ერთპიროვნულად სარგებლობის უფლება; 3. მოძალადეს აეკრძალა მსხვერპლთან და იმ ადგილებთან მიახლოება, სადაც მსხვერპლი იმყოფება; 4. შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადა სასამართლომ გააგრძელა დამცავი ორდერის გამოცემამდე.

მხარეებს განემარტათ გასაჩივრების მექანიზმები: გადაწყვეტილება საჩივრდება სამი დღის ვადაში საჩივრის შემოტანის გზით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. საქმის განხილვა დაიწყო 13:25 საათზე, დასრულდა 13:30 საათზე.

საქმე №3

სამოცდაშვილი წლის ნანა შვილთან – დავითთან, რძალთან და შვილიშვილთან ერთად ცხოვრობდა ქალაქ თბილისში. ბოლო ხანს ხშირად იყო შვილის მხრიდან **ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ძალადობის** მსხვერპლი. მოძალადე შვილი ხშირად ბრუნდებოდა შინ ნასვამ მდგომარეობაში და ფიზიკურად უსწორდებოდა მოხუცებულ დედას, რასაც ესწრებოდა არასრულწლოვანი შვილიშვილი. საცხოვრებელი სახლის მესაკუთრე იყო დედა და მოძალადე შვილი ითხოვდა დედისგან სახლის გადაფორმებას თავის სახელზე. სწორედ აღნიშნული იყო ძალადობის მიზეზი შვილის და რძლის მხრიდან. მოძალადე დავითს არაერთხელ ჩამოართვეს ხელწერილი პოლიციის თანამშრომლებმა, რომ აღნიშნული ქმედებისგან თავს შეიკავებდა, თუმცა იგი კვლავ ახორციელებდა ძალადობას დედაზე. 2010 წლის 5 ოქტომბერს დავითი კვლავ დაბრუნდა სახლში ნასვამ მდგომარეობაში. სახლში შესვლისთანავე მიაყენა დედას სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, ასევე დაამტკიცა საყოფაცხოვრებო ნივთები და

¹⁰⁶ იხ.სქოლიო 94.

დალეწა საცხოვრებელი სახლის ფანჯრები. ცდილობდა დედას ხელით შეხებოდა. დედა მოერიდა სიტუაციის უფრო მეტად გამწვავებას და განერიდა, შევიდა თავის ოთახში. მოძალადემ შეამტვრია ოთახის კარები. ნანა ცდილობდა პოლიციასთან დაკავშირებას, მაგრამ მოძალადე ამის საშუალებას არ აძლევდა. დედას ემუქრებოდა მოკვლით. ყვირილზე სახლში შევიდნენ მეზობლები და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლო ნანამ საპატრულო პოლიციის გამოძახება.

საპატრულო პოლიციამ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მოახდინა სათანადო რეაგირება, მივიდა შემთხვევის ადგილზე, მსხვერპლს ჩამოართვა ახსნა-განმარტება, შეადგინა შემაკავებელი ორდერის ოქმი და გამოსცა შემაკავებელი ორდერი ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და ეკონომიკურ ძალადობაზე შემდეგი პირობებით: მოძალადის იმ სახლიდან მოშორება, სადაც მსხვერპლი ცხოვრობს; მოძალადის არასრულწლოვნისგან განცალკევება.

პატრულმა შემაკავებელი ორდერი დასამტკიცებლად წარუდგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. მოსამართლემ განუმარტა მხარეებს საპროცესო უფლება-მოვალეობები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 214-ე, 211-ე, 212-ე და 215-ე მუხლების¹⁰⁷ შესაბამისად. მოსამართლის შეკითხვებზე საპატრულო პოლიციამ განმარტა: მხარს უჭერს წარმოდგენილ შემაკავებელ ორდერს. შემთხვევის დროს ადგილზე მისულებს ყველაფერი დამტკიცებული დახვდათ და ქალბატონი ნანა ატირებული. აღნიშნული ფაქტი არ იყო პირველი შემთხვევა, მათი ოჯახიდან ხშირად ყოფილა გამოძახება. მოძალადე პირობას დებდა, რომ აღარ გაიმეორებდა მსგავს ქმედებას, მაგრამ, როგორც ჩანს დაუსჯელობის სინდრომი გაუჩნდა მოძალადეს და იგი კვლავ აგრძელებს ძალადობას დედაზე. ასევე ოჯახში ჰყავთ მცირეწლოვანი¹⁰⁸ ბავშვი, რომელიც ხშირად ესწრება ამ ვითარებას და მამის საქციელი ახდენს მასზე ცუდ ზეგავლენას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო საპატრულო პოლიციამ გამოსცა შემაკავებელი ორდერი, ამასთან, სასამართლო სხდომაზე დააზუსტა მოთხოვნა და მოითხოვა შემაკავებელი ორდერის დამტკიცება შემდეგი პირობებით: შეურაცხყოფის მიყენების მიზნით, აეკრძალოს მოძალადეს მსხვერპლთან ურთიერთობა, მსხვერპლთან და იმ ადგილებთან მიახლოება, სადაც მსხვერპლი იმყოფება. მსხვერპლმა განმარტა, რომ ეთანხმებოდა საპატრულო პოლიციის შუამდგომლობას, აღნიშნა, რომ ამ ყოველივეს სისტემატური ხასიათი აქვს. მოძალადე დახრჩობითაც ემუქრებოდა, ტელეფონის აპარატი დაამტვრია, რომ არ დაერეკა საპატრულო პოლიციაში. დავითი წარსულში გასახლებული იყო ბინიდან, შემდეგ დედას შეეცოდა და

¹⁰⁷ იხ: სქოლიო 94, სსსკ 214 მუხლი, სასამართლოს შუამდგენლობის გამოცხადება და აცილების უფლების განმარტება; სსსკ 215 მუხლი. მხარეთა შუამდგომლობებისა და განცხადებების განხილვა;
¹⁰⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად შეიძლება ასაკის არასრულწლოვანი (მცირეწლოვანი) არის ქმედუწარმო;

შემოუშვა კვლავ საცხოვრებელ სახლში, იფიქრა გონს მოეგო შვილი, თუმცა ყველაფერი პირიქით მოხდა - დღე არ გავა ისე, კონფლიქტი რომ არ მოხდეს, ხშირად სცემს დედას, თვალები სულ ჩალურჯებული აქვს. კონფლიქტის ძირითადი მიზეზი საცხოვრებელი ბინაა, რომელიც მსხვერპლის სახელზეა გაფორმებული, ხოლო შვილი და რძალი ედავებიან და გადაფორმება სურთ. მოძალადემ განმარტა, რომ არ ეთანხმებოდა შუამდგომლობას, შესაძლებელია ნასვამი როდესაც იყო ყვიროდა სახლში, თუმცა, ხელით არავის შეხებია. თვალების ჩალურჯებას რაც შეეხება - სრული სიცრუეა, დედა წაიქცა და თვალი დაარტყა. კონფლიქტის დღეს კი გამწარებული იყო, ქვა ისროლა და ფანჯრები ჩატეხა, მაგრამ ცემის ფაქტი აბსურდულია.

მოსამართლემ მხარეთა მოსმენის შემდეგ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, 21¹⁴-ე, 21¹³-ე და 21¹⁵-ე მუხლებით, დაამტკიცა საპატრულო პოლიციის მიერ გაცემული შემაკავებელი ორდერი შემდეგი პირობებით: მოძალადეს აეკრძალა მსხვერპლის საცხოვრებელ სახლთან მიახლოება¹⁰⁹. შემაკავებელი ორდერის მოქმედება გააგრძელა ერთ თვემდე¹¹⁰. მხარეებს განემარტათ რომ შემაკავებელი ორდერის დამტკიცების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება გამოცხადებისთანავე შედის ძალაში და მისი გასაჩივრება არ აჩერებს შემაკავებელი ორდერის მოქმედებას¹¹¹. მოძალადის მიერ შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით¹¹².

გადაწყვეტილება გაეგზავნოს მხარეებს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის გლდანი-ნაძალადევის შს სამმართველოს, შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების დარღვევაზე რეაგირების მიზნით¹¹³. მხარეებს განემარტათ

¹⁰⁹ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21¹⁵-ე მუხლი. დამცავი ან შემაკავებელი ორდერით გასათვალისწინებელი საკითხები.

¹¹⁰ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21¹⁴-ე მუხლის მე-6 ნაწილი. შემაკავებელი ორდერის გამოცემის და გასაჩივრების წესი;

¹¹¹ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21¹³-ე მუხლის მე-6 ნაწილი. დამცავი ორდერის გამოცემისა და გასაჩივრების წესი;

¹¹² საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 175²-ე მუხლი. დამცავი და შემაკავებელი ორდერებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა (გამოიწვევს ადმინისტრაციულ პატიმრობას 7 დღემდე ვადით ან გამასწორებელ სამუშაოებს ერთ თვემდე ვადით) და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381¹-ე მუხლი დამცავი ან შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების/ან და ვალდებულებების შეუსრულებლობა (ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით ვადით 180-240 საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე).

http://kutaissappeal.court.gov.ge/files/upload-file/pdf/administraciul_samartaldarrvevata_kodeqsi.pdf

¹¹³ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21¹⁴-ე მუხლის მე-7 ნაწილი. აღნიშნული მუხლით “სასამართლო გადაწყვეტილება ეგზავნება საქართველოს შსს ტერიტორიული ორგანოს შესაბამის საუბრო სამსახურს მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების დარღვევაზე რეაგირების მიზნით; თუ შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული საკითხი შეეხება არასრულწლოვანს, სასამართლო გადაწყვეტილება ეგზავნება მეურვეობისა და მზრუნველობის შესაბამის ადგილობრივ ორგანოს, ხოლო თუ სასამართლო გადაწყვეტილება შეეხება იარაღთან დაკავშირებულ საკითხებს საქართველოს შსს შესაბამის სამსახურს.” საპატრულო პოლიცია ითხოვდა შემაკავებელი ორდერის გამოცემას და მოძალადის ქმედებების შეზღუდვას დედის და მცირეწლოვანი შვილის მიმართ, თუმცა, პროცესზე საპატრულო პოლიციამ დააზუსტა მოთხოვნა. მოითხოვა შემაკავებელი ორდერის დამტკიცება შემდეგი

გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი, გადაწყვეტილების მხარისადმი გადაცემიდან 3 დღის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული სასამართლოს მეშვეობით¹¹⁴. საქმის განხილვა დაიწყო 17:10 საათზე, დასრულდა 17:35 საათზე.

საქმე №4

უნა არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება დევისთან. ქალბატონი ხშირად არის მეუღლის მხრიდან **ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობის** მსხვერპლი. მოძალადე იმყოფებოდა ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ და უმიზეზოდ გამოხატავს აგრესიას მსხვერპლის მიმართ. მიზეზად კი ორივე მხარე ასახელებს საბანკო ანგარიშზე განთავსებულ თანხას. 2010 წლის 27 სექტემბერს ისევ განმეორდა მსხვერპლის მიმართ ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობა. მსხვერპლი დაუკავშირდა საპატრულო პოლიციას და სთხოვა დახმარება. პატრულმა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მოახდინა სათანადო რეაგირება, მივიდა შემთხვევის ადგილზე, მხარეებს ჩამოართვა ახსნა-განმარტება, შეადგინა შემაკავებელი ორდერის ოქმი, გამოსცა შემაკავებელი ორდერი შემდეგი პირობებით: მოძალადის იმ სახლისგან მოშორება, სადაც მსხვერპლი ცხოვრობს; მოძალადის მსხვერპლთან, მის სამსახურთან და იმ ადგილებთან მიახლოების აკრძალვა, სადაც მსხვერპლი იმყოფება.

საპატრულო პოლიციამ შემაკავებელი ორდერი დასამტკიცებლად წარუდგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. მხარეთა მოსმენის შემდეგ სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა საპატრულო პოლიციის მოთხოვნა შემაკავებელი ორდერის დამტკიცების საკმარისი საფუძვლის გამო. იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, 21¹⁴-ე, 21¹³-ე და 21¹⁵-ე მუხლებით¹¹⁵, დაამტკიცა საპატრულო პოლიციის მიერ გაცემული შემაკავებელი ორდერი და მოძალადეს აკრძალა მსხვერპლის საცხოვრებელ სახლთან მიახლოება. შემაკავებელი ორდერის მოქმედება გააგრძელა ერთ თვემდე¹¹⁶.

მხარეებს განემარტათ, რომ შემაკავებელი ორდერის დამტკიცების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება გამოცხადებისთანავე შედის ძალაში და მისი

პირობებით: "შეურაცხყოფის მიყენების მიზნით, აკრძალოს მოძალადეს მსხვერპლთან ურთიერთობა და იმ ადგილებთან მიახლოება, სადაც მსხვერპლი იმყოფება." საპატრულო პოლიციას აღარ დაუყენებია მოთხოვნა მოძალადის არასრულწლოვნისგან განცალკევებაზე". შემაკავებელი ორდერი დამტკიცდა სასამართლოზე ცვლილებებით და შეტყობინება არ გაეგზავნა მეურვეობისა და მზრუნველობის შესაბამის სამსახურს;

¹¹⁴ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21¹³-ე მუხლის მე-6 ნაწილი.

¹¹⁵ იხილეთ სქოლიო 98, 99, 100;

¹¹⁶ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21¹⁴-ე მუხლის მე-6 ნაწილი;

გასაჩივრება არ აჩერებს შემაკავებელი ორდერის მოქმედებას¹¹⁷. მოძალადის მიერ შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით¹¹⁸. მხარეებს განემარტათ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი, გადაწყვეტილების მხარისადმი გადაცემიდან 3 დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული სასამართლოს მეშვეობით¹¹⁹. საქმის განხილვა დაიწყო 18:10 საათზე, დასრულდა 18:25 საათზე.

საქმე №5

ნინო რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება გურამისთან და ჰყავთ ხუთი შვილი. ბოლო წლების განმავლობაში მეუღლეები ერთად აღარ ცხოვრობდნენ. თუმცა მეუღლე სისტემატურად იმყოფებოდა ნასვამ მდგომარეობაში და აყენებდა მსხვერპლს სიტყვიერ შეურაცხყოფას, ადგილი ჰქონდა ასევე ფიზიკურ ძალადობასაც. მსხვერპლს აღნიშნულის გამო სურდა განქორწინება მოძალადესთან. 2010 წლის 23 აპრილს ნინოს დედის დაბადების დღეზე მივიდა გურამი, რომელმაც დალია სასმელი და მიაყენა მეუღლეს ფიზიკური შეურაცხყოფა. მსხვერპლი დაუკავშირდა საპატრულო პოლიციას და სთხოვა დახმარება. საპატრულო პოლიცია გამოცხადდა შემთხვევის ადგილზე, მსხვერპლს ჩამოართვა ხელწერილი შეგნებულად ცრუ დასმენისთვის, რომელიც საქმეს დაერთო. მსხვერპლს შესთავაზეს თავშესაფარში გადაყვანა, რაზედაც უარი განაცხადა. საპატრულო პოლიციამ მსხვერპლს და მოძალადეს ჩამოართვა ახსნა-განმარტება, შეადგინა შემაკავებელი ორდერის ოქმი და გამოსცა შემაკავებელი ორდერი შემდეგი პირობებით: მოძალადის განცალკევება მსხვერპლისგან.

შემაკავებელი ორდერი დასამტკიცებლად წარედგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. მხარეებს განემარტათ საპროცესო უფლება-მოვალეობანი¹²⁰. მხარეთა მოსმენის შემდეგ სასამართლომ ნაწილობრივ დაამტკიცა საპატრულო პოლიციის მიერ გაცემული შემაკავებელი ორდერი. სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, 21¹⁴-ე, 21¹³-ე და 21¹⁵-ე მუხლებით, დაამტკიცა საპატრულო პოლიციის მიერ გაცემული შემაკავებელი ორდერი და მოძალადეს აეკრძალა მსხვერპლთან და იმ ადგილებთან მიახლოება, სადაც მსხვერპლი იმყოფება და ამასთანავე

¹¹⁷ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21¹³-ე მუხლის მე-6 ნაწილი;

¹¹⁸ საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 175²-ე მუხლი, დამცავი და შემაკავებელი ორდერებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381^ა-ე მუხლი - დამცავი ან შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების ან/და ვალდებულებების შეუსრულებლობა;

¹¹⁹ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21¹³-ე მუხლის მე-6 ნაწილი.

¹²⁰ იხ.სქოლიო 94;

შემაკავებელი ორდერის მოქმედება გააგრძელა ორ თვემდე¹²¹. მხარეს განემარტა გასაჩივრების მექანიზმები. საქმის განხილვა დაიწყო 13:00 საათზე, დასრულდა 13:20 საათზე.

საქმე №6

ნანა რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება გაგასთან და ჰყავთ ორი შვილი ქალ-ვაჟი, 7 და 9 წლის. მეუღლე ხშირად იყო ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ, რის გამოც მსხვერპლს აყენებდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას, მეორე დღეს კი არაფერი ახსოვდა. აღნიშნული სერიოზულად მოქმედებდა, როგორც მსხვერპლზე, ასევე მათ არასრულწლოვან შვილებზე. ბინა, სადაც მეუღლეები ცხოვრობდნენ ბავშვებთან ერთად, მეგობრის საკუთრებაა და ისინი დროებით სარგებლობდნენ აღნიშნული ფართით. მსხვერპლი ითხოვდა მოძალადესთან განქორწინებას, თუმცა მეუღლე არ თანხმდებოდა განქორწინებაზე. 2010 წლის 20 მაისს ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევის დროს, მსხვერპლი დაუკავშირდა საპატრულო პოლიციას და სთხოვა დახმარება. პატრულმა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მოახდინა სათანადო რეაგირება, მივიდა შემთხვევის ადგილზე, მხარეებს ჩამოართვა ახსნა-განმარტება, შეადგინა შემაკავებელი ორდერის ოქმი და გამოსცა შემაკავებელი ორდერი შემდეგი პირობებით: მოძალადის იმ სახლისაგან მოშორება, სადაც მსხვერპლი ცხოვრობს; მოძალადის მსხვერპლთან, მის სამსახურთან და იმ სხვა ადგილებთან მიახლოების აკრძალვა, სადაც მსხვერპლი იმყოფება.

საპატრულო პოლიციამ შემაკავებელი ორდერი დასამტკიცებლად წარუდგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შემდეგ სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა საპატრულო პოლიციის მოთხოვნა შემაკავებელი ორდერის დამტკიცების საკმარისი საფუძვლის გამო. სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, 21¹⁴-ე, 21¹³-ე და 21¹⁵-ე მუხლებით, დაამტკიცა შემაკავებელი ორდერი შემდეგი პირობებით: 1. მოძალადეს აკრძალა მსხვერპლთან, მის სამსახურთან და იმ ადგილებთან მიახლოება, სადაც მსხვერპლი იმყოფება; 2. მოძალადის იმ სახლიდან მოშორება, სადაც მსხვერპლი ცხოვრობს.

შემაკავებელი ორდერის მოქმედება გააგრძელა ერთ თვემდე¹²². მსხვერპლს განემარტა, რომ დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით სასამართლოს მომართვის ვადის გასვლის შემდეგ გაუქმებულად ჩაითვლება ამ გადაწყვეტილებით გამოყენებული დროებითი დამცავი ღონისძიება. ასევე

¹²¹ სხდომის ოქმში მითითებული შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადა გრძელდება ერთ თვემდე კანონის შესაბამისად, ხოლო სასამართლო გადაწყვეტილებაში მოქმედების ვადა გრძელდება ორ თვემდე. კანონის თანახმად 2010 წლის 1 აპრილიდან ძალაში შესული საკანონმდებლო ცვლილებებით შემაკავებელ ორდერზე დადგენილია 1 თვიანი მოქმედების ვადა.

¹²² იხილეთ სქოლიო 105;

განემარტა გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმები, კერძოდ, გადაწყვეტილება საჩივრდება სააპელაციო სასამართლოში მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში¹²³. გასაჩივრება არ აჩერებს გამოცემულ შემაკავებულ ორდერს. სხდომა დაიწყო 16:30 საათზე, დასრულდა 17:00 საათზე.

11 ივნისს მსხვერპლმა მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას განცხადებით და ითხოვდა 2010 წლის 21 მაისს, მისი მოძალადე მეუღლის მიმართ, ერთი თვის ვადის დამტკიცებულ შემაკავებელი ორდერის ვადის გაგრძელებას მაქსიმალური ვადით¹²⁴.

მსხვერპლი გრძობდა საშიშროებას ორდერის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, რადგან მოძალადე მსხვერპლის ნაცნობებს და ნათესავებს აბარებდა მუქარას. ემუქრებოდა მოკვლით. ხაზს უსმევდა, რომ ის იყო ქრონიკული ალკოჰოლზე დამოკიდებული და ახასიათებდა ფსიქიკური აშლილობა. მოძალადე საშიში იყო მსხვერპლისთვის და მისი მცირეწლოვანი შვილებისთვის. მსხვერპლს სურდა სარჩელის შეტანა განქორწინების შესახებ და უფრო მეტად სჭირდებოდა ამ პერიოდში დაცვა ვიდრე მანამდე, ითხოვდა სასამართლოსგან მისი განცხადების დაკმაყოფილებას.

2010 წლის 14 ივნისს სასამართლომ განიხილა ერთპიროვნულად მსხვერპლის განცხადება. გაეცნო საქმის მასალას, შეამოწმა წარმოდგენილი შუამდგომლობის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა შემაკავებელი ორდერის ვადის გაგრძელების თაობაზე უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს. სასამართლომ არ დააკმაყოფილა მსხვერპლის მოთხოვნა ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით შემდეგი გარემოებათა გამო: “ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და ხმარების შესახებ” საქართველოს კანონის მე-10 მუხლით რეგლამენტირებულია დამცავი და შემაკავებელი ორდერის გამოცემის წესი, ამავე კანონის მე-12 მუხლით განსაზღვრულია შემაკავებელი ორდერის გამოცემის კანონით დადგენილი ვადა, რომელიც შეადგენს 1 თვეს. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21¹⁴-ე მუხლის მეორე პუნქტით ასევე რეგლამენტირებულია შემაკავებელი ორდერის დამტკიცების წესი. ყოველივე ზომოაღნიშნული გარემოებების ურთიეთშეჯერების შედეგად სასამართლომ დაადგინა: განმცხადებელს, მსხვერპლს უარი ეთქვას შემაკავებელი ორდერის ვადის გაგრძელებაზე. აღნიშნული განჩინების სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადა განისაზღვრა 12 დღით, მხარისათვის მისი გადაცემის მომენტიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიის მეშვეობით.

¹²³ იხილეთ სქოლიო 106;

¹²⁴ მსხვერპლმა სასამართლოს მიმართა შემაკავებელი ორდერის გაგრძელების მოთხოვნით, რაც არასწორია, კანონის თანახმად მას განცხადებით უნდა მოეთხოვა დამცავი ორდერის გამოცემა. როგორც ქეისიდან ირკვევა მსხვერპლს არ ჰქონდა შესაბამისი ინფორმაცია და სწორი სამართლებრივი კონსულტაცია არავინ გაუწია.

საქმე №7

გიული ოცდაერთი წელია არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება ღურმიშხანთან, ჰყავთ ორი ბიჭი. ბოლო დროს ღურმიშხანი ყოველდღე იმყოფებოდა ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ, ხშირად აყენებდა მეუღლეს და შვილებს სიტყვიერ შეურაცხყოფას და ემუქრებოდა სიცოცხლის ხელყოფით. მსხვერპლი და მისი შვილები ხშირად იყვნენ ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლნი. 2010 წლის 27 მაისს ღურმიშხანი კვლავინდებურად ნასვამ მდგომარეობაში მივიდა მეუღლის სახლში. სახლში გიული იმყოფებოდა შვილებთან ერთად. ღურმიშხანმა მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, უცენზურო სიტყვებით ილანძვებოდა, აგინებდა გიულის და უფროს ვაჟიშვილს. მსხვერპლმა გამოიძახა საპატრულო პოლიცია და ითხოვა მისი უფლებების დაცვა.

პატრულმა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მოახდინა სათანადო რეაგირება, მივიდა შემთხვევის ადგილზე, მსხვერპლს და მის შვილს ჩამოართვა ახსნა-განმარტება, შეადგინა შემაკავებელი ორდერის ოქმი და გამოსცა შემაკავებელი ორდერი შემდეგი პირობებით: მოძალადის იმ სახლისგან მოშორება, სადაც მსხვერპლი ცხოვრობს. კონფლიქტის მონაწილე უფროსი ვაჟი, რომლის აღქმაც შემდეგნაირია: „შესაძლოა მამამ სერიოზული ზიანი მოგვაყენოს, ის ყოველდღე ნასვამია, ხელი მეშლება მეცადინეობაში. ფსიქოლოგიურად ვერ ვიტან ყოველდღე ერთი და იმავე ფაქტებს, მეშინია მამამ არაფერი დაგვმართოს, ვინაიდან გვემუქრება სიცოცხლის მოსპობით, აღარ შემიძლია ამის ატანა, დიდი სურვილი მაქვს მამამ ჩვენთან აღარ იცხოვროს“.

საპატრულო პოლიციამ შემაკავებელი ორდერი დასამტკიცებლად წარუდგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. პროცესის მონაწილეებს განემარტათ მათი უფლება-მოვალეობანი. მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შემდეგ სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა საპატრულო პოლიციის მოთხოვნა შემაკავებელი ორდერის დამტკიცების თაობაზე. სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, 21¹⁴-ე, 21¹³-ე და 21¹⁵-ე მუხლებით, დაამტკიცა საპატრულო პოლიციის მიერ გაცემული შემაკავებელი ორდერი და მოძალადეს აეკრძალა იმ სახლთან მიახლოება, სადაც მსხვერპლი ცხოვრობს. ამასთანავე, შემაკავებელი ორდერის მოქმედება გააგრძელა ერთ თვემდე. მხარეებს განემარტა, რომ სასამართლო გადაწყვეტილების გამოცხადებისთანავე მისი გასაჩივრება არ აჩერებს შემაკავებელი ორდერის მოქმედებას. გადაწყვეტილება რეაგირების მიზნით გადაეგზავნო მხარეებს და შსს სამმართველოს საუბნო სამსახურს შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების დარღვევებზე რეაგირების მიზნით. მოძალადეს განემარტა, რომ მის მიერ შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების

შეუსრულებლობა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით¹²⁵. მხარეებს განემარტა გასაჩივრების მექანიზმები, კერძოდ გასაჩივრება შესაძლებელია სააპელაციო სასამართლოში თბილისის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით სამი დღის ვადაში მხარისათვის გადაცემული გადაწყვეტილების ჩაბარების დღიდან. სხდომა დაიწყო 17:00 საათზე, დამთავრდა 17:20 საათზე.

საქმე №8

ქალაქ თბილისში მცხოვრები თამარი და გრიგოლი იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში. გრიგოლი ხშირად ბრუნდებოდა სახლში ნასვამ მდგომარეობაში და მეუღლეს აყენებდა **ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ ძალადობას** და ასევე აიძულებდა მონურ შრომას, რაც ხდებოდა მეუღლეებს შორის კონფლიქტის მიზეზი. 2010 წლის 9 მაისს, საღამოს, გრიგოლი მივიდა სახლში ნასვამ მდგომარეობაში. მან სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მეუღლე თამარს და ჩაამტვრია სახლში შემოსასვლელი კარის შუშა. მსხვერპლი განერიდა აღნიშნულს და დაუკავშირდა საპატრულო პოლიციას და სთხოვა დახმარება. პატრულმა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მოახდინა სათანადო რეაგირება, მივიდა შემთხვევის ადგილზე, მხარეებს და მოწმეს ჩამოართვა ახსნა-განმარტება, შეადგინა შემაკავებელი ორდერის ოქმი და გამოსცა შემაკავებელი ორდერი შემდეგი პირობებით: მოძალადეს აეკრძალოს მსხვერპლის საცხოვრებელ სახლთან და იმ ადგილებთან მიახლოება, სადაც მსხვერპლი იმყოფება.

პატრულმა შემაკავებელი ორდერი დასამტკიცებლად წარუდგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. სასამართლომ განუმარტა მხარეებს მათი უფლება-მოვალეობები¹²⁶, მოწმეს განემარტა მისი უფლება-მოვალეობები, გათვალისწინებული სსსკ-ის 94 მუხლით. იგი გაფრთხილებულ იქნა ცრუ ჩვენების მიცემისთვის¹²⁷. მოწმემ განმარტა, რომ სამი წელია რაც თამარის და გრიგოლის ოჯახს იცნობს და გრიგოლი სისტემატურად სვამს და ჩხუბობს. იგინება და ამსხვრევს ყველაფერს. მსხვერპლმა (თამარმა) განმარტა, რომ მეუღლე სისტემატურად სვამს, ეჩხუბება და აყენებს სიტყვიერ შეურაცხყოფას. წარსულში საპატრულო პოლიციის მიერ შედგენილ იქნა შემაკავებელი ოქმი და შემაკავებელი ორდერი. მოძალადემ განმარტა, რომ, თითქოს, კონფლიქტის დროს იყო მისი დაბადების დღე და ნასვამი მივიდა სახლში, წყლის გათბობა

¹²⁵ საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 175²-ე მუხლი, დამცავი და შემაკავებელი ორდერებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381¹-ე მუხლი, დამცავი ან შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების ან/და ვალდებულებების შეუსრულებლობა;

¹²⁶ იხილეთ სქოლიო 94;

¹²⁷ სსსკ, მუხლი 370 - ცრუ ჩვენება, ყალბი დასკვნა, არასწორი ჩვენება; მუხლი 371 - მოწმის ან დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა; მუხლი 371¹ - მოწმის ან დაზარალებულის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემა.

სთხოვა და ამის გამო მოუვიდათ კონფლიქტი. ასევე ადასტურებს ფაქტს რომ 3-4 წლის წინ ხელი ასწია მეუღლეზე, რადგან იმსახურებდა.

მოსმენის შემდეგ სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა საპატრულო პოლიციის მოთხოვნა შემაკავებელი ორდერის დამტკიცების თაობაზე. სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, 21¹⁴-ე, 21¹³-ე და 21¹⁵-ე მუხლებით, დაამტკიცა საპატრულო პოლიციის მიერ გაცემული შემაკავებელი ორდერი შემდეგი პირობებით: მოძალადეს აეკრძალა მსხვერპლის სახლთან და იმ ადგილებთან მიახლოება, სადაც მსხვერპლი ცხოვრობს. ამასთანავე, შემაკავებელი ორდერის მოქმედება გააგრძელა ერთ თვემდე¹²⁸.

მხარეებს განემარტა რომ შემაკავებელი ორდერის დამტკიცების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება გამოცხადებისთანავე შედის ძალაში და მისი გასაჩივრება არ აჩერებს შემაკავებელი ორდერის მოქმედებას¹²⁹. ხოლო იმ შემთხვევაში თუ ადგილი ექნებოდა მხარეთა მიერ შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობას გამოიწვევდა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციის გამოყენებას¹³⁰ – ადმინისტრაციულ პატიმრობას 7 დღემდე ვადით ან გამასწორებელ სამუშაოებს ერთ თვემდე ვადით, ხოლო დამცავი ორდერით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შეუსრულებლობა გამოიწვევდა ადმინისტრაციულ პატიმრობას 30 დღემდე ვადით და გამასწორებელ სამუშაოებს სამ თვემდე ვადით. მხარეებს განემარტათ გასაჩივრების მექანიზმები, კერძოდ, რომ მხარეს შეუძლია გაასაჩივროს თბილისის სააპელაციო სასამართლოში მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების დღიდან სამი დღის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით. სხდომა დაიწყო 14:00 საათზე, დამთავრდა 14:20 საათზე.

საქმე №9

კარლოსა და მის ვაჟიშვილს დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ. მამის განცხადებით, შვილი არის ნარკომანი და ოჯახში ხშირად არის კონფლიქტური სიტუაცია. შვილი მამას სისტემატურად სთხოვს ფულს. ჩუმიად მიაქვს სხვადასხვა ფასეული ნივთები გასაყიდად ოჯახიდან. სისტემატურად აყენებს ოჯახის წევრებს ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას, აღნიშნულს ადასტურებს ბაბუაც. 2010 წლის 29 აპრილს მორიგი კონფლიქტის დროს კარლოს მიერ გამოძახებული იქნა საპატრულო პოლიცია შემაკავებელი

¹²⁸ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21¹⁴-ე მუხლის მე-6 ნაწილი;

¹²⁹ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21¹³-ე მუხლის მე-6 ნაწილი;

¹³⁰ საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 175²-ე მუხლი, დამცავი და შემაკავებელი ორდერებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381¹-ე მუხლი, დამცავი ან შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების ან/და ვალდებულებების შეუსრულებლობა.
(http://www.tcc.gov.ge/uploads/kanonebi/sixslis_samartlis_kodeqsi.pdf)

ორდერის დამტკიცების მიზნით, ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ძალადობის აკრძალვის უზრუნველსაყოფად. პატრულმა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მოახდინა სათანადო რეაგირება, მივიდა შემთხვევის ადგილზე, მხარეებს – მამას, შვილს და მოწმეს (პაპას) ჩამოართვა ახსნა-განმარტება, შეადგინა შემაკავებელი ორდერის ოქმი და გამოსცა შემაკავებელი ორდერი შემდეგი პირობებით: მოძალადის იმ ადგილებიდან მოშორება, სადაც მსხვერპლი ცხოვრობს. მოძალადე გადაყვანილ იქნა ნარკოლოგიურ კაბინეტში შესამოწმებლად¹³¹.

შემოწმების შემდეგ მოძალადე წავიდა ბიძასთან. პატრულმა შემაკავებელი ორდერი დასამტკიცებლად წარუდგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. 2010 წლის 30 აპრილს მსხვერპლი არ გამოცხადდა სასამართლო პროცესზე. თბილისის მთავარი სამმართველოს პატრულ ინსპექტორმა სასამართლოს მოახსენა, რომ ვერ მოხერხდა მსხვერპლის წარმოდგენა, მიაკითხეს საცხოვრებელ მისამართზე და არ დახვდათ, მობილური ტელეფონით ვერ მოძებნეს, ვინაიდან არის ალკოჰოლზე დამოკიდებული და არავინ იცის სად იმყოფება. აღნიშულიდან გამომდინარე საპატრულო პოლიციამ იშუამდგომლა მსხვერპლის დასწრების გარეშე საქმის განხილვა, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა. საპატრულო პოლიციამ მოითხოვა შემაკავებელი ორდერის დამტკიცება ზემოაღნიშნული პირობების გათვალისწინებით. მოძალადემ განმარტა, რომ მამასთან კონფლიქტი აქვს, მაგრამ ფიზიკური შეურაცხყოფას ადგილი არ ჰქონია, ხოლო თუ რამეს აშაგებს – თავის თავს უშაგებს.

მოსმენის შემდეგ სასამართლომ ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში განმცხადებლის მიერ სათანადო მტკიცებულებებით ვერ იქნა დადასტურებული ის გარემოება, რომ ადგილი აქვს რაიმე ფორმით ძალადობას, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად კი, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს ის გარემოებანი, რაზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. საქმის გარემოებები, რომელიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. შესაბამისად, სასამართლო თვლის, რომ პატრულის მიერ გაცემული შემაკავებელი ორდერი არ უნდა დამტკიცდეს. სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, 21¹⁴-ე, 21¹³-ე და 21¹⁵-ე მუხლებით და გადაწყვიტა არ დაეკმაყოფილებინა საპატრულო პოლიციის მოთხოვნა შემაკავებელი ორდერის დამტკიცების თაობაზე. მხარეებს განემარტათ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი, კერძოდ, მხარეს შეუძლია გაასაჩივროს თბილისის სააპელაციო სასამართლოში¹³² სამი დღის ვადაში მხარისათვის დასაბუთებული

¹³¹ საქმის მასალების გაცნობისას, საქმეში არ აღმოჩნდა ნარკოლოგიური შემოწმების შედეგები.
¹³² საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში 2009 წლის 28 დეკემბრის ცვლილებების შემდეგ, რომელიც ძალაში შევიდა 2010 წლის 1 აპრილს, შესაძლებელი გახდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება არა იმავე სასამართლოში (როგორც ამას კანონის ძველი რედაქცია ითვალისწინებდა), არამედ მეორე ინსტანციის სასამართლოში ანუ სააპელაციო

გადაწყვეტილების ჩაბარების დღიდან, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული სასამართლოს მეშვეობით. საქმის განხილვა დაიწყო 14:00 საათზე, დასრულდა 14:20 საათზე.

საქმე №10

თათული რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება გაგასთან. ბოლო ხუთი წლის მანძილზე გაგა ხშირად ბრუნდებოდა სახლში ნასვამ მდგომარეობაში და მეუღლეს აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, ჰქონდა მძიმე პათოლოგიური მდგომარეობა, რის გამოც ნორმალური ცხოვრების საშუალებას არ აძლევდა მეუღლეს და მათ 14 წლის შვილს. ალკოჰოლზე დამოკიდებულებამ გამოიწვია ციებ-ცხელება, რის ნიადაგზეც დაერღვა ფსიქიკა. წლების მანძილზე ვერ იძინებს, მთელი ღამის განმავლობაში დადის, ხმამაღლა საუბრობს, აქვს მოჩვენებები. ფიზიკურად არ ეხება მეუღლეს, მაგრამ ახდენს ფსიქოლოგიურ ზეწოლას. აღნიშნული ვითარების გამო თათულიმ წონაში დაიკლო 15 კილოგრამი და ძალიან გადაიღალა უძილობით. ვეღარ ახერხებდა სამსახურში თავისი მოვალეობების შესრულებას. 2010 წლის 26 აპრილს მოძალადე სახლში მივიდა ნასვამ მდგომარეობაში, დაუწყო მეუღლეს ჩხუბი და კამათი, მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, რის გამოც მსხვერპლმა დახმარებისათვის მიმართა საპატრულო პოლიციას.

პატრულმა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მოახდინა სათანადო რეაგირება, გამოცხადდა შემთხვევის ადგილზე, მხარეებს ჩამოართვა ახსნა-განმარტება, შეადგინა შემაკავებელი ორდერის ოქმი და გამოსცა შემაკავებელი ორდერი შემდეგი პირობებით: მოძალადეს აეკრძალოს მსხვერპლთან, მის სამსახურთან და იმ ადგილებთან მიახლოება, სადაც მსხვერპლი იმყოფება. პატრულმა შემაკავებელი ორდერი დასამტკიცებლად წარუდგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შემდეგ. მოსამართლემ შეკითხვებით მიმართა მხარეებს. მოძალადემ განმარტა. რომ იგი ერთი წელია რაც აღარ მუშაობს, წარსულში ბიზნესმენი იყო, ჰქონდა ბევრი ფული, ვიღაც კაცმა ძალიან მაგრად სცემა და მას შემდეგ დაიწყო დაღვევა. არ უარყოფს, რომ ძალიან ბევრ ალკოჰოლს იღებს, მაგრამ სხვანაირად არ შეუძლია. ეს ქალი მომაცილეთ და ყველაფერი კარგად იქნება. ჩემს შვილთან როგორი ურთიერთობა მაქვს ყველამ კარგად იცის.

მსხვერპლმა განმარტა, რომ მეუღლე ვეღარ აცნობიერებს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას. ძალიან ხშირად ეცემა, რადგან ფიზიკურად დასუსტებულია, თავს ვეღარ იკავებს, ამიტომ უყურადღებოდ ვერ ტოვებენ, რამდენჯერმე ანთებული სიგარეტით წაიქცა და სახლში რომ არ ყოფილიყვნენ სახლი დაიწვებოდა. ითმენდა რამდენი ხანიც შეეძლო, მაგრამ

სასამართლოში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21¹³-ე მუხლის მე-6 ნაწილი.

უკვე გაუსაძლის მდგომარეობაშია, იძულებული გახდა საპატრულო პოლიცია გამოეძახებინა და შემაკავებელი ორდერის დამტკიცება მოეთხოვა. მან ასევე განმარტა, რომ სახლი მეუღლის საკუთრებაა.

სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა საპატრულო პოლიციის მოთხოვნა შემაკავებელი ორდერის დამტკიცების თაობაზე. სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, 21¹⁴-ე, 21¹³-ე და 21¹⁵-ე მუხლებით, დაამტკიცა საპატრულო პოლიციის მიერ გაცემული შემაკავებელი ორდერი და მოძალადეს აეკრძალა მსხვერპლთან, მის სამსახურთან და იმ სხვა ადგილებთან მიახლოება, სადაც მსხვერპლი იმყოფება. ამასთანავე, შემაკავებელი ორდერის მოქმედება გაგრძელდა დამცავი ორდერის გამოცემამდე. იმ შემთხვევაში თუ ადგილი ექნებოდა მხარეთა მიერ შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დარღვევას, აღნიშნული გამოიწვევდა კანონით გათვალისწინებულ სანქციის გამოყენებას. მხარეებს განემარტა გასაჩივრების მექანიზმები, კერძოდ, გადაწყვეტილების გასაჩივრება 3 დღის ვადაში საჩივრის შემოტანის გზით ამავე სასამართლოში.

საქმე №11

ნინო განქორწინებული იყო ზვიადთან. მათი 16 წლიანი თანაცხოვრების პერიოდში შეეძინათ ორი შვილი. მიუხედავად განქორწინებისა ნინო ხშირად იყო ყოფილი მეუღლის მხრიდან ფიზიკური ძალადობისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის მსხვერპლი. მათ ჰქონდათ გაყოფილი საცხოვრებელი სახლი და ნინო ბავშვებთან ერთად იზოლირებულად ცხოვრობდა სახლის ერთ ნაწილში. 2010 წლის 26 აპრილს, საღამოს, ნინო და ბავშვები მასპინძლობდნენ ბიცოლას (ნინოს ძმის ცოლს). ზვიადი ნასვამ მდგომარეობაში მივიდა ნინოსთან და ბავშვებთან სახლში, იმ მიზეზით, თითქოს ბავშვების ნახვა სურდა. სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ნინოს და ემუქრებოდა მოკვლით, ასევე სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ნათესავსაც, რის გამოც მსხვერპლმა დახმარებისათვის მიმართა საპატრულო პოლიციას.

საპატრულო პოლიციამ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მოახდინა სათანადო რეაგირება, გამოცხადდა შემთხვევის ადგილზე, მხარეებს და მოწმეს ჩამოართვა ახსნა-განმარტება, შეადგინა შემაკავებელი ორდერის ოქმი და გამოსცა შემაკავებელი ორდერი შემდეგი პირობებით: მოძალადის მსხვერპლთან, მის სამსახურთან და იმ სხვა ადგილებთან მიახლოების აკრძალვა, სადაც მსხვერპლი იმყოფება. პატრულმა შემაკავებელი ორდერი დასამტკიცებლად წარუდგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. მოსამართლემ მხარეებს განუმარტა

საპროცესო უფლება-მოვალეობები¹³³. მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შემდეგ სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა საპატრულო პოლიციის მოთხოვნა შემაკავებელი ორდერის დამტკიცების თაობაზე.

სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, 21¹⁴-ე, 21¹³-ე და 21¹⁵-ე მუხლებით, დაამტკიცა შემაკავებელი ორდერი და მოძალადეს აკრძალა მსხვერპლთან, მის სამსახურთან იმ სხვა ადგილებთან მიახლოება, სადაც მსხვერპლი იმყოფება. ამასთანავე, შემაკავებელი ორდერის მოქმედება გააგრძელა დამცავი ორდერის გამოცემამდე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნებოდა მხარეთა მიერ შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნათა დარღვევას, აღნიშნული გამოიწვევდა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სანქციას. განემარტა გასაჩივრების მექანიზმები, კერძოდ, გადაწყვეტილების გასაჩივრება 3 დღის ვადაში საჩივრის შემოტანის გზით ამავე სასამართლოში (თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში).¹³⁴ საქმის განხილვა დაიწყო 14:15 საათზე, დასრულდა 14:45 საათზე.

საქმე №12

გიული და ბადრი ქორწინებაში იმყოფებიან. ბადრი ხშირად ბრუნდებოდა ხოლმე სახლში ნასვამ მდგომარეობაში და მეუღლეზე სისტემატურად ახორციელებდა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას, ასევე, ურეკავდა ტელეფონით და აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას. 2010 წლის 15 აპრილს გიული ღამის ცვლაში მუშაობდა და დაბრუნდა სამსახურიდან. მეუღლე კლავინდებურად ნასვამ მდგომარეობაში მოვიდა და მიაყენა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, დალეწა ავეჯი. არასრულწლოვანი შვილი შემსწრე იყო აღნიშნული ფაქტის. მსხვერპლი დაუკავშირდა საპატრულო პოლიციას და სთხოვა დახმარება.

პატრულმა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მოახდინა სათანადო რეაგირება, გამოცხადდა შემთხვევის ადგილზე, მხარეებს ჩამოართვა ახსნა-განმარტება, შეადგინა შემაკავებელი ორდერის ოქმი და გამოსცა შემაკავებელი ორდერი შემდეგი პირობებით: მოძალადის მსხვერპლთან და მის სამსახურთან და იმ ადგილებთან მიახლოების აკრძალვა, სადაც მსხვერპლი იმყოფება. მსხვერპლმა არ ისურვა კერძო ბრალდების საქმის¹³⁵

¹³³ იხილეთ სქოლიო 94;

¹³⁴ 2009 წლის 28 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებებით, რომელიც ამოქმედდა 2010 წლის 01 აპრილიდან, შემაკავებელი ორდერი გამოიცემა ერთი თვის ვადით, რაც შეეხება გადაწყვეტილების გასაჩივრებას, საჩივრდება თბილისის სააპელაციო სასამართლოში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში საჩივრის შეტანის მეშვეობით, დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში. საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 21¹⁴-ე მუხლის მე-6 ნაწილი და 21¹³-ე მუხლის მე-6 ნაწილი. ამ კონკრეტულ ქეისში არასწორად იქნა განმარტებული შემაკავებელი ორდერის ვადა და გასაჩივრების მექანიზმები.

¹³⁵ მსხვერპლმა არ ისურვა სისხლის სამართლებრივი დევნის აღძვრა. ცემა, ძალადობა, ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება ისჯება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-XX თავით. ამ

ადიკრა ფიზიკურ ძალადობაზე. მოძალადე იმდენად აგრესიული იყო რომ არ ემორჩილებოდა პოლიციის კანონიერ მოთხოვნას. საპატრულო პოლიციას მოუწია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის¹³⁶ შესაბამისად მოძალადის დაკავება. პატრულმა შემაკავებელი ორდერი დასამტკიცებლად წარუდგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. მოსამართლემ მხარეებს განუმარტა საპროცესო უფლება-მოვალეობები¹³⁷, რის შემდეგაც მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები.

სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, 21¹⁴-ე, 21¹³-ე და 21¹⁵-ე მუხლებით, დაამტკიცა საპატრულო პოლიციის მიერ გაცემული შემაკავებელი ორდერი და მოძალადეს აეკრძალა მსხვერპლთან, მის სამსახურთან და იმ სხვა ადგილებთან მიახლოება, სადაც მსხვერპლი იმყოფება. ამასთანავე, შემაკავებელი ორდერის მოქმედება გააგრძელა დამცავი ორდერის გამოცემამდე. მხარეებს განუმარტათ გასაჩივრების მექანიზმები, კერძოდ, გადაწყვეტილება საჩივრდება 3 დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოში, საჩივრის შემოტანის გზით თბილისის საქალაქო სასამართლოში. სხდომა დაიწყო 18:00 საათზე, დასრულდა 18:25 საათზე.

საქმე №13 (18)

ლეილა და მისი მეუღლე ხშირად იყვნენ თავისი შვილის მხრიდან ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლნი. მოძალადე დროებით უმუშევარი იყო და აღნიშნულის ნიადაგზე ხშირად ბრუნდებოდა ხოლმე სახლში ნასვამ მდგომარეობაში, სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა მშობლებს და ფიზიკურადაც ეხებოდა. მოძალადეს ჰყავდა 13 წლის შვილი და მეუღლე, რომელთანაც გაყრილი იყო. 2010 წლის 29 მარტს მოძალადე გვიან დაბრუნდა შინ ნასვამ მდგომარეობაში. მან მოსთხოვა პენსიონერ მშობლებს ფული. იმის გამო, რომ თანხა არ მისცეს მშობლებმა მიაყენა მათ სიტყვიერი შეურაცხყოფა, შემდეგ გაიქცა ქუჩაში ჩაჯდა ავტომობილში და ხმამაღალ ხმაზე მთელს უბანს ასმენინებდა მუსიკიებს, ცდილობდა ვინმეს გამოწვევას. აღნიშნულზე, რომ არავინ გამოეხმაურა, შევარდა სახლში, მშობლების საძინებელ ოთახში და ფიზიკურად გაუსწორდა დედ-მამას. მამა იძულებული გახდა დაკავშირებოდა საპატრულო პოლიციას. პატრულმა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მოახდინა სათანადო რეაგირება, მივიდა შემთხვევის

შემთხვევაში გამოყენებულ იქნა ადმინისტრაციული დაცვის მექანიზმები და არა სისხლისსამართლებრივი დაცვის მექანიზმები;

¹³⁶ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლი. სამართალდამცავ ორგანოთა მუშაკების ან სამხედრო მოსამსახურეების კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა;

¹³⁷ იხილეთ სქოლიო 94.

ადგილზე, მხარეებს და მოწმეს ჩამოართვა ახსნა-განმარტება, შეადგინა შემაკავებელი ორდერის ოქმი და ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ძალადობაზე გამოსცა შემაკავებელი ორდერი შემდეგი პირობებით: აეკრძალოს მოძალადეს მსხვერპლთან და იმ ადგილებთან მიახლოება, სადაც მსხვერპლი იმყოფება. საპატრულო პოლიციამ შემაკავებელი ორდერი დასამტკიცებლად წარუდგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შემდეგ სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა საპატრულო პოლიციის მოთხოვნა შემაკავებელი ორდერის დამტკიცების თაობაზე. იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, 22-ე, 24-ე, 21¹⁴-ე, 21¹³-ე და 21¹⁵-ე მუხლებით, დაამტკიცა საპატრულო პოლიციის მიერ გაცემული შემაკავებელი ორდერი და მოძალადეს აეკრძალა მსხვერპლთან და იმ ადგილებთან მიახლოება, სადაც მსხვერპლი იმყოფება; მოძალადის იმ სახლიდან მოშორება სადაც მსხვერპლი იმყოფება. ამასთანავე, სასამართლომ განუმარტა მსხვერპლს, რომ მას სასამართოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 30 დღის ვადაში შეეძლო მიემართა სასამართლოსათვის განცხადებით დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე. მსხვერპლს განემარტა, რომ დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით სასამართლოს მომართვის ვადის გასვლის შემდეგ გაუქმებულად ჩაითვლება ამ გადაწყვეტილებით გამოყენებული დროებითი დამცავი ღონისძიება. ასევე განემარტა გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმები, კერძოდ, გადაწყვეტილება საჩივრდება ერთჯერადად სამი დღის ვადაში საჩივრის შემოტანის გზით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში.¹³⁸ სხდომა დაიწყო 12:00 საათზე, დასრულდა 12:10 საათზე.

საქმე №14 (19)

გელა და სოფიო არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან. ცოლ-ქმარი ცხოვრობდა ნაქირავებ ბინაში. გელა სისტემატურად ბრუნდებოდა სახლში ნახვამ მდგომარეობაში და მეუღლეს აყენებდა ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას, რაც ასევე მოქმედებდა მათ მცირეწლოვან (წლინახევრის) შვილზე. 2010 წლის 16 თებერვალს, შუაღამეს, მოძალადე ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ დაბრუნდა სახლში და მიაყენა მეუღლეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. მსხვერპლმა თვითონ ვერ გაბედა პოლიციის გამოძახება და დახმარება სთხოვა მეზობელს, რომელიც დაუკავშირდა საპატრულო პოლიციას. პატრულმა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მოახდინა სათანადო რეაგირება, გამოცხადდა შემთხვევის ადგილზე, მხარეებს და მოწმეს ჩამოართვა ახსნა-განმარტება, შეადგინა შემაკავებელი ორდერის ოქმი და გამოსცა შემაკავებელი ორდერი: მოძალადის იმ სახლისგან მოშორება, სადაც მსხვერპლი ცხოვრობს.

¹³⁸ 2010 წლის 29 მარტისთვის არ იყო ამოქმედებული 2009 წლის 28 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებები. აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადები და ინსტანცია შესაბამეა იმ დროისთვის მოქმედ კანონმდებლობის მოთხოვნებს;

პატრულმა შემაკავებელი ორდერი დასამტკიცებლად წარუდგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. მოსამართლემ მხარეებს განუმარტა საპროცესო უფლება-მოვალეობები¹³⁹, რის შემდეგაც მოისმინა მხარეების ახსნა-განმარტება. საპატრულო პოლიციამ მოითხოვა შემაკავებელი ორდერის დამტკიცება გამოცემული პირობებით. მსხვერპლი დაეთანხმა საპატრულო პოლიციის შუამდგომლობას და დამატებით განმარტა, რომ მეუღლე ხშირად სვამს, ხოლო ნასვამ მდგომარეობაში ძალიან აგრესიულია და კონფლიქტური. შემთხვევის დღეს სცემა, ცდილობდა მოეთმინა სადამდეც შეეძლო, რადგან მას არ გააჩნია საკუთარი სახლი, არ აქვს შემოსავლის წყარო და მცირეწლოვანი შვილის გამო ვერ ახერხებს მუშაობას. მეუღლესთან კონფლიქტის გამო ერთხელ უკვე იმყოფებოდა დროებით თავშესაფარში,¹⁴⁰ მაგრამ იქ არსებული პირობების გამო აღარ სურდა თავშესაფარში დაბრუნება. მოძალადემ განმარტა, რომ ალკოჰოლს კი სვამდა, მაგრამ არავის არაფერს უშაგებდა, მას არ სურდა, რომ ვინმეს აეკრძალა მისთვის სახლში მისვლა, მეზობლებს ემუქრებოდა რომ იმ საღამოს კარგ დღეს დააწვედა და მათი საქმე არ იყო, სახლში რა ტონალობაზე ისაუბრებდა.

სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, 21¹⁴-ე, 21¹³-ე და 21¹⁵-ე მუხლებით, დაამტკიცა საპატრულო პოლიციის მიერ გაცემული შემაკავებელი ორდერი: მოძალადეს აეკრძალა იმ სახლში მისვლა და ცხოვრება, სადაც მსხვერპლი ცხოვრობს და იმყოფება. ამასთანავე, შემაკავებელი ორდერის მოქმედება გააგრძელა დამცავი ორდერის გამოცემის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანამდე. მხარეებს განემარტა, რომ სამი დღის ვადაში შეეძლოთ გაესაჩივრებინათ გადაწყვეტილება ერთჯერადად საჩივრის შეტანის გზით ამავე სასამართლოში¹⁴¹. სხდომა დაიწყო 15:00 საათზე, დასრულდა 15:30.

საქმე №15 (20)

ია და რამაზი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან. რამაზი ხშირად ბრუნდებოდა ხოლმე სახლში ნასვამ მდგომარეობაში და უმიზეზოდ მეუღლეს და ბავშვებს აყენებდა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას, რაც ასევე გავლენას ახდენდა მათ არასრულწლოვან შვილებზეც. 2010 წლის 14 აპრილს კვლავინდებურად ნასვამ მდგომარეობაში დაბრუნდა სახლში და მეუღლეს მიაყენა ფიზიკური და სიტკვიერი შეურაცხყოფა, ია იძულებული გახდა გამოეძახა საპატრულო პოლიცია. რამაზი ემუქრებოდა მეუღლეს და ბავშვებს სახლიდან გაგდებით. პატრულმა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით

¹³⁹ იხილეთ სქოლიო 94.

¹⁴⁰ „ოჯახში ძალადობის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის იქვეაუნქტი; მუხლი 17 - ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებელი (თავშესაფარი) და მუხლი 18 - მსხვერპლთა მოთავსება თავშესაფარში;

¹⁴¹ იხილეთ სქოლიო 127.

მოახდინა სათანადო რეაგირება, გამოცხადდა შემთხვევის ადგილზე, მხარეებს და მოწმეს ჩამოართვა ახსნა-განმარტება, შეადგინა შემაკავებელი ორდერის ოქმი და გამოსცა შემაკავებელი ორდერი შემდეგი პირობებით: მოძალადის იმ სახლიდან მოშორება სადაც მსხვერპლი ცხოვრობს.

საპატრულო პოლიციამ შემაკავებელი ორდერი დასამტკიცებლად წარუდგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. მოსამართლემ მხარეებს განუმარტა საპროცესო უფლება-მოვალეობები¹⁴², რის შემდეგაც მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტება. მოსამართლემ სრულად დააკმაყოფილა საპატრულო პოლიციის შუამდგომლობა შემაკავებელი ორდერის დამტკიცების თაობაზე. სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, 21¹⁴-ე, 21¹³-ე და 21¹⁵-ე მუხლებით, დაამტკიცა საპატრულო პოლიციის მიერ გაცემული შემაკავებელი ორდერი და მოძალადეს აეკრძალა იმ სახლში ცხოვრება, სადაც მსხვერპლი ცხოვრობს. ამასთანავე, შემაკავებელი ორდერის მოქმედება გააგრძელა დამცავი ორდერის გამოცემამდე. მსხვერპლს დამცავი ორდერის გამოტანაზე განცხადების შემოტანისთვის მიეცა 7 დღიანი ვადა ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან, ასევე განმარტა რომ განცხადების შემოტანის ვადის გასვლის შემდეგ გადაწყვეტილებით გათვალისწინებული დროებითი დამცავი ღონისძიება უქმდება. მხარეებს განემარტათ გასაჩივრების მექანიზმები, კერძოდ გადაწყვეტილება საჩივრდება 3 დღის ვადაში, საჩივრის შემოტანის გზით, თბილისის საქალაქო სასამართლოში. სასამართლო სხდომა დაიწყო 13:00, დასრულდა 13:25.

საქმე № 16

ელენე ხშირად იყო შვილის მხრიდან ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი. მოძალადე სისტემატურად ბრუნდებოდა სახლში ნასვამ მდგომარეობაში და დედას აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, ემუქრებოდა სიცოცხლის მოსპობით. აღნიშნულიდან გამომდინარე მოძალადე იწვა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, თუმცა აღნიშნულს შედეგი არ გამოუღია. 2010 წლის 01 თებერვალს მოძალადე სახლში იმყოფებოდა ნასვამი და აგრესიული, მან დედას მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, ჩაკეტა აბაზანაში და არ აძლევდა იქედან გამოსვლის საშუალებას. ინფარქტ გადატანილმა მამამ ვერ შესძლო მისი შეჩერება, რის გამოც იძულებულნი გახდნენ გამოეძახათ საპატრულო პოლიცია.

პატრულმა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მოახდინა სათანადო რეაგირება, გამოცხადდა შემთხვევის ადგილზე, მხარეებს ჩამოართვა ახსნა-განმარტება, შეადგინა შემაკავებელი ორდერის ოქმი და გამოსცა

¹⁴² იხილეთ სქოლიო 94.

შემაკავებელი ორდერი შემდეგი პირობებით: აეკრძალა იმ ადგილებთან მიახლოება, სადაც მსხვერპლი იმყოფებოდა. საპატრულო პოლიციამ შემაკავებელი ორდერი დასამტკიცებლად წარუდგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. მხარეთა მოსმენის შემდეგ სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა საპატრულო პოლიციის მოთხოვნა შემაკავებელი ორდერის დამტკიცების თაობაზე. სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, 21¹⁴-ე, 21¹³-ე და 21¹⁵-ე მუხლებით, დაამტკიცა საპატრულო პოლიციის მიერ გაცემული შემაკავებელი ორდერი და მოძალადეს აეკრძალა მსხვერპლთან და იმ ადგილებთან მიახლოება, სადაც მსხვერპლი იმყოფება. ამასთანავე, შემაკავებელი ორდერის მოქმედება გააგრძელა სამ თვემდე¹⁴³. სასამართლო სხდომა დაიწყო 13:40, დასრულდა 14:00.

საქმე №17 (27)

არზუ და იმრანი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ ჰყავთ სამი შვილი. იმრანი ბოლო წლებში ხშირად იმყოფებოდა ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ, რის გამოც ხშირად ჰქონდა კონფლიქტი ოჯახში მეუღლესთან და შვილთან. მსხვერპლის განმართებით ოჯახის წევრებს ხშირად აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, დანის გამოყენებით იმუქრებოდა. 2010 წლის 15 თებერვალს იმრანი ნასვამ მდგომარეობაში დაბრუნდა სახლში და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა შვილსა და მეუღლეს, ასევე ადგილი ჰქონდა ფიზიკურ ძალადობასა და იძულებას. არზუ დაუკავშირდა საპატრულო პოლიციას და ითხოვა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა. პატრულმა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მოახდინა სათანადო რეაგირება, მივიდა შემთხვევის ადგილზე, მეუღლესა და შვილს ჩამოართა ახსნა-განმარტება, შეადგინა შემაკავებელი ორდერის ოქმი სადაც აღნიშნა მოძალადის მხრიდან ფიზიკური, ფსიქოლოგიური ძალადობა და იძულების მსხვერპლის და ბავშვის მიმართ, ასევე გამოსცა შემაკავებელი ორდერი შემდეგი პირობებით: მოძალადის მსხვერპლთან და იმ ადგილებთან მიახლოება, სადაც მსხვერპლი იმყოფება.

შემაკავებელი ორდერი პატრულმა დასამტკიცებლად წარუდგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. სასამართლო სხდომაზე მოსამართლემ მხარეებს განუმარტა საპროცესო უფლება-მოვალეობანი¹⁴⁴. სასამართლო პროცესზე მსხვერპლმა განმარტა, რომ ეთანხმებოდა პატრულის მიერ მიცემულ ახსნა განმარტებებს შემაკავებელი ორდერის გამოცემასთან დაკავშირებით და ითხოვდა შემაკავებელი ორდერის დამტკიცებას წარმოდგენილი სახით. დამატებით განაცხადა, რომ რამდენიმე წელია მეუღლე ხშირად სვამს და აყენებს მას და მის შვილს შეურაცხყოფას, ჰყავს სამი შვილი. ფხიზელი კარგია, როდესაც თვრება დანას იღებს და

¹⁴³ იხილეთ სქოლიო 127;

¹⁴⁴ იხილეთ სქოლიო 94

ემუქრება. მოძალადემ განმარტა პროცესზე, რომ არ ეთანხმებოდა წარმოდგენილ შუამდგომლობას. აცხადებდა, რომ იგი ღოთი არ იყო, ნერვების გამო იყო თითქოს ასეთ მდგომარეობაში. ადანაშაულებდა მეუღლეს ძმაკაცთან დალატში. ითმენდა ამ დრომდე, თუმცა ყველაფერს აქვს საზღვარი. მოძალადე არ ეთანხმება მსხვერპლის და პატრულის შუამდგომლობას. პროცესის მონაწილე მხარეებმა პაექრობის¹⁴⁵ დასრულების შემდეგ არ ისარგებლეს რეპლიკის¹⁴⁶ უფლებით.

სასამართლომ, შეისწავლა რა საქმის მასალები, შეამოწმა შემაკავებელი ორდერის გამოცემი პირის უფლებამოსილება, შეისწავლა ორდერის გამოცემის მიზანშეწონილობის საკითხი, გაანალიზა შემაკავებელ ორდერში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და გამოიკვლია შესაბამისი მტკიცებულებები, მიიჩნია, რომ შემაკავებელი ორდერი გამოცემულია კანონმდებლობის შესაბამისად და მსხვერპლის უსაფრთხოებისათვის აუცილებელი ღონისძიებები შერჩეულია სწორად. აღნიშნული კი წარმოადგენს საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ.თბილისი საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს სახაზინო-საპატრულო სამმართველოს მიერ შემოტანილი შემაკავებელი ორდერის დამტკიცების საკმარის საფუძველს. სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, 22-ე, 24-ე, 21¹⁴⁻ე, 21¹³⁻ე და 21¹⁵⁻ე მუხლებით, დაამტკიცა შემაკავებელი ორდერი შემდეგი პირობებით: მოძალადის იმ სახლიდან მოშორება, სადაც მსხვერპლი ცხოვრობს; მოძალადის ბავშვებისაგან განცალკევება; მსხვერპლის, მასზედ დამოკიდებული პირის მოძალადისაგან გარიდება.

მსხვერპლს - დედას და შვილს - განემარტა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 30 დღის ვადაში მიმართოს სასამართლოს განცხადებით დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე. ასევე განემარტა მსხვერპლს: დედას და შვილს, რომ დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით სასამართლოსთვის მომართვის ვადის გასვლის შემდგომ გაუქმებულად ჩაითვალოს აღნიშნული გადაწყვეტილებით გამოყენებული დროებითი დამცავი ღონისძიებები. გადაწყვეტილება საჩივრდება ერთჯერადად, სამი დღის ვადაში, საჩივრის შემოტანის გზით თბილისი საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში¹⁴⁷. სხდომა დაიწყო 14:05 საათზე, დამთავრდა 14:10 საათზე.

საქმე №18 (28)

ნანა და გიორგი ოცდათორმეტი წელია რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ. გიორგი ხშირად იღებდა ალკოჰოლურ სასმელს, რის გამოც

¹⁴⁵ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 227, მხარეთა პაექრობა;

¹⁴⁶ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 228, რეპლიკა;

¹⁴⁷ იხილეთ: სქოლიო 127;

მეუღლეს ხშირად აყენებდა ფიზიკურ ძალადობას და აგრესიას გამოხატავდა მის მიმართ. 2010 წლის 25 მარტს ნანა სალამოს სამსახურიდან შინ დაბრუნდა. მას სახლში მეუღლე დახვდა ნასვამ მდგომარეობაში, აგრესიული. მას შემდეგ რაც გიორგიმ განმეორებით მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, ნანამ დარეკა პატრულში “022”-ზე და ითხოვა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა. პატრულმა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მოახდინა სათანადო რეაგირება, მივიდა შემთხვევის ადგილზე, მეუღლეებს ჩამოართა ახსნა-განმარტებები, განუმარტეს მსხვერპლ ნანას შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული დროებითი დაცვის ღონისძიებები, რის შემდეგაც მსხვერპლმა მოითხოვა შემაკავებელი ოდერის გამოცემა და დამტკიცება.

პატრულმა შეადგინა შემაკავებელი ორდერის ოქმი და შემაკავებელი ორდერი¹⁴⁸ შემდეგი პირობებით: მოძალადეს აეკრძალოს მსხვერპლთან და იმ ადგილებთან მიახლოება, სადაც მსხვერპლი იმყოფება. პატრულმა შემაკავებელი ორდერი დასამტკიცებლად წარუდგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. სასამართლო სხდომაზე მოსამართლემ მხარეებს განუმარტა საპროცესო უფლება-მოვალეობანი¹⁴⁹. სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში “ოჯახში ძალადობის შესახებ” საქართველოს კანონისა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის თანახმად წარმოდგენილი შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული პირობა - მოძალადის მსხვერპლთან და იმ ადგილებთან მიახლოების აკრძალვა, სადაც მსხვერპლი იმყოფება, მიიჩნია მიზანშეწონილად, რაც წარმოადგენს საპატრულო პოლიციის მიერ გამოცემული შემაკავებელი ორდერის დამტკიცების საკმარის საფუძველს.

სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, 21¹⁴-ე, 21¹⁵-ე და 21¹⁵-ე მუხლებით, დაამტკიცა შემაკავებელი ორდერი შემდეგი პირობებით – მოძალადის მსხვერპლთან და იმ ადგილებთან მიახლოება, სადაც მსხვერპლი იმყოფება. შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადა სასამართლომ განსაზღვრა ორი თვით¹⁵⁰. მხარეებს განემარტათ აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადები და წესი. სხდომა დაიწყო 13:45 საათზე, დამთავრდა 13:15 საათზე.

¹⁴⁸ შემაკავებელი ორდერი არის პოლიციის უფლებამოსილი პირის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები და რომელიც გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს. კანონი “ოჯახში ძალადობის შესახებ”, 10 მუხლი, მე-3 ნაწილი, დამცავი და შემაკავებელი ორდერები;

¹⁴⁹ საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად: ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. მხარეებს საპროცესო უფლება-მოვალეობანი განემარტათ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83, 211-212 მუხლების თანახმად.

¹⁵⁰ 2009 წლის 28 დეკემბერს კანონში(საქადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 21¹⁴ მუხლის მე-6 ნაწ. და საქკანონი “ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ” მუხ.12 მე-4 ნაწ.) განხორციელებული ცვლილებებით შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადა განისაზღვრა 1 თვემდე. რადგანაც კანონში განხორციელებული ცვლილებების ამოქმედებ ვადა განისაზღვრა 2010 წლის 1 აპრილით, კონკრეტული შემთხვევის დროს შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2010 წლის 1 აპრილამდე მოქმედი კანონმდებლობით და შემაკავებელი ორდერის ვადას მოსამართლემ განსაზღვრა ორ თვემდე ვადით.

საქმე №19 (30)

იზო და პავლე არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან თერამეტი წელია და ჰყავთ ორი შვილი. მეუღლეებს შორის ხშირად ჰქონდა ადგილი სიტყვიერ შელაპარაკებას. იზოს მიმართ ხორციელდებოდა **ფსიქოლოგიური ძალადობა**, რაც დროთა განმავლობაში აუტანელი გახდა. 2010 წლის 12 თებერვალს ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტის დროს მსხვერპლი დაუკავშირდა საპატრულო პოლიციას და სთხოვა დახმარება. პატრულმა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მოახდინა სათანადო რეაგირება, მივიდა შემთხვევის ადგილზე, მეუღლეებს ჩამოართვა ახსნა-განმარტება, შეადგინა შემაკავებელი ორდერის ოქმი და გამოსცა შემაკავებელი ორდერი, შემდეგი პირობებით: მოძალადეს აეკრძალოს მსხვერპლის მიმართ ფსიქოლოგიური ზეწოლა, სიტყვიერი და ფიზიკური ძალადობის მიყენება. პატრულმა შემაკავებელი ორდერი დასამტკიცებლად წარუდგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სასამართლომ მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები, სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, 21¹⁴-ე, 21¹⁵-ე და 21¹⁵-ე მუხლებით, “ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ” საქართველოს კანონისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად წარმოდგენილი შემაკავებელი ორდერის პირობას, დაამტკიცა საპატრულო პოლიციის მიერ გაცემული შემაკავებელი ორდერი სრულად, რადგანაც მიზანშეწონილად მიიჩნია პატრულ-ინსპექტორის მიერ გაცემული შემაკავებელი ორდერის დამტკიცება საკმარისი საფუძვლის არსებობის გამო და დაამტკიცა შემაკავებელი ორდერი შემდეგი პირობით: მოძალადეს აეკრძა მსხვერპლზე ფსიქოლოგიური, სიტყვიერი და ფიზიკური ძალადობა. შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადა სასამართლომ გააგრძელა სამი თვით. მხარეებს განემარტა, რომ სამი დღის ვადაში შესაძლოა გაასაჩივრონ გადაწყვეტილება, ერთჯერადად, საჩივრის შეტანის გზით ამავე სასამართლოში. სხდომა დაიწყო 15:30 საათზე, დამთავრდა 15:50 საათზე.

საქმე №20 (31)

თბილისში მცხოვრები ნატა და არსენი ოცი წელია იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში. მათ ჰყავთ ხუთი შვილი. ოჯახი უზრუნველყოფილია, რადგან არსენი მუშაობს და შემოსავლებს ახმარს ოჯახს. ბოლო წლებში მეუღლეებს შორის გამწვავა ოჯახში ურთიერთობა. არსენი აზიანებს საოჯახო ნივთებს, სცემს შვილებს და ნატას. ნატა ხშირად იყო **ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის** მსხვერპლი. არსენი ხშირად სვამდა და ჰქონდა ნერვიული აშლილობა, სწორედ ეს უკანასკნელი იყო ოჯახში უთანხმოების მიზეზი და გავლენას ახდენდა შვილების ფსიქიკაზე. 2010 წლის 13 აპრილს არსენმა კვლავ განახორციელა ფიზიკური და

ფსიქოლოგიური ძალადობა ნატასთან მიმართებაში ბავშვების თანდასწრებით. ამ უკანასკნელმა დახმარებისათვის მიმართა პატრულს.

პატრულმა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მოახდინა სათანადო რეაგირება, გამოცხადდა შემთხვევის ადგილზე, მეუღლეებს ჩამოართვა ახსნა-განმარტება, შეადგინა შემაკავებელი ორდერის ოქმი, გამოსცა შემაკავებელ ორდერი შემდეგი პირობებით: მოძალადის არასრულწლოვანისაგან განცალკევება; მოძალადის მსხვერპლთან, მის სამსახურთან და იმ სხვა ადგილებთან მიახლოების აკრძალვა, სადაც მსხვერპლი იმყოფება; მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის მოძალადისაგან გარიდება. შემაკავებელი ორდერი საპატრულო პოლიციამ დასამტკიცებლად წარუდგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. მოსამართლემ განუმარტა მხარეებს საპროცესო უფლება-მოვალეობები¹⁵¹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე, 211-ე, 212-ე მუხლების თანახმად. მოსამართლემ მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შემდეგ, მიმართა შეკითხვებით მხარეებს, რის შედეგად მსხვერპლმა განმარტა, რომ იგი არ ცდილობდა შეიღებოდა განეწყო მეუღლის წინააღმდეგ. როდესაც ბავშვები ხედავდნენ მამა როგორ სცემდა დედას, ისინი, ძალაუვნებურად დედის მხარეს იკავებდნენ. ბავშვები ძალიან რთულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში არინ აღნიშნულის გამო, გოგონა აიენიდან გადახტომასაც კი აპირებდა და ძლივს გადავარჩინე. მოძალადემ, შეკითხვის საპასუხოდ განმარტა, რომ ის არის ოჯახში მამაკაცი და უფლება აქვს თავის შეიღებებს შენიშვნა მისცეს და ამას ვერავინ დაუშლის. მოსამართლემ პაექრობის სტადიის დასრულების შემდეგ საქმის განხილვა დასრულებულად გამოაცხადა.

სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, 21¹⁴-ე, 21¹³-ე და 21¹⁵-ე მუხლებით, მიიღო გადაწყვეტილება საპატრულო პოლიციის მიერ დასამტკიცებლად წარდგენილი შემაკავებელი ორდერი სრულად დამტკიცების თაობაზე. შემაკავებელი ორდერი დამტკიცდა შემდეგი პირობით: მოძალადის არასრულწლოვანისგან განცალკევება; მოძალადის მსხვერპლთან, მის სამსახურთან და იმ სხვა ადგილებთან მიახლოების აკრძალვა, სადაც მსხვერპლი იმყოფება; მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის მოძალადისაგან გარიდება.

შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადა სასამართლომ გააგრძელა დამცავი ორდერის გამოცემამდე. მხარეებს განემარტა, რომ სამი დღის ვადაში შეეძლოთ გაესაჩივრებინათ გადაწყვეტილება ერთჯერადად საჩივრის შეტანის გზით ამავე სასამართლოში¹⁵². სსომა დაიწყო 14:00 საათზე, დასრულდა 14:30 საათზე.

¹⁵¹ იხილეთ სქოლიო 94

¹⁵² იხილეთ სქოლიო 127

საქმე №21

2003 წლიდან მაკრინე არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა გურამთან. თანაცხოვრების პერიოდში მათ შეეძინათ ორი შვილი. მეუღლე ხშირად იღებდა ალკოჰოლს. ბოლო ხუთი წლის მანძილზე, გურამი როგორც ნასვამ, ისე ფხიზელ მდგომარეობაში აყენებდა **ფიზიკურ და მორალურ** შეურაცხყოფას მაკრინეს. აღნიშნულის მომსწრენი იყვნენ მათი შვილები. ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, 2009 წლის 20 თებერვალს, მსხვერპლმა მაკრინემ მიმართა ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას **დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე**. მსხვერპლმა მოითხოვა დამცავი ორდერის გამოცემა შემდეგი პირობებით: მოძალადეს აეკრძალოს მსხვერპლის მიმართ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე განცხადების წარმოებაში მიღების საკითხი. დაინიშნა სასამართლო სხდომა განცხადების განხილვისათვის. მოძალადე გურამს გაეგზავნა შეტყობინება და განემარტა, რომ შეტყობინების ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში უფლება ჰქონდა წარედგინა სასამართლოსთვის წერილობითი პასუხი საქმესთან დაკავშირებით. 2009 წლის 27 თებერვალს სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა განმცხადებელი მაკრინე (მსხვერპლი), ხოლო მოპასუხე გურამი (მოძალადე), რომელიც სხდომის დღის შესახებ გაფრთხილებული იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, სასამართლო პროცესზე არ გამოცხადდა.

მოსამართლემ საქმე განიხილა გამოუცხადებელი მხარის დასწრების გარეშე. სასამართლო გაეცნო რა საქმის მასალებს, მოისმინა მსხვერპლის განმარტება, მიიჩნია, რომ მაკრინეს მოთხოვნა საფუძველიანია, საქმის მასალებით დადასტურებულია “ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრული ძალადობის ფაქტი მოძალადე გურამის მხრიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე დამცავი ორდერი უნდა გამოიცეს 3 თვის ვადით.

სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, 21¹²-ე, 21¹³-ე, 21¹⁵-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 247-ე და 249-ე მუხლებით¹⁵³ დააკმაყოფილა განცხადება დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე. მოძალადე გურამს აეკრძალა მსხვერპლზე როგორც ფიზიკური ისე ფსიქოლოგიური ძალადობა. დამცავი ორდერი გამოცემულ იქნა 3 თვის

¹⁵³ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი: მუხლი 247 - გადაწყვეტილების ჩამოყალიბება; მუხლი 249 - გადაწყვეტილების შინაარსი.

ვადით. დამცავი ორდერი ძალაში შედის მისი გამოცემის დღიდან. გადაწყვეტილება საჩივრდება სამი დღის ვადაში საჩივრის შეტანით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. სხომა დაიწყო 15:00 საათზე, დაიხურა - 15:30 საათზე.

საქმე №22

2010 წლის 18 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას განცხადებით მიმართა ციურიმ მოძალადე მეუღლის, აკაკის წინააღმდეგ ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის ფაქტზე სასამართლოს მიერ მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად **დამცავი ორდერის გამოცემის შესახებ**. მეუღლეებს შორის, ოჯახში ხშირად იყო კონფლიქტური სიტუაცია, აკაკი ახორციელებდა ფსიქოლოგიურ ძალადობას ციურიზე, რაც ცუდად მოქმედებდა ციურიზე და მათ შვილზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, ციურის განცხადება დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე დაკმაყოფილდა. მოძალადედ ჩაითვალა აკაკი. დამცავი ორდერი გამოიცა შემდეგი პირობით: აკაკის აკრძალა იმ სახლთან და სხვა ადგილებთან მიახლოება, სადაც მსხვერპლი ციური და მისი შვილი იმყოფებიან. დამცავი ორდერი გამოიცა 3 თვის ვადით. დამცავი ორდერი ძალაში შევიდა გამოცემის დღიდან.

მოძალადე აკაკის და მისი წარმომადგენლის¹⁵⁴ მიერ მეორე ინსტანციის სასამართლოში¹⁵⁵ გასაჩივრებულ იქნა პირველი ინსტანციის სასამართლოს¹⁵⁶ 2010 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება დამცავი ორდერის გამოცემასთან დაკავშირებით. აკაკიმ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ციურის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ გამოარკვია, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას პირველი ინსტანციის სასამართლომ იხელმძღვანელა შემდეგი მოსაზრებებით: სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლეებს – ციურისა და აკაკის შორის ხშირად არის **კონფლიქტური ვითარება**, აკაკის მხრიდან ადგილი აქვს ციურის მიმართ **ფსიქოლოგიურ ძალადობას**, რაც ცუდად მოქმედებს ციურიზე და მისი შვილის ფსიქიკაზე.

¹⁵⁴ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლი 93, საქმის წარმოება წარმომადგენლის მეშვეობით; მუხლი 94 – პირები, რომლებიც შეიძლება იყვნენ წარმომადგენლებად სასამართლოში;

¹⁵⁵ თბილისის სააპელაციო სასამართლო;

¹⁵⁶ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

სასამართლომ განმარტა, რომ „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით. მითითებული კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დამცავი ორდერი არის პირველი ინსტანციის სასამართლოს (მოსამართლის) მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21¹⁵-ე მუხლი შეიცავს იმ ღონისძიებათა სანიმუშო ჩამონათვალს, რომელიც შეიძლება გამოიყენოს სასამართლომ დამცავი ორდერის გამოცემის დროს მოძალადის მხრიდან მსხვერპლის დასაცავად.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გათვალისწინებით სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეებს შორის არსებული კონფლიქტური სიტუაციის თავიდან აცილებისა და მათ შორის ურთიერთობის დროებით მოწესრიგების მიზნით უნდა დაკმაყოფილდეს ციურის მოთხოვნა დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე, რის შედეგადაც აკაკის უნდა აეკრძალოს იმ სახლთან და ადგილებთან მიახლოება, სადაც მსხვერპლი ციური და მისი შვილი იმყოფება.

სასამართლომ მიიჩნია, რომ „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის თანახმად, დამცავი ორდერის გამოცემა უნდა მოხდეს სამ თვემდე ვადით.

სააპელაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა საჩივრის საფუძვლიანობა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, მოისმინა მხარეთა მოსაზრებები და მიიჩნია, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21¹³ მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, დამცავი ორდერის გამოცემასთან დაკავშირებული საქმეები სასამართლოში განიხილება ამ კოდექსის 22-34 მუხლებით დადგენილი წესით. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას

სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების წარმოდგენილი საჩივრის ფარგლებში შემოწმების შედეგად ასკვნის, რომ საჩივარი დაუსაბუთებელია, ვინაიდან, სახეზე არ არის გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით¹⁵⁷ გათვალისწინებული საფუძვლები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ საქმე განიხილა არსებითი პროცესუალური დარღვევების გარეშე, ამასთან, სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არსებითად სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და მიუთითებს მათზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ აკაკის საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს. შესაბამისად, უცვლელად უნდა დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21¹³ მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, საჩივართან დაკავშირებით ამ თავით დადგენილი წესით გადაწყვეტილებას იღებს სააპელაციო სასამართლო საჩივრის წარდგენიდან 7 დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, მე-12, 21¹³-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 386-ე, 390-ე, 391-ე, 395-ე, 397-ე მუხლებით, სასამართლომ დაადგინა: აკაკის საჩივარი

¹⁵⁷ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 393 - საკასაციო საჩივრის საფუძვლები.

მუხლი 394 - გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები.

არ დაკმაყოფილდეს. უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება. განხილება საბოლოოა და არ საჩივრდება.¹⁵⁸

საქმე №23

გორის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა საპატრულო პოლიციის შუამდგომლობა. დამტკიცდა 2010 წლის 19 ოქტომბერს საპატრულო პოლიციის მიერ თამარის მიმართ გაცემული შემაკავებელი ორდერი, შემდეგი პირობებით: თამარს (მოძალადე) აეკრძალა იმ ადგილებთან მიახლოება, სადაც გვანცა (მსხვერპლი) იმყოფებოდა; შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადა განისაზღვრა 1 (ერთი) თვით, რომლის ათვლაც გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან დაიწყო.

მოძალადე თამარის მიერ მეორე ინსტანციის სასამართლოში¹⁵⁹ გასაჩივრებულ იქნა პირველი ინსტანციის სასამართლოს¹⁶⁰ 2010 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება შემაკავებელი ორდერის დამტკიცებასთან დაკავშირებით. თამარმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას პირველი ინსტანციის სასამართლომ იხელმძღვანელა შემდეგი საფუძვლებით:

2010 წლის 20 ოქტომბერს გორის რაიონულ სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მთავარმა სამმართველომ თამარის მიმართ შემაკავებელი ორდერის დამტკიცების თაობაზე. საქმის მასალების მიხედვით, საპატრულო პოლიციას ძალადობის შესახებ შეატყობინა გვანცამ (თამარის დამ). ადგილზე მისვლისას გაირკვა, რომ დებს შორის კონფლიქტი წარმოიშვა თამარის მიზეზით. ელექტროენერგიის მოხმარების საფასურის გადაუხდელობის გამო ოჯახს გაეთიშა მისი მიწოდება. ამის გამო თამარმა გამოხატა პროტესტი დედისა და დის მიმართ, მიაჩნდა, რომ მათ უნდა გადაეხადათ დენის საფასური. ხმაურზე სახლიდან გავიდა გვანცა, რომელსაც თამარმა დაუწყო ჩხუბი, ეზოში მდგარ ონკანთან მიდგმული ვედრო და გვანცას მაისური გასარეცხად, თამარმა ეზოში გადააგდო. იგი ლანძღავდა გვანცას, ეჩხუბებოდა, თმებში წაავლო ხელი, სახე ჩამოაკაწრა ფრჩხილებით. დები დედამ გააშველა; საქმის განხილვისას გაირკვა, რომ თამარი ორსულად იყო, მომხდარი ფაქტის გამო იგი გადაყვანილი იქნა კლინიკაში მოსალოდნელ ნაადრევი მშობიარობასთან დაკავშირებით; მას უტარდებოდა

¹⁵⁸ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხლი 218 - დამცავი ორდერის გამოცემისა და გასაჩივრების წესი;

¹⁵⁹ თბილისის სააპელაციო სასამართლო;

¹⁶⁰ გორის რაიონული სასამართლო.

სტაციონარული მკურნალობა ორსულობის შენარჩუნების მიზნით; გვანცამ განმარტა, რომ დის ყვირილსა და ლანძღვაზე გავიდა გარეთ. თამარმა მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, თმებში მოჰკიდა ხელი, რის შედეგადაც იგი დაეცა, თამარი ზევიდან დააჯდა და ურტყამდა, ფრჩხილებით ჩამოკაწრა სახეც. იგი ყოველმხრივ ცდილობს, თავი აარილოს დასთან კონფლიქტს, თუმცა თამარი თვითონ იწყებს ჩხუბს და მაშინვე ურეკავს საპატრულო პოლიციას.

თამარის საპატრულო პოლიციისათვის მიცემული ახსნა-განმარტებით, მას ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა გვანცამ.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი შემაკავებელი ორდერით, თამარის მიერ გვანცას მიმართ ადგილი ჰქონდა ფიზიკურ ძალადობას, რაც დადასტურებული იქნა გვანცას, მათი დედის (დალის) და მოწმის (დავითის) განმარტებებით.

პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გაიზიარა თამარის განმარტება, რომ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა (ანუ ძალადობა) განხორციელდა გვანცას მხრიდან, ვინაიდან საქმის მასალებით ეს განმარტება დადასტურებას ვერ პოულობს.

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მეხამე მუხლით, „ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით“.

პირველი ინსტანციის სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული მუხლისა და კანონის შინაარსის ანალიზიდან გამომდინარე, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ პრევენციული ზომები მიღებული უნდა იქნეს ამ ფაქტის დადასტურების შემთხვევაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ იმავე ორდერით გათვალისწინებული თამარისათვის მსხვერპლთან (გვანცასთან) და იმ ადგილებთან მიახლოვების აკრძალვა, სადაც მსხვერპლი იმყოფება, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, რაც წარმოადგენს შემაკავებელი ორდერის დამტკიცების საკმარის საფუძველს.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთება: სააპელაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა საჩივრის საფუძველიანობა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა და მივიდა დასკვნამდე, რომ წარმოდგენილი საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. სსსკ-ის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო, ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში, ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილით სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას, სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები არ ქმნიან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლების შემადგენლობას, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატა ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და მიაჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილება გამოიტანა საქართველოს კანონმდებლობის ნორმების მოთხოვნათა დაცვით.

სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ „ოჯახში ძალადობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანია უზრუნველყოს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის, დახმარების და რეაბილიტაციის საფუძვლები.

„ოჯახში ძალადობის შესახებ“ საქართველოს კანონის მესამე მუხლით, „ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით“.

სააპელაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმეში არსებული მასალებით თეა რობანიშვილის მიერ ნათია რობანიშვილის მიმართ ადგილი ჰქონდა ფიზიკურ ძალადობას, რაც დადასტურებული იქნა ნათია რობანიშვილის, ნათია და თეა რობანიშვილების დედის – ლამარა გეჭაძის, მოწმე გურამ ხიზანიშვილის განმარტებებით. სასამართლო არ გაიზიარებს თეა რობანიშვილის სააპელაციო საჩივარში მითითებულ გარემოებებს და განმარტავს, რომ აპელანტის მითითება იმის შესახებ, რომ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა (ანუ ძალადობა) განხორციელდა ნათია რობანიშვილის მხრიდან მის მიმართ, სასამართლოს მიერ გაზიარებული ვერ იქნება, ვინაიდან აღნიშნული არ დასტურდება საქმის მასალებით. თბილისის სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ საქმეზე ყველა გარემოება

გამოკვლეულია ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად და არ არსებობს გასაჩივრებელი გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21¹²-21¹⁵ მუხლებით დაადგინა: თუა რობანიშვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. უცვლელად დარჩეს გორის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებით. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება¹⁶¹.

საქმე №24 (ძველი №23) 35

დაჩი მეუღლეზე ხშირად ახორციელებდა ძალადობას, რის გამოც მეუღლემ კანონიერი უფლებების დასაცავად მიმართა საპატრულო პოლიციას. საპატრულო პოლიციამ შეადგინა შემაკავებელი ოქმი, გამოსცა შემაკავებელი ორდერი და დასამტკიცებლად წარადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. 2009 წლის 13 იანვრის თებერვლის განჩინებით დაკმაყოფილა საპატრულო პოლიციის შუამდგომლობა, შემაკავებელი ორდერის დამტკიცდა შემდეგი პირობებით: მოძალადეს (დაჩის) აეკრძალა მსხვერპლთან და იმ ადგილებთან მიახლოება, სადაც მსხვერპლი იმყოფებოდა. აღნიშნული შემაკავებელი ორდერის მოქმედება გაგრძელდა დამცავი ორდერის გამოცემამდე.

მოძალადე დაჩისთვის ბუნდოვანი აღმოჩნდა შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადა, მან განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა განჩინების განმარტება. 2009 წლის 2 თებერვლის განჩინებით დაჩის განცხადება გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დაკმაყოფილდა. განმცხადებელს განემარტა, რომ 2009 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილების მოქმედება გრძელდებოდა დამცავი ორდერის გამოცემამდე, რაზედაც ვრცელდებოდა „ოჯახში ძალადობის შესახებ“ საქართველოს კანონით მოწესრიგებული დამცავი ორდერის გამოცემამდე 3 თვემდე არსებული ვადა.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა გიორგი გოგოლაძემ, რომლითაც მან მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილების განმარტების შესახებ განჩინების გაუქმება და აღნიშნული შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადად „გონივრული ვადის“ განსაზღვრა.

სააპელაციო სასამართლო ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა დაჩის კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხი .თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ

¹⁶¹ იხილეთ სქოლიო 141.

შეამოწმა რა კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხი, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი უნდა დარჩეს განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 21¹⁴ მუხლის მე-4 ნაწილი და 21¹³ მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, შემაკავებელი ორდერის გასაჩივრების უფლება დაინტერესებულ პირს აქვს 3 დღის ვადაში, ერთჯერადად, იმავე ინსტანციის სასამართლოში¹⁶².

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით განუმარტა დაჩის, რომ მას სასამართლო გადაწყვეტილების განმარტების შესახებ განჩინებაზე შეუძლია კერძო საჩივრის შეტანა, ამ უკანასკნელს ამის უფლება – გაესაჩივრებინა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება (თუნდაც განჩინება) ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, არ გააჩნია.

ცხადია, თუკი დაჩი მიიჩნევდა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 13 იანვრის თებერვლის განჩინება, რომლითაც შემაკავებელი ორდერის მოქმედება გაგრძელდა დამცავი ორდერის გამოცემამდე, მიუღებელი (მისივე სიტყვებით არაგონივრული) იყო მისთვის, მაშინ მას, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, 3 დღის ვადაში უფლება ჰქონდა იმავე სასამართლოში გაესაჩივრებინა აღნიშნული გადაწყვეტილება.

ამრიგად, სააპელაციო სასამართლოს შემაკავებელი ორდერის დამტკიცებასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების (თუნდაც ამ უკანასკნელის განმარტების თაობაზე განჩინების) რევიზიის უფლება არ გააჩნია.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 12. მუხლის მიხედვით „თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი“. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებებზე, მხოლოდ ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, დაჩის კერძო საჩივარი დაუშვებლობის გამო განუხილველად უნდა იქნა დატოვებული. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-2, 21¹⁴ მუხლის მე-4 ნაწილის, 21¹³ მუხლის მე-6 ნაწილის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 414-ე მუხლებით და დაადგინა: დაჩის კერძო საჩივარი დაუშვებლობის გამო განუხილველად იქნეს დატოვებული. წინამდებარე განჩინება გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

¹⁶² იხილეთ სქოლიო 127

2003 წლის 10 ივლისიდან ბონდო რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა ლენასთან (ლენასთვის აღნიშნული ქორწინება იყო მეორე, პირველი ქორწინებიდან მეუღლე და შვილი დაღუპული ჰყავდა). თანაცხოვრების პერიოდში, 2003 წლის 25 აგვისტოს, მათ მიერ შექმნილ იქნა საცხოვრებელი ბინა ქ.თბილისში. აღნიშნულ უძრავ ქონებაზე, 2007 წლის 22 მარტს, დარეგისტრირდა ბონდოს საკუთრების უფლება. 2009 წლის 04 მარტს ბონდომ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, რომ იგი განიცდიდა მისი მეუღლის, ლენას მხრიდან, ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას და მოითხოვა დამცავი ორდერის გამოცემა ლენას მიმართ, რომლითაც: 1. დაევალებოდა ლენას ბინის გასაღებების კომპლექტის გადაცემა ბონდოსთვის; 2. აეკრძალებოდა ლენას ხელი შეეშალა ბონდოსთვის ესარგებლა კუთვნილი ბინით და პირადი ნივთებით; 3. აეკრძალებოდა ლენას 31.07.08 წლის განჩინებაზე დამტკიცებული მორიგების აქტის აღსრულებაში ხელშეშლა; აეკრძალებოდა ვინმე გოდერძის¹⁶³ სადაო ბინასთან მიახლოება.

აღსანიშნავია, რომ ბონდო გასულ წლებშიც მიმართავდა პოლიციის ორგანოებს ლენას ძალადობრივი ქმედებებისაგან თავის დასაცავად. 2004 წელს ლენამ არაერთხელ განახორციელა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა ბონდოს მიმართ, რაზედაც შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი განყოფილების თანამშრომლების მიერ გაფრთხილებულ იქნა ხელწერილით.

სასამართლო სხდომაზე, მხარეთა ახსნა-განმარტებების საფუძველზე, გამოირკვა, რომ ლენა დღეის მდგომარეობით ცხოვრობს მითითებულ ბინაში. იგი არ აძლევს შესაძლებლობას ბონდოს ისარგებლოს საკუთარი ბინით და პირადი ნივთებით, რომელიც განთავსებულია ბინაში. ასევე, ხელს უშლის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 31 ივლისის განჩინების აღსრულებას: არ აძლევს შესაძლებლობას ბონდოს დაათვალიერებინოს ბინა შესაძლო მყიდველებს.

ხელშეშლის მოტივად ლენას წარმომადგენელმა ადვოკატმა მიუთითა შემდეგ გარემოებებზე: თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 31 ივლისის განჩინების საფუძველზე დადგინდა, რომ ბინა უნდა გასხვისდეს, ბონდოს კი აღარ აქვს უფლება ისარგებლოს მის საკუთრებაში არსებული ბინით მორიგების აქტის თანახმად. რაც შეეხება შესაძლო მყიდველების არშეშვებას ბინაში, ადვოკატმა აღნიშნა, რომ დათვალიერება უნდა მოხდეს დღის საათებში და არა ღამით.

სასამართლომ მიიჩნია რომ ბონდოს განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო: საქართველოს ადმინისტრაციულ

¹⁶³ მსხვერპლი ბონდოს აღქმით, ვინმე “გოდერძი” არის ლენას საყვარელი.

საპროცესო კოდექსის 21¹² მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად ოჯახში ძალადობის შემთხვევაში სასამართლოსათვის მიმართვის უფლება აქვს მსხვერპლს, აგრეთვე მისი ოჯახის წევრებს, ხოლო ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევაში – ასევე მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს.

“ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის “ბ” ქვეპუნქტის თანახმად ფსიქოლოგიური ძალადობა არის შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას; “ე” ქვეპუნქტის თანახმად ეკონომიკური ძალადობაა ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას; “ვ” ქვეპუნქტის თანახმად მსხვერპლი არის ოჯახის წევრი, რომელმაც განიცადა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური ძალადობა ან იძულება; “ზ” ქვეპუნქტის თანახმად ოჯახის წევრად სხვა პირებთან ერთად მეუღლე, აგრეთვე ყოფილი მეუღლე; “თ” ქვეპუნქტის თანახმად მოძალადეა ოჯახის წევრი, რომელიც ახორციელებს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ, სექსუალურ ძალადობას ან იძულებას ოჯახის სხვა წევრების მიმართ.

აღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, ქმედება, რომელიც ხორციელდება ღენას მიერ ბონდოს მიმართ, კვალიფიცირდება ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობად: ბონდოს არ ეძლევა საკუთარი ბინითა და პირადი ნივთებით სარგებლობის უფლება (ეკონომიკური ძალადობა) საკუთარი უფლებების განხორციელების მცდელობაზე იღებს შეურაცხყოფას, დამცირებასა და მუქარას (ფსიქოლოგიური ძალადობა).

ამასთან, სასამართლო აღნიშნავს, რომ დამცავი ორდერის თანახმად დაცვის ობიექტი ოჯახის წევრია. იგი წარმოადგენს შემზღუდველ აქტს ასევე ოჯახის წევრი მოძალადის მიმართ. ამდენად, განცხადებაში მითითებული ვინმე გოდერძის წინააღმდეგ დამცავი ორდერი ვერ გაიცემა. ასევე აზრს მოკლებულია განცხადების 1-ლი მოთხოვნის დამოუკიდებელი სახით დაკმაყოფილება. მე-2 მოთხოვნა – აკრძალოს სვეტლანას ხელის შეშლა (აკრძალვა) ბონდოს საკუთრებაში არსებული ბინითა და პირადი ნივთებით, – მთლიანად მოიცავს “ბინის გასაღებების კომპლექტის გადაცემის” მოთხოვნასაც და ყველა სხვა შესაძლო ქმედებებსაც, რომელითაც გამოვლინდება ბონდოს კანონიერი უფლებების შეზღუდვა მის საკუთრებაში არსებული ნივთების სარგებლობისას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21¹³ მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის უფლებამოსილი პირის მიმართვის საფუძველზე

სასამართლოს მიერ მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად, დროებითი ღონისძიებების სახით, შესაძლებელია გამოცემული იქნეს დამცავი ორდერი, რომელიც იმავე კოდექსის 21¹⁵ მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად ძალაში შედის გამოცემისთანავე. “ოჯახში ძალადობის შესახებ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად დამცავი ორდერი გამოიცემა 3 თვემდე ვადით. მისი მოქმედების კონკრეტულ ვადას განსაზღვრავს სასამართლო¹⁶⁴.

სასამართლო ითვალისწინებს რა ეკონომიკური კრიზისის არსებობას, რომლის პირობებში გაძნელებულია უძრავი ქონების გასხვისება, თვლის, რომ დამცავი ორდერის მოქმედების ვადა უნდა განისაზღვროს სამი თვით.

სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 21¹³, 21¹⁵, 22-34 მუხლებით, საქართველოს კანონის “ოჯახში ძალადობის შესახებ” მე-9, მე-10, მე-11, მე-12, მე-19-ე მუხლებით, გადაწყვიტა: ბონდოს განცხადება დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; მოძალადე ლენას მიმართ გამოიცეს დამცავი ორდერი შემდეგი პირობების გათვალისწინებით: აეკრძალოს ლენას ხელის შეშლა ბონდოს კუთვნილი ბინით და პირადი ნივთებით სარგებლობაში. აეკრძალოს ლენას თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 31.07.08 წ. განჩინებაზე დამტკიცებული მორიგების აქტის აღსრულებაში ხელშეშლა. დამცავი ორდერი გამოიცეს 3 (სამი) თვის ვადით. დამცავი ორდერი ძალაში შედის გამოცემისთანავე, გამოცემული ორდერის გამოცემის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს გამოცემული დამცავი ორდერის მოქმედებას. გადაწყვეტილება საჩივრდება ერთჯერადად 3 (სამი) დღის ვადაში საჩივრის შემოტანის გზით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში¹⁶⁵.

საქმე №26 (№1) 37

აღა რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა არმენთან და ჰყავთ ორი მცირეწლოვანი ბავშვი. 2009 წლის 04 მაისს, ღამით, არმენი გვიან დაბრუნდა სახლში ნასვამ მდგომარეობაში. მეუღლეს და მცირეწლოვან ბავშვებს უკვე ეძინათ. მან გაურკვეველი მიზეზების გამო დაუწყო ჩხუბი ალას, მიმართავდა უცენზურო სიტყვებით, აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას და სცემდა. კონფლიქტის დროს ისროდა საოჯახო ნივთებს აქეთ-იქეთ, რის გამოც საფრთხე ექმნებოდა მცირეწლოვან ბავშვებს. არმენის მხრიდან **ფიზიკურ და**

¹⁶⁴ 2009 წლის 28 დეკემბერს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების (რომელიც 2010 წლის 1 აპრილიდან ამოქმედდა) თანახმად დამცავი ორდერის ვადა განისაზღვრა 6 თვით;

¹⁶⁵ 2009 წლის 28 დეკემბერს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად პირველი ინსტანციის მიერ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება საჩივრდება სააპელაციო სამართლოში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21¹³-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად.

ფსიქოლოგიურ ძალადობას სისტემატიური ხასიათი ჰქონდა, მიუხედავად იმისა ფხიზელი იყო თუ ნასვამი. მისი ასეთი საქციელი საფრთხეს უქმნიდა მათ მცირეწლოვან ბავშვებს. ძალადობის ფაქტზე ალამ დარეკა პატრულში “022”-ზე და ითხოვა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა.

პატრულმა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მოახდინა სათანადო რეაგირება, მივიდა შემთხვევის ადგილზე, მხარეებს ჩამოართვა ახსნა-განმარტება, შეადგინა შემაკავებელი ორდერის ოქმი და გამოსცა შემაკავებელი ორდერი შემდეგი პირობებით: მოძალადეს აეკრძალოს მსხვერპლის საცხოვრებელ სახლთან და იმ ადგილებთან მიახლოება, სადაც მსხვერპლი იმყოფება. პატრულმა შემაკავებელი ორდერი დასამტკიცებლად წარუდგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

მოსამართლემ განუმარტა მხარეებს საპროცესო უფლება-მოვალეობები¹⁶⁶. მოძალადემ დაადასტურა პროცესზე, რომ ოჯახში კონფლიქტს ხშირად აქვს ადგილი და სურს ალასთან განქორწინება. მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შემდეგ სასამართლომ დააკმაყოფილა საპატრულო პოლიციის მოთხოვნა შემაკავებელი ორდერის დამტკიცების შესახებ. იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, 21¹⁴-ე, 21¹³-ე, 21¹⁵-ე მუხლებით, დაამტკიცა საპატრულო პოლიციის მიერ გაცემული შემაკავებელი ორდერი შემდეგი პირობებით: მოძალადე არმენს აეკრძალოს მსხვერპლთან (ალასთან) და იმ ადგილებთან მიახლოება, სადაც მსხვერპლი იმყოფება. განემარტათ მხარეებს, რომ აღნიშნული ორდერის მოქმედება გრძელდება დამცავი ორდერის გამოცემამდე. მსხვერპლ ალას დამცავი ორდერის გამოტანაზე განცხადების შემოსატანად მიეცა 7 დღიანი ვადა ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან. განცხადების შემოტანის ვადის გასვლის შემდეგ გადაწყვეტილებით გათვალისწინებული დროებითი დამცავი ღონისძიებები უქმდება. აღნიშნული გადაწყვეტილება საჩივრდება 3 დღის ვადაში საჩივრის შემოტანის გზით პირველი ინსტანციის სასამართლოში.

სხდომა დაიწყო 14:30, დაიხურა 14:50.

საქმე №27 (№2)38

მართა და ეგნატეს ქორწინების პერიოდში შეეძინათ ორი ქალიშვილი ელენე და ლილიკო. ბოლო წლებში ოჯახში აუტანელი მდგომარეობის გამო მართა სასამართლოს მეშვეობით განქორწინდა. 2009 წლის 15 აპრილს დაახლოებით საღამოს 17:00 საათზე მართას ყოფილი მეუღლე, იმყოფებოდა მასთან სახლში. მეუღლეებს შორის ბინის და ბინის ქირის, ასევე, სასამართლოს

¹⁶⁶ იხილეთ სქოლიო 94.

განქორწინების დადგენილების საფუძველზე მოხდა უსიამოვნება, კერძოდ, მართას და შვილებს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, ხოლო უფროს შვილს ხელით შეეხო. ეგნატეს არაერთხელ მიუყენებია სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მეუღლისთვის და გოგონებისთვის. ძალადობის ფაქტზე მართამ დარეკა პატრულში “022”-ზე და ითხოვა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა. იგი განიცდიდა ქალიშვილის გამო და ითხოვდა დახმარებას.

პატრულმა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მოახდინა სათანადო რეაგირება, მივიდა შემთხვევის ადგილზე, მხარეებს ჩამოართვა ახსნა-განმარტება, შეადგინა შემაკავებელი ორდერის ოქმი და გამოსცა შემაკავებელი ორდერი შემდეგი პირობებით: მოძალადის იმ სახლისგან მოშორება, სადაც მსხვერპლი ცხოვრობს. პატრულმა შემაკავებელი ორდერი დასამტკიცებლად წარუდგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. სასამართლო პროცესზე გამოცხადნენ მსხვერპლი მართა და ელენე, ასევე მოძალადე ეგნატე, საპატრულო პოლიციის წარმომადგენელი. სასამართლომ დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილა შემაკავებელი ორდერის დამტკიცების შესახებ. პროცესის მონაწილეებს განემარტათ მათი უფლება-მოვალეობანი. მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შემდეგ სასამართლომ დააკმაყოფილა საპატრულო პოლიციის მოთხოვნა შემაკავებელი ორდერის დამტკიცების თაობაზე.

სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, 21¹⁴-ე, 21¹³-ე, 21¹⁵-ე მუხლებით, დაამტკიცა საპატრულო პოლიციის მიერ გაცემული შემაკავებელი ორდერი შემდეგი პირობებით: მოძალადის იმ სახლისგან მოშორება, სადაც მსხვერპლი ცხოვრობს. ასევე განემარტათ მსხვერპლ მართას და ელენეს, რომ მათ უფლება აქვთ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ორი თვის ვადაში მიმართონ სასამართლოს განცხადებით დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე. სასამართლოსათვის მომართვის ვადის გასვლის შემდგომ გაუქმებულად ჩაითვლება ამ გადაწყვეტილებით გამოყენებული დროებითი დამცავი ღონისძიება. გადაწყვეტილება საჩივრდება სამი დღის ვადაში საჩივრის შემოტანის გზით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. სხდომა დაიწყო 14:30, დაიხურა 15:20.

საქმე№ 28

ნანი თექვსმეტი წელია რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება დავითთან. მათ ჰყავთ ქალ-ვაჟი. მეუღლეებს შორის ადრინდელი ოჯახური კონფლიქტის გამო ერთი წელია დაძაბული სიტუაციაა. აღნიშნული ოჯახური კონფლიქტის შემდეგ ანამ მოითხოვა მეუღლესთან განქორწინება სასამართლო წესით. განქორწინების თემამ უფრო მეტად გააღიზიანა, აგრესიული და ეჭვიანი

გახდა დავითი. მან დაიწყო ნანახე ფსიქოლოგიური ზეწოლა, ემუქრებოდა მოკვლით ან შვილების წართმევით, თუმცა ასევე ძვირადღირებულ საჩუქრებსაც ჩუქნიდა, რათა ძალისმიერი მეთოდით შეენარჩუნებინა ოჯახი. მეუღლის მხრიდან ნანი ხშირად იყო ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი, რის გამოც შვილებთან ერთად ხშირად უწევდა საცხოვრებლად თავის დედასთან გადასვლა.

2009 წლის 28 მარტს ოჯახი აღნიშნავდა ბავშვის დაბადების დღეს სტუმრებთან ერთად. დაბადების დღეზე, დავითის მხრიდან, ისევ მოხდა ძველი კონფლიქტის განხილვა და კამათი, რის შემდეგაც ნასვამი ძალიან აგრესიული გახდა, ის თავის საქციელს ვერ აკონტროლებდა, ყველას აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, განსაკუთრებით ნანის. დავითი კონფლიქტის დროს გადაადგილდა სამზარეულოსკენ და უჯრიდან დანა ამოიღო. ამ ყველაფრის დამნახველი ოჯახის წევრები შეშფოთდნენ, ბიძამ ძლივს დააკავა დავითი, ხოლო ნანის მიერ გამოძახებული იქნა საპატრულო პოლიცია. პატრულმა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მოახდინა სათანადო რეაგირება, მივიდა შემთხვევის ადგილზე, მეუღლეებსა და მსხვერპლის ძმას ჩამოართვა ახსნა-განმარტება, შეადგინა შემაკავებელი ორდერის ოქმი და შემაკავებელი ორდერი, სადაც ძალადობის ფორმად მიეთითა მსხვერპლის მიმართ ფსიქოლოგიური ძალადობა. ნანი და ბავშვები იმ საღამოს საცხოვრებლად გადავიდნენ ბებიასთან.

პატრულმა შემაკავებელი ორდერი დასამტკიცებლად წარუდგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. მოსამართლემ განუმარტა მხარეებს საპროცესო უფლება-მოვალეობები. მხარეთა ახსნა-განმარტებების შემდეგ სასამართლომ იხელმძღვანელა რა სსსკ-ს 257-ე, 284-285-ე და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, 21¹⁴-ე, 21¹³-ე და 21¹⁵-ე მუხლებით, ნაწილობრივ დაამტკიცა საპატრულო პოლიციის მიერ გაცემული შემაკავებელი ორდერი. კერძოდ: ა) მოძალადეს აეკრძალა მსხვერპლზე ფსიქოლოგიური ზეწოლა; ბ) მოძალადის იმ სახლიდან მოშორება, სადაც მსხვერპლი ცხოვრობს; გ) მოძალადეს აეკრძალა მსხვერპლთან და იმ ადგილებთან მიახლოება, სადაც მსხვერპლი იმყოფება.

თბილისის საპატრულო პოლიციას უარი ეთქვა შემაკავებელი ორდერის დამტკიცებაზე შემდეგი პირობებით: მოძალადის მიერ თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობის უფლების აკრძალვა, აღნიშნული პუნქტი დამტკიცებას არ ექვემდებარება, რადგან როგორც მსხვერპლის, ასევე მოძალადის განმარტებით დადგენილია, რომ თბილისში მდებარე ბინა, რომელშიც ცხოვრობენ დავითი და ნანი შვილებით, საკუთრების უფლებით ირიცხება ნანის სახელზე, ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე¹⁶⁷.

¹⁶⁷ 2002 წელს შექმნილ იქნა ერთად ცხოვრების პერიოდში და დავითმა ჩუქების ხელშეკრულებით გადაუფორმა ნანის.

შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადა სასამართლომ გააგრძელა დამცავი ორდერის გამოცემამდე. მხარეებს განემარტათ, რომ გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სამი დღის ვადაში საჩივრის შემოტანის გზით იგივე სასამართლოში.

სხდომა დაიწყო 13:20, დასრულდა 14:00.

საქმე №29 №4 40

თბილისში მცხოვრები ნატა და შოთა იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში, თუმცა ბოლო ათი წლის განმავლობაში ისინი ერთად აღარ ცხოვრობდნენ. მათ ჰყავდათ ერთი ვაჟიშვილი. ერთად ცხოვრების პერიოდში შეიძინეს ბინა, რომელიც შოთამ ნატას სახელზე გააფორმა. თავად შოთა დედასთან ერთად გადავიდა საცხოვრებლად დაქირავებულ ბინაში. კონფლიქტის მსხვერპლი ნატა ხშირად განიცდიდა **ფსიქოლოგიურ ძალადობას** მოძალადე მეუღლის მხრიდან ოჯახური კონფლიქტების საფუძველზე. 2009 წლის 23 თებერვალს ნატასთან სახლში დარეკა შოთამ და სთხოვა თავის ვაჟიშვილს ბებია (მამის დედა) აეყვანა სახლში მათთან. აღნიშნულზე უარი განაცხადა ნატამ, რის შემდეგაც მეუღლემ დაიწყო კარებზე ფეხების და ხელების ცემა, რათა შემოსულიყო იძულების წესით. ამის გამო ნატამ გამოიძახა საპატრულო პოლიცია.

საპატრულო პოლიციამ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მოახდინა სათანადო რეაგირება, გამოცხადდა შემთხვევის ადგილზე, მეუღლეებს ჩამოართვა ახსნა-განმარტება, შეადგინა შემაკავებელი ორდერის ოქმი, ასევე შემაკავებელი ორდერი დააფიქსირა მოძალადის მხრიდან **ფსიქოლოგიური ძალადობა** მსხვერპლის მიმართ.

შემაკავებელი ორდერი საპატრულო პოლიციამ დასამტკიცებლად წარუდგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. მოსამართლემ განუმარტა მხარეებს საპროცესო უფლება-მოვალეობები. მხარეთა ახსნა-განმარტებების შემდეგ სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, 21¹⁴-ე, 21¹³-ე და 21¹⁵-ე მუხლებით და სამოქალაქო კოდექსის 247-ე და 249-ე მუხლებით¹⁶⁸, გადაწყვიტა არ დაემტკიცებინა საპატრულო პოლიციის მიერ წარდგენილი შემაკავებელი ორდერი, ვინაიდან მასში აღნიშნული ფაქტი, რომ ადგილი ჰქონდა ოჯახში ძალადობას, ვერ იქნა დადასტურებული ვერც საქმის მასალებით და ვერც მხარეთა განმარტებებით. ყოველივე ზემოაღნიშნული კი იძლევა შოთა ბოჭორიშვილის მიმართ გამოცემული შემაკავებელი ორდერის დამტკიცებაზე უარის თქმის როგორც ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ საფუძველს.

¹⁶⁸ იხილეთ სქოლიო 142.

კეკე თავის საქმროსთან ერთად ცხოვრობდა აზერბაიჯანში, ისინი უახლოეს პერიოდში აპირებდნენ დაქორწინებას. 2009 წლის 20 მარტს ჩამოვიდა საქართველოში მამის სანახავად. კეკეს დედა გარდაცვლილი იყო, ხოლო მამამისს მეორე ცოლი ჰყავდა მოყვანილი. 2009 წლის 27 მარტს, საღამოს, ოჯახში ვახშობდნენ კეკე, მისი მამა, დედინაცვალი და მამის ორი თანამშრომელი. იმ საღამოს კეკეს დედინაცვალთან მოუვიდა უთანხმოება. კეკე დაემუქრა, რომ მამასთან ამხელდა დედინაცვალს ღალატის გამო. მთელი სამეზობლო ამ საკითხზე საუბრობდა. კეკემ ვახშობისას მამას განუცხადა, რომ მისი ახალი მეუღლე მას ღალატობდა. მამამ არ დაუჯერა, ძალიან გაბრაზდა და დანით გამოეკიდა კეკეს. შეხლა-შემოხლის დროს კეკე თმებით ითრია მამამ და კეკემ მცირედი ფიზიკური დაზიანება მიიღო. კეკემ მოახერხა საპატრულო პოლიციის გამოძახება და ითხოვა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა. კეკე მამის მხრიდან **ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი გახდა.**

საპატრულო პოლიცია გამოცხადდა შემთხვევის ადგილას, ჩამოართვა ახსნა-განმარტებები მსხვერპლ კეკეს, მოძალადე მამას და მოწმე დედინაცვალს. შეადგინა შემაკავებელი ორდერის ოქმი, ასევე შემაკავებელი ორდერი. დააფიქსირა მოძალადის მხრიდან ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა და ასევე იძულება მსხვერპლის მიმართ. შემაკავებელი ორდერი საპატრულო პოლიციამ დასამტკიცებლად წარუდგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. მოსამართლემ განუმარტა მხარეებს საპროცესო უფლება-მოვალეობები. მოსამართლემ მხარეებს შესთავაზა ადვოკატის მომსახურებით სარგებლობა, რაზედაც ორივე მხარემ უარი განაცხადა და განმარტეს, რომ თავად დაიცავდნენ თავიანთ უფლებებს. მოძალადე მამამ განმარტა პროცესზე, რომ კეკე რასაც ამბობდა მის ცოლთან დაკავშირებით – ტყუილია. მან მოიყვანა ცოლად ქალი, რომელსაც ენდობა, კეკე ამ ყოველივეს იგონებს, რადგანაც მას უნდა ბინა.

მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შემდეგ სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, 21¹⁴-ე, 21¹³-ე და 21¹⁵-ე მუხლებით, დაამტკიცა საპატრულო პოლიციის მიერ გაცემული შემაკავებელი ორდერი სრულად. კერძოდ: მოძალადეს აეკრძალა მსხვერპლთან და იმ ადგილებთან მიახლოება, სადაც მსხვერპლი იმყოფება. აღნიშნული ორდერის მოქმედება გრძელდება დამცავი ორდერის გამოცემამდე. კეკეს განემარტა, რომ განცხადების შემოტანისათვის მიეცა 7 დღის ვადა ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან. მხარეებს განემარტათ სასამართლო სხდომის ოქმის გაცნობისა და მასზე შენიშვნების შეტანის წესი და ვადა. აგრეთვე გადაწყვეტილების

გასაჩივრების 3 დღიანი ვადა პირველი ინსტანციის სასამართლოში შემოტანის ვადა¹⁶⁹.

საქმე №31

მანანა და გაგა ოცდაერთი წელი იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში. ქორწინების პერიოდში მათ შეეძინათ ქალიშვილი ნინი. ბოლო წლების მანძილზე გაგა თითქმის ყოველდღე ნასვამი ბრუნდებოდა სახლში და ცოლსა და შვილზე ახდენდა ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ძალადობას. ერთ დღესაც მანანა სამსახურიდან დაბრუნდა სახლში და შვილთან ერთად ითვლიდა ადებულ ხელფასს. მეორე დღეს იყო მანანას დაბადების დღე და იგი აპირებდა აღნიშვნას. საღამოს 6 საათზე სახლში შემოვიდა გაგა. მან თვითნებურად აიღო 100 ლარი და განუცხადა მანანას, რომ თვითონ წავიდოდა ბაზარში. ამ დროს ტელეფონმა დარეკა და ნათესავემა ქალმა წინასწარ მიულოცა მანანას დაბადების დღე. გაგა ნათესავი ქალის სატელეფონო ზარმა გააღიზიანა, არ მოეწონა ნათესავი ქალის დაბადების დღეზე სტუმრობის საკითხი. მან დაიწყო გინება და ლანძღვა, შემდეგ გატეხა ლარნაკი და ტელეფონი. ამ ყოველივეს შემდეგ ისეთი აგრესიული გახდა, მანანამ და ნინიმ გადაწყვიტეს გაცლოდნენ და მანანას დასთან გაეთენებინათ ღამე. მეორე დილას 12 საათზე მანანა შვილთან ერთად დაბრუნდა სახლში. მეუღლე ნასვამ მდგომარეობაში დახვდა ლოგინში. მანანამ მოსთხოვა დაბადების დღის აღსანიშნი თანხა, თუმცა გაგამ არ დაუბრუნა და განუცხადა რომ სასმელში დახარჯა. ამის შემდეგ მანანა შეეცადა ხმა აღარ გაეცა, თუმცა მეუღლემ წინა დღის კამათი გაიხსენა და დაიწყო ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება. ხმაურზე მეზობლებმა გააშველეს და წაიყვანეს თავისთან. მეზობლებთან კიდევ დაამატა სასმელი, 3 საათში კვლავ დაიწყო კარებზე ბრახუნი, ლანძღვა და მუქარა. მანანას შეეშინდა ფიზიკური ანგარიშსწორების და დარეკა საპატრულო პოლიციაში. საპატრულო პოლიციამ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მოახდინა სათანადო რეაგირება, გამოცხადდა შემთხვევის ადგილზე, მეუღლეს და შვილს ჩამოართვა ახსნა-განმარტება, შეადგინა შემაკავებელი ორდერის ოქმი, ასევე შემაკავებელი ორდერი. დააფიქსირა მოძალადის მხრიდან **ფსიქოლოგიური, ფიზიკური და ეკონომიური ძალადობა** მსხვერპლის მიმართ. თავად მოძალადემ საპატრულო პოლიციას გაუწია წინააღმდეგობა და მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, რაზეც შედგენილ იქნა ადმინისტრაციული დაკავების ოქმი ასკ¹⁷⁰ 173-ე მუხლით¹⁷¹. შემოწმდა ალკოტესტით და შედგენილ იქნა ალკოჰოლური შემოწმების ოქმი.

შემაკავებელი ორდერი საპატრულო პოლიციამ დასამტკიცებლად წარუდგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

¹⁶⁹ იხილეთ სქოლიო 127;

¹⁷⁰ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი;

¹⁷¹ იხილეთ სქოლიო 125.

მოსამართლემ განუმარტა მხარეებს საპროცესო უფლება- მოვალეობები¹⁷². მხარეთა ახსნა-განმარტებების შემდეგ სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, 21¹⁴-ე, 21¹³-ე და 21¹⁵-ე მუხლებით გადაწყვიტა საპატრულო პოლიციის მიერ გამოცემული შემაკავებელი ორდერის დამტკიცება შემდეგი პირობებით: აეკრძალოს მოძალადეს იმ ადგილებთან მიახლოება, სადაც მსხვერპლი იმყოფება და ცხოვრობს. მსხვერპლ მანანას განუმარტა, რომ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 30 დღის ვადაში მიმართოს სასამართლოს განცხადებით დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე. სასამართლოსათვის მიმართვის ვადის გასვლის შემდგომ გაუქმებულად ჩაითვლება ამ გადაწყვეტილებით გამოყენებული დროებითი დამცავი ღონისძიება. გადაწყვეტილება საჩივრდება სამი დღის ვადაში საჩივრის შემოტანის გზით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში.

¹⁷² იხილეთ სქოლიო 94.

დანართები

მონაცემები ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა და მოძალადეთა რაოდენობის შესახებ სქესობრივ ჭრილში¹⁷³:

	2008			
	მოძალადე		მსხვერპლი	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
საქართველო, სულ	19	179	189	9
თბილისი და მცხეთა მთიანეთი	13	141	148	6
აჭარა	3	13	14	2
იმერეთი	0	6	6	0
სამეგრელო-ზემო სვანეთი	0	1	1	0
სამცხე-ჯავახეთი	0	1	1	0
შიდა ქართლი	0	2	2	0
ქვემო ქართლი	3	15	17	1

	2009			
	მოძალადე		მსხვერპლი	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
საქართველო, სულ	12	164	163	13
თბილისი და მცხეთა მთიანეთი	8	135	133	10
აჭარა	1	17	16	2
იმერეთი	0	1	1	0
სამეგრელო-ზემო სვანეთი	0	0	0	0
სამცხე-ჯავახეთი	0	1	1	0
შიდა ქართლი	0	0	0	0
ქვემო ქართლი	1	10	12	1

¹⁷³ საქართველოს ეროვნული სტატისტიკის დეპარტამენტი ხელმისაწვდომია www.statistics.ge საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით.

	2010			
	მოძალადე		მსხვერპლი	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
საქართველო, სულ	13	169	166	16
თბილისი და მცხეთა მთიანეთი	5	166	110	11
აჭარა	2	21	22	1
იმერეთი	0	8	8	0
სამეგრელო-ზემო სვანეთი	0	0	0	0
სამცხე-ჯავახეთი	1	3	4	0
შიდა ქართლი	1	2	3	0
ქვემო ქართლი	4	19	19	4

მონაცემები ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა და მოძალადეთა რაოდენობის მიხედვით¹⁷⁴

	2008		2009		2010	
	მოძალადე	მსხვერპლი	მოძალადე	მსხვერპლი	მოძალადე	მსხვერპლი
საქართველო სულ	198	198	176	176	182	182
ასაკის მიხედვით						
16	2	0	0	3	0	3
16-24	16	18	9	22	11	12
25-44	129	122	110	109	113	102
44	21	58	57	42	58	65

თბილისი - მცხეთა მთიანეთი						
ასაკის მიხედვით	2008		2009		2010	
	16	1	0	0	2	0
16-24	11	10	6	15	6	5
25-44	99	98	91	92	76	68
44	43	46	46	34	39	46

აჭარა						
ასაკის მიხედვით	2008		2009		2010	
	16	1	0	0	1	0
16-24	1	4	1	2	1	2
25-44	11	8	12	10	15	11
44	3	4	5	5	7	9

იმერეთი						
ასაკის მიხედვით	2008		2009		2010	
	16	0	0	0	0	0
16-24	2	3	0	0	1	3
25-44	4	2	1	0	5	5
44	0	1	0	1	2	0

¹⁷⁴ საქართველოს ეროვნული სტატისტიკის დეპარტამენტი ხელმისაწვდომია www.statistics.ge საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით.

სამეგრელო - ზემო სვანეთი						
ასაკის მიხედვით	2008		2009		2010	
16	0	0	0	0	0	0
16-24	1	0	0	0	0	0
25-44	0	1	0	0	0	0
44	0	0	0	0	0	0

შამცხე-ჯავახეთი						
ასაკის მიხედვით	2008		2009		2010	
16	0	0	0	0	0	0
16-24	0	0	0	0	1	0
25-44	0	1	0	0	1	2
44	1	0	1	1	0	2

შიდა ქართლი						
ასაკის მიხედვით	2008		2009		2010	
16	0	0	0	0	0	
16-24	0	0	0	0	0	1
25-44	2	1	0	0	2	1
44	0	1	0	0	1	1

ქვემო ქართლი						
ასაკის მიხედვით	2008		2009		2010	
16	0	0	0	0	0	0
16-24	1	1	2	5	2	1
25-44	13	11	6	7	14	15
44	4	6	5	1	7	7

სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოში 2007 წელს ჩადენილი ოჯახში ძალადობის ფაქტებზე¹⁷⁵

	სულ	მსხვერპლი										მოძალადე									
		მამრობითი სქესი					მდედრობითი სქესი					მამრობითი სქესი					მდედრობითი სქესი				
		სულ	<16	17-24	25-44	>45	სულ	<16	17-24	25-44	>45	სულ	<16	17-24	25-44	>45	სულ	<16	17-24	25-44	>45
სულ საქართველო	532	65	2	1	26	36	467		37	275	155	479		39	283	157	53		3	27	23

ძალადობის სახეები	სულ	მსხვერპლი										მოძალადე									
		მამრობითი სქესი					მდედრობითი სქესი					მამრობითი სქესი					მდედრობითი სქესი				
		სულ	<16	17-24	25-44	>45	სულ	<16	17-24	25-44	>45	სულ	<16	17-24	25-44	>45	სულ	<16	17-24	25-44	>45
ფიზიკური	260	19	1	1	7	10	241		23	144	74	240		23	142	75	20	1	1	9	9
ფსიქოლოგიური	474	55	2	1	20	32	419		33	244	142	427		33	240	154	47	2	1	24	20
იძულება	10	1				1	9		1	4	4	9		1	3	5	1				
სექსუალური	4						4		1	2	1	4		1	2	1					
ეკონომიური	28	9			3	6	19		1	8	10	18			8	10	10		1	3	6
სხვა დანარჩენი																					

¹⁷⁵ შსს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველო 08.07.2011. 02:34:46PM შემაკავებელ ორდერზე დაყრდნობით. მიმდინარეობს მონაცემთა ინვენტარიზაცია და შესაძლებელია მცირეოდენი ცვლილებები.

სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოში 2008 წელს ჩადენილი ოჯახში ძალადობის ფაქტებზე¹⁷⁶

	სულ	მსხვერპლი										მოძალადე									
		მამრობითი სქესი					მდედრობითი სქესი					მამრობითი სქესი					მდედრობითი სქესი				
		სულ	<16	17-24	25-44	>45	სულ	<16	17-24	25-44	>45	სულ	<16	17-24	25-44	>45	სულ	<16	17-24	25-44	>45
სულ საქართველო	196	9		1	2	6	187		16	120	51	177		14	117	46	19		1	10	8

ძალადობის სახეები	სულ	მსხვერპლი										მოძალადე									
		მამრობითი სქესი					მდედრობითი სქესი					მამრობითი სქესი					მდედრობითი სქესი				
		სულ	<16	17-24	25-44	>45	სულ	<16	17-24	25-44	>45	სულ	<16	17-24	25-44	>45	სულ	<16	17-24	25-44	>45
ფიზიკური	118	4			1	3	114		9	78	27	109		9	76	24	9			3	6
ფსიქოლოგიური	168	9					159		15	103	41	152		16	99	37	16			6	10
იძულება	3						3			2	1	1			1		2			1	1
სექსუალური	1						1			1		1			1						
ეკონომიური	8	2		1		1	6			3	3	6		1	1	4	2			2	
სხვა დანარჩენი																					

¹⁷⁶ შსს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველო 08.07.2011. 02:31:03PM შემაკავებელ ორდერზე დაყრდნობით. მიმდინარეობს მონაცემთა ინვენტარიზაცია და შესაძლებელია მცირეოდენი ცვლილებები.

სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოში 2009 წელს ჩადენილი ოჯახში ძალადობის ფაქტებზე¹⁷⁷

	სულ	მსხვერპლი										მოძალადე									
		მამრობითი სქესი					მდედრობითი სქესი					მამრობითი სქესი					მდედრობითი სქესი				
		სულ	<16	17-24	25-44	>45	სულ	<16	17-24	25-44	>45	სულ	<16	17-24	25-44	>45	სულ	<16	17-24	25-44	>45
სულ საქართველო	122	8			4	4	114		16	66	32	116		8	69	39	6		1	3	2

ძალადობის სახეები	სულ	მსხვერპლი										მოძალადე									
		მამრობითი სქესი					მდედრობითი სქესი					მამრობითი სქესი					მდედრობითი სქესი				
		სულ	<16	17-24	25-44	>45	სულ	<16	17-24	25-44	>45	სულ	<16	17-24	25-44	>45	სულ	<16	17-24	25-44	>45
ზიზიკური	68	2			1	1	66		10	38	18	67		10	39	18	1				1
ფსიქოლოგიური	112	8			4	4	104		14	61	29	106		12	64	30	6		2	1	3
იძულება	7	1			1		6		1	3	2	7		1	4	2					
სემსუალური																					
ეკონომიური	9						9		1	6	2	9		1	6	2					
სხვა დანარჩენი																					

¹⁷⁷ უსს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველო 08.07.2011. 02:28:13PM შემაკავებელ ორდერზე დაყრდნობით მიმდინარეობს მონაცემთა ინვენტარიზაცია და შესაძლებელია მცირეოდენი ცვლილებები.

სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოში 2010 წელს ჩადენილი ოჯახში ძალადობის ფაქტებზე¹⁷⁸

	სულ	მსხვერპლი										მოძალადე									
		მამრობითი სქესი					მდედრობითი სქესი					მამრობითი სქესი					მდედრობითი სქესი				
		სულ	<16	17-24	25-44	>45	სულ	<16	17-24	25-44	>45	სულ	<16	17-24	25-44	>45	სულ	<16	17-24	25-44	>45
სულ საქართველო	189	23	2	4		17	166	1	12	102	51	174		11	110	53	15			8	7

ძალადობის სახეები	სულ	მსხვერპლი										მოძალადე									
		მამრობითი სქესი					მდედრობითი სქესი					მამრობითი სქესი					მდედრობითი სქესი				
		სულ	<16	17-24	25-44	>45	სულ	<16	17-24	25-44	>45	სულ	<16	17-24	25-44	>45	სულ	<16	17-24	25-44	>45
ფიზიკური	134	18	2	2		14	116	1	11	71	33	120	1	12	67	40	14	2	1	4	7
ფსიქოლოგიური	170	19	2	3		14	151	1	11	95	44	157	1	12	91	53	13	2	2	4	5
იძულება	6	1		1			5			3	2	5			3	2	1		1		
სემსუალური	3						3			2	1	3			2	1					
ეკონომიური	11	2				2	9			9	3	11			6	5					
სხვა ღანარჩენი																					

¹⁷⁸ შსს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველო 08.07.2011. 02:29:42PM შემაკავებელ ორდერზე დაყრდნობით მიმდინარეობს მონაცემთა ინვენტარიზაცია და შესაძლებელია მცირეოდენი ცვლილებები.

სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოში 2011 წელის 6 თვის ჩადენილი ოჯახში ძალადობის ფაქტებზე¹⁷⁹

	სულ	მსხვერპლი										მოძალადე									
		მამრობითი სქესი					მდედრობითი სქესი					მამრობითი სქესი					მდედრობითი სქესი				
		სულ	<16	17-24	25-44	>45	სულ	<16	17-24	25-44	>45	სულ	<16	17-24	25-44	>45	სულ	<16	17-24	25-44	>45
სულ საქართველო	132	12		1	2	9	120	4	18	65	33	122		6	78	38	10			8	2

ძალადობის სახეები	სულ	მსხვერპლი										მოძალადე									
		მამრობითი სქესი					მდედრობითი სქესი					მამრობითი სქესი					მდედრობითი სქესი				
		სულ	<16	17-24	25-44	>45	სულ	<16	17-24	25-44	>45	სულ	<16	17-24	25-44	>45	სულ	<16	17-24	25-44	>45
ფიზიკური	86	10		1	2	7	76	3	14	41	18	79	1	15	41	22	7	2		2	3
ფსიქოლოგიური	119	10		1	1	8	109	4	14	60	31	110	2	14	59	35	9	2	1	2	4
იძულება	9	1				1	8	1		6	1	8			6	2	1	1			
სემსუაღური	1						1			1		1			1						
ეკონომიური	12	2				2	10		2	7	1	12			7	3					
სხვა დანარჩენი	1						1			1		1			1						

¹⁷⁹ შსს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველო 08.07.2011. 02:34:46PM მიმდინარეობს მონაცემთა ინვენტარიზაცია და შესაძლებელია მცირეოდენი ცვლილებები.

აბრევიატურა

CEDAW – ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია

DEVAW - ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ დეკლარაცია

PFA – პეკინის სამოქმედო პლატფორმა

UDHR - ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

UN - გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

UNDP – გაეროს განვითარების პროგრამა

UNICEF – გაეროს ბავშვთა ფონდი

UNIFEM – გაეროს ქალთა ფონდი

WHO – ჯანდაცვის მსოფლიოს ორგანიზაცია

ასკ – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

სასკ – საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

სასკ – საქართველოს ადინისტრაციული საპროცესო კოდექსი

სსკ – საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

სსსკ – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

სსსკ – საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

შსს - შინაგან საქმეთა სამინისტრო

პირველი ინსტანციის სასამართლო - თბილისის საქალაქო სასამართლო.

მეორე ინსტანციის სასამართლო - თბილისის სააპელაციო სასამართლო.

მესამე ინსტანციის სასამართლო - საქართველოს უზენაესი სასამართლო.

ბიბლიოგრაფია

1. “გაერთიანებული ერების სახელშეკრულებო ორგანოთა დასკვნითი შენიშვნები საქართველოს მეორე და მესამე პერიოდულ ანგარიშებზე” გაერთიანებული ერების ორგანიზაცია თბ., 2010;
2. ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ დეკლარაცია (DEVAW);
3. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია (CEDAW);
4. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტი ზოგადი რეკომენდაცია 19, ძალადობა ქალების მიმართ (მეთერთმეტე სესია 1992), ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების ორგანოთა ზოგადი კომენტარებისა და ზოგადი რეკომენდაციების კრებული, გაეროს დოკუმენტები HRI/GEN/1/Rev.1 at 84 (1994);
5. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტის, ადამიანის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი შენიშვნები (*ქენევა, 2007 წლის 15 ოქტომბერი - 2 ნოემბერი*);
6. Пособие для разработки законодательства по вопросам насилия в отношении женщин. 2009, Издание Организации Объединенных Наций. Департамент по экономическим и социальным вопросам, отдел по улучшению положения женщин;
7. Европейский Суд по правам человека, 1 том, Москва 2000;
8. კონვენცია ქალთა ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კითხვა-პასუხის ფორმატში გაეროს ქალთა ფონდი საქართველოში თბ., 2010;
9. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის შემაჯამებელი კომენტარები. საქართველო პირველი მოხსენება 7-25 ივნისი, 1999 წ. (21-ე სესია), საიას თარგმანი;
10. გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის მექანიზმები და გენდერული პერსპექტივა, თბ., 2011 წ., ქალთა საინფორმაციო ცენტრის გამოცემა;
11. საქართველოს კანონი "ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ";
12. “ოჯახში ძალადობა და სამართლებრივი დახმარება”, ავტ: ნ.წიკვლაძე, ი.ბერიძე, მ.რუსეცკი, თბ., 2009 წ;
13. ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ ნორმატიული აქტების კრებული, ავტ:

- ლ.ფაფიაშვილი, გაერთიანებული ერების მოსახლეობის ფონდის გამოცემა, თბ., 2010 წ;
14. X and Y v.Netherlands, European Court of Human Rights 8978/80,1985
<http://cmiskp.echr.coe.int/tkp197/view.asp?item=1&portal=hbkm&action=html&highlight=x%20%7C%20y%20%20netherlands&sessionId=21406792&skin=hudoc-en>;
 15. ეროვნული სტანდარტების ინტეგრაციისაკენ: ადამიანის უფლებათა ეროვნული კონვენცია და საქართველოს გამოცდილება, ავტ: კ.კორკელია, თბ., 2007 წ;
 16. კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“ (გზამკვლევი), თბ., 2010 წ.;
 17. ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში, ავტ: მ. ჩიტაძე, ნ. ჯავახიშვილი თბ., 2010 წ;
 18. პრაქტიკული სახელმძღვანელო იურისტებისათვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე, კ.ბოჭორიშვილი, შ.დემეტრაძე, ლ.ცანავა, თბ., 2008 წ;
 19. ოჯახში ძალადობა და ბავშვის მიმართ ძალადობა საქართველოში: კანონმდებლობა და პრაქტიკის თანამედროვე მდგომარეობის შეფასება საქართველოში, ანგარიში მომზადდა Minnesota Advocates for Human Rights მიერ Institute for Policy Studies-თან თანამშრომლობით თბ., 2006;
 20. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებები და საქართველოს სასამართლო პრაქტიკა. ზ.მეიშვილი, ლ.ჭელიძე, მ.კვაჭაძე, პირველი ნაწილი თბ., 2006;
 21. სამართლებრივი გზამკვლევი ქალებისათვის, მ.ჯაფარიძე, ე.ფილევვა, მ.კვაჭაძე, ნ.ჯანეზაშვილი, თბ., 2010;
 22. საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 2011, კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი;
 23. კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში, ვოლფგანგ გაული თბ., 2002;
 24. საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ.
 25. “ოფიციალურისტატიკის შესახებ” საქართველოს კანონი;
 26. საქართველოს საქმოქალაქო კოდექსი;
 27. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;
 28. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, თ.ლილუაშვილი, ვ.ხრუსტალი;
 29. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი;
 30. საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი;

31. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
32. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
33. საქართველოს კანონი სახელმწიფო ბაჟის შესახებ;
34. საქართველოს მთავრობის განკარგულება № 55-1, დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 იანვრის №55 განკარგულებით, „ოჯახში მოძალადეთა რეაბილიტაციის კონცეფცია“;
35. “ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების კონკრეტული ღონისძიებების სპეციალური გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 30 ივლისის №406 განკარგულებით დამტკიცებული ოჯახში ძალადობის აღკვეთის და ოჯახში ძალადობის პრევენციის თვალსაზრისით განსახორციელებელ ღონისძიებათა 2007-2008 წლების სამოქმედო გეგმა;
36. “ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2009-2010 წლების სამოქმედო გეგმა, დამტკიცებული საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 23 აპრილის №304 განკარგულებით;
37. “ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2011-2012 წლების სამოქმედო გეგმა” დამტკიცებული საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 27 აპრილის №27/04/02 განკარგულებით;
38. საქართველოს მთავრობის განკარგულება № 55-1 დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 იანვრის №55 განკარგულებით, „ოჯახში მოძალადეთა რეაბილიტაციის კონცეფცია“;
39. საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 26 დეკემბერის № 625 ბრძანებულება “ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებოთაშორისო საბჭოს შემადგენლობა და დებულება“;
40. საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 5 დეკემბრის № 665 ბრძანებულება "ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიცირების წესის" შესაბამისად;
41. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 31 მაისის №152/ნ, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №496 და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №45/ნ მიერ შემუშავებული ერთობლივი ბრძანება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ;

42. სტატისტიკა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა და მოძალადეთა რაოდენობის შესახებ სქესობრივ ჭრილში, საქართველოს ეროვნული სტატისტიკის დეპარტამენტი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით;
43. სტატისტიკური მონაცემები თბილისის საქალაქო სასამართლოში შემაკავებელი ორდერის დასამტკიცებლად შეტანილ შუამდგომლობებზე;
44. სტატისტიკური მონაცემები თბილისის საქალაქო სასამართლოში დამცავი ორდერის დასამტკიცებლად შეტანილ შუამდგომლობებზე;
45. სტატისტიკა ოჯახში ძალადობის სახეებზე, შსს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველო, 08.07.2011 მდგომარეობით;
46. მემორანდუმი სტატისტიკის წარმოებასთან დაკავშირებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს, საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურის სახელით ხელმოწერილი 2010.04.30.

ინტერნეტ-რესურსები

- ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (UDHR), 1948
www.wprc.org.ge/georgian/indocuments/human_rights.pdf
www.un.org/ru/documents/udhr/
www.parliament.ge/files/648_11140_378564_2-geo.pdf
- ადამიანის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი შენიშვნები
ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ოთხმოცდამეთერთმეტე სხდომა (ქენევა, 2007 წლის 15 ოქტომბერი - 2 ნოემბერი)
www.ungeorgia.ge/userfiles/files/CO.Ge.pdf
- სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი პ/დ 25-01-1994,
www.parliament.ge/files/648_11140_378564_2-geo.pdf
- ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი პ/დ №25-01-1994,
www.parliament.ge/files/648_11140_378564_2-geo.pdf
- კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, 1979
www.wprc.org.ge/georgian/indocuments/cedaw_geo.pdf
www.unhchr.ch/html/menu3/b/e1cedaw.htm
- ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ დეკლარაცია, 1993
- ქალების მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის ფაკულტატიური ოქმი, 2000
- სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი შენიშვნები, *ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ოთხმოცდამეთერთმეტე სხდომა (ქენევა, 2007 წლის 15 ოქტომბერი - 2 ნოემბერი)*
www.ungeorgia.ge/userfiles/files/CO.Ge.pdf
- გენერალური ასამბლეის რეზოლუცია. 48/104, 48 U.N. GAOR Supp. (No. 49) at 217, გაეროს დოკუმენტები. A/48/49 (1993).
[www.amnesty.org.ru/web/web.nsf/32875f903347b75280257171005b696c/e1eb65133fa534ecc32571f400283e3f/\\$FILE/Report_Georgian.pdf](http://www.amnesty.org.ru/web/web.nsf/32875f903347b75280257171005b696c/e1eb65133fa534ecc32571f400283e3f/$FILE/Report_Georgian.pdf)
- ქალების მიმართ დისკრიმინაციის აღკვეთის კომიტეტი, ზოგადი რეკომენდაცია 19, ძალადობა ქალების მიმართ (მეთერთმეტე სესია 1992), ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების ორგანოთა ზოგადი კომენტარებისა და ზოგადი რეკომენდაციების კრებული, გაეროს დოკუმენტები HRI/GEN/1/Rev.1 at 84 (1994)
- საქართველოს პირველი ანგარიში ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის შესაბამისად, 1998 წელს გაიგზავნა ქალების მიმართ დისკრიმინაციის აღკვეთის კომიტეტში. იხ. ანგარიშები და დასკვნითი კომენტარები.
www.ohchr.org/EN/countries/ENACARegion/pages/GEIndex.aspx
- პეკინის დეკლარაცია
www.un.org/russian/conferen/women/womdecl.htm
- პეკინის სამოქმედო პლატფორმა
www.antitraf.net/uploads/doc/pekiniplatformage.pdf

- **სსიპ** - ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი.
www.atipfund.gov.ge
www.polise.ge
- **საქართველოს კანონი** „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“.
intranet.parliament.ge/index.php?kan_det=det&kan_id=1889&lang_id=GEO&sec_id=69
- **საქართველოს კანონი**; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, VII³ თავი - „ადმინისტრაციული სამართალწარმოება ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებასთან დაკავშირებით“.
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მიღებულია 1997 წლის 26 ივნისს შემდგომი ცვლილებებით და დამატებებით.
www.parliament.ge
- **საქართველოს მთავრობის განკარგულება №406** 30 ივლისი, 2007 წელი, ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების კონკრეტული ღონისძიებების სპეციალური გეგმის დამტკიცების შესახებ.
www.government.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=98&info_id=27243
- შერილ სეინდბერგი კომპანია ფეისბუქის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი (წვდომა 2011 წლის 4 მაისი).
www.ted.com
- „ოჯახში ძალადობა და სამართლებრივი დახმარება“.
www.un.org/russian/document/declarat/violence.htm
- საქართველოს კონსტიტუცია
www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=69&kan_det=det&kan_id=23
- საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“, მიღებულია 2010 წლის 26 მარტს,
www.parliament.ge
- Права Женщин
www.un.org/ru/documents/decl_conv/decl_women.shtml
- თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.
www.tcc.gov.ge
- საქართველოს მთავრობის განკარგულება № 55-1, დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 იანვრის №55 განკარგულებით, „ოჯახში მოძალადეთა რეაბილიტაციის კონცეფცია“.
www.government.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=233&info_id=32140